

178 / 2  
1989



ISSN 0132-5981

# საბჭოეთა საგარეო საზღაპო



1989

695  
178/2

მთავარი რედაქტორი

**ლარი თალაკვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე  
ანზი არსენაშვილი  
(მეცნიერ-რედაქტორი)  
გელა ბერძენიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ანზორ ვაგიანი  
უმთა ვორგოძე  
აკაკი კარანაძე  
დურმიუხან ლორია  
ვახტანგ რაზმაძე  
ზრიგოლ როინიშვილი  
თამაზ შავგულიძე  
ვიქტორ შარაშენიძე  
ირაკლი ჩიქოვანი  
სერგო ჯორჯანაძე

Главный редактор

**Талаквადзе Л. Г.**

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.  
Арсенашвили А. Г.  
(научный редактор)  
Бердзенишвили Г. Д.  
(ответственный секретарь)  
Габiani А. А.  
Горгодзе Ш. В.  
Джорбенадзе С. М.  
Каранадзе А. Г.  
Лория Д. А.  
Размадзе В. А.  
Роинишвили Г. В.  
Чиковани И. П.  
Шавгулидзе Т. Г.  
Шарашенидзе В. А.



# საგჟოთა სამკრთაღი

№ 1

ინაჰარი  
თეგარჰალი  
1989 წელი

მურნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,  
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-პრაქტიკული მურნალი**

## შ ი ნ ა ბ რ ს ი

### დავით აღმაშენებელი — 900

ერთიანი საქართველოს სიმბოლო . . . . .	3
გ. ძეწვირველი — პოლიტიკური რეფორმა და საბჭოთა კონსტიტუციური კანონ- მდებლობის განვითარება . . . . .	4

### პროექტი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები . . . . .	10
---------------------------------------------------------------------------------------------------	----

### განვიხილავთ პროექტს

გ. შარაშენიძე — სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ახალი ეტაპი . . . . .	31
----------------------------------------------------------------------------	----

### გარდაჰმნა დროის მოთხოვნა!

კ. ნარმაია — სოციალური შემეცნების მძლავრი იარაღი . . . . .	42
------------------------------------------------------------	----

### სარედაქციო მიმონიღვა

მკითხველი და „მენა მართლისა სამართლისა...“ . . . . .	49
------------------------------------------------------	----

### პირველი ნაბიჯეჰი მეცნიერეჰაში

ლ. კანტურია — საბითუმო ვაჭრობა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამართლებრივი რეგულირება . . . . .	54
თ. ჭუსოვეი — ახალშობილის მკვლელობის საკითხისათვის . . . . .	59

### სასამართლო ეჰსპარტიჰა: სიახლენი და კრაქტიჰა

გ. ლალიაშვილი — სოციალისტური საკუთრების დაცეების საქმეთა საბუღალტრო ექსპერტიჰა . . . . .	64
---------------------------------------------------------------------------------------------	----

### პროფესიული ეთიჰა

დ. ავრამოვი — ეურნალისტური კოდექსეჰი . . . . .	67
ინფორმაცია . . . . .	70


### პრიმინალისტიკის ისტორიიდან

ენობილი სისხლის სამართლის საქმეეჰი . . . . .	72
ნეკროლოგი . . . . .	77
ბიბლიოგრაფია . . . . .	78

საქ. სსრ ი. მარტისის

4016/1

# СОДЕРЖАНИЕ



<b>Давид Агмашенебели — 900</b>	
Символ единой Грузии	3
<b>Г. Инцирвели</b> — Политическая реформа и развитие Советского конституционного законодательства	4
<b>Проект</b>	
Основы уголовного законодательства Союза ССР и союзных республик	10
<b>Обсуждаем проект</b>	
<b>В. Шарашенидзе</b> — Новый этап формирования правового государства	31
<b>Перестройка — веление времени!</b>	
<b>К. Нармания</b> — Мощное оружие социального познания	42
<b>Редакционное обозрение</b>	
Читатель и «Право для всех»	49
<b>Первые шаги в науке</b>	
<b>Л. Чантурия</b> — Оптовая торговля и правовое регулирование материально-технического снабжения сельского хозяйства	54
<b>Т. Джусоев</b> — К вопросу об убийстве новорожденного	59
<b>Судебная экспертиза: новшества и практика</b>	
<b>Г. Лалиашвили</b> — Бухгалтерская экспертиза дел о хищении социалистической собственности	64
<b>Этика профессии</b>	
<b>Д. Авраамов</b> — Журналистские кодексы	67
Информация	70
<b>Из истории криминалистики</b>	
Известные уголовные дела	72
Некролог	77
Библиография	78



© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, ღვამით აღმაშენებლის პრ. 108,  
ბ. 95-88-40, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 16.01.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.02. 89 წ.,  
ფორმატი 70 X 108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 6,5.  
შეკვ. № 105 ტირაჟი 41.000 უე 04621

საქ. ეკ. ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

## ერთიანი საქართველოს სიბოლო

ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს დედაქალაქის გულში საფუძველი ჩაეყარა ქართველი ერის უპირველესი მამულიშვილის — დავით აღმაშენებლის ძეგლს, და რაოდენ კანონზომიერადაც მიგვაჩნია ეს ისტორიული მოვლენა, იმდენადვე შინაგანი სინანული გვიპყრობს, აქამდე რომ ასეთ უმადურობას ვიჩენდით ერთიანი საქართველოს სიბოლოს — დიდი დავითის სახელის მიმართ. თუმცადა, ყოფილა განა ისეთი დრო და ქამი, როცა ქართველს ამ ხატზე არ ელოცოს? ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო საქართველოს გამაერთიანებლისა და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი.

მეფე დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებები — სამხედრო რეფორმა (მუდმივი ქართული ჯარის შექმნა), საეკლესიო რეფორმა (რუის-ურბნისის კრება და ჰყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის თანადებობის შემოღება), სასამართლოს რეფორმა, მსტოვართა ინსტიტუტის შექმნა, სამონეტო რეფორმა და სხვა საქმენი მისნი უპირველესად იმას ისახავდნენ მიზნად, რომ რეალურად განმტკიცებულიყო სახელმწიფოს ერთიანი ხელისუფლება. ეს კი ცხადია, საქართველოს შემდგომი გაძლიერების საფუძველთა საფუძველი იყო.

განუზომლად დიდია დავით აღმაშენებლის ღვაწლი, რომელიც მან ქართული მართლმსაჯულების განვითარების საქმეში შეიტანა. აი, რას წერს დიდი ივანე ჯავახიშვილი: „წინათ საქართველოში უზენაეს მსაჯულად თვით მეფე იყო; მას უნდა გაერჩია ყველა საქმეები, რომელიც კი უმაღლეს სასამართლოში იყო შეტანილი. რასაკვირველია, ამგვარი მარტივი წესი მანამდის იქნებოდა გამოსადეგი, სანამ საქართველო პატარა სამეფო იყო; მაგრამ როდესაც საქართველო გასაოცრად გაიზარდა... დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული უზენაესი სასამართლო დაწესებულება შექმნა და დაადგინა „კაცი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მომჩივართანი რომელთაგან მიიღებდეს კურნებასა“. ამ ახალი დაწესებულების შექმნას დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: იმას გარდა, რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მარტო ის გარემოება, რომ სასამართლო უზენაეს საფეხურშიც მართვა-გამგეობისაგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს“.

დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული სამართლის, ქართული იურიდიული აზროვნების მაღალ ღონეს ურყევი საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა სამართლებრივმა რეფორმამ.

დავით აღმაშენებლის ბრძნული და შორსგამიზნული პოლიტიკის შედეგად ქართველი ერი მეთორმეტე საუკუნეში მართლაც ყოველმხრივ დამშვიდდა და მოშენდა. ასეთმა ძლიერმა, აღორძინებულმა საქართველომ, რომელიც შოთა რუსთაველის ეპოქადაა ცნობილი, თითქმის მთელი საუკუნე იარსება და ისტორიაში ოქროს ხანად შევიდა. მაღლიერმა შთამომავლობამ ქვეყნის აღორძინებისა და განდიდებისათვის გაწეული უდიდესი წვლილისათვის მეფეს აღმაშენებელი უწოდა და სამარადისოდ უკვდავყო მისი სახელი.

# პოლიტიკური რეფორმა და საბჭოთა კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარება

ბივი ინჟინერაძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1988 წლის 1 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის მეტერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთორმეტე სესიამ. სამი დღის მანძილზე ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს დებუტატები აქტიურად, პრინციპულად მსჯელობდნენ საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზების, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ. სესიამ მიიღო უმნიშვნელოვანესი კანონები საბჭოთა კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების და საბჭოთა კავშირის სახალხო დებუტატთა არჩევნების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმაღლესი საბჭოს აღნიშნული სესიისა და უშუალოდ მის წინ ჩატარებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით განხორციელდა პირველი ეტაპი იმ პოლიტიკური რეფორმისა, რომელიც განსაზღვრეს პარტიის XXVII ყრილობამ და XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ. უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახალხო დებუტატთა არჩევნების შესახებ კანონთა მიღებით კანონმდებლურად იქნა განმტკიცებული პოლიტიკური რეფორმის დასახელებული პირველი ეტაპის ძირითადი შინაარსი. სახელდობრ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური საფუძვლის — საბჭოების სტრუქტურის განახლება და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის უფრო დემოკრატიული წესის დადგენა.

ამჟამად კიდევ უფრო მეტი კმაყოფილებით ვაფასებთ დასახელებული კანონების განხილვისა და მიღების ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში მანამდე არნახულ პროცედურას, საკანონმდებლო პროცესის სრულიად ახლებურად მიმდინარეობას. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს თვით უმაღლესი საბჭოს სესიამდე ორი თვით ადრე გამოქვეყნებული კანონპროექტების ირგვლივ გამართული, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმები ვიხმართ, საერთო-სახალხო დისკუსია, საერთო-სახალხო რევიზია, საყოველთაო სახალხო ექსპერტიზა. მრავალი წინადადება, შენიშვნა და მოსაზრება, რომლებიც მილიონობით ადამიანის მიერ იყო გამოთქმული ამ განხილვის პროცესში, გადაიქცა ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებისათვის, თითოეული მოქალაქისათვის დემოკრატიის ნამდვილ სკოლად. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საბჭოთა კავ-

შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 300 ათასზე მეტი წერილობითი შესწორება და შენიშვნა იქნა შემოსული. ამ წერილებისა და გამოსვლების კრიტიკული ხასიათი, ზოგიერთ შემთხვევაში განსახილველი საკითხების ფარგლებიდან გამოსვლაც და, თუნდაც, გაუმართლებელი ულტიმატიური მოთხოვნებიც ძირითადად იმაზე მეტყველებენ, რომ საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში არსებითი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ადამიანების ფსიქოლოგიაში, გაძლიერდა მათი მისწრაფება პირადი მონაწილეობა მიიღონ კანონთა შემუშავებასა და, საერთოდ, ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში. სწორედ საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მოსახლეობის ამგვარი პოლიტიკური აქტიურობისა და თვით უმაღლესი საბჭოს სესიაზე დებუტატების წინადადებების გათვალისწინების შედეგად, წინასწარ გამოქვეყნებულ კანონპროექტთა მუხლების ნახევარზე მეტმა განიცადა გარკვეული შესწორებები და დამატებები, ხოლო მთლიანად მათი დამტკიცების შემდეგ მნიშვნელოვნად იცვალეს სახე და საბოლოოდ მიღებული კანონები თვით ხალხის სამართალ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად იქცა.

თავის დროზე, სახელმძღვანელო პარტიულ-სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში სავსებით დასაბუთებულად იყო ახსნილი 1977 წლის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ახალი საარჩევნო კანონის მიღებისა და სამართლის სხვა დარგებში (სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საფინანსო, სამეურნეო, შრომის სამართლის და ა. შ.) კანონმდებლობის განახლებისა და სრულყოფის საჭიროება, ე. ი. არსებითად სამართლებრივი რევოლუციის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში.

ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ თავისი აქამდელი მდგომარეობით საბჭოთა კანონმდებლობა ვერ შეძლებდა ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში დასახული რადიკალური გარდაქმნების სამართლებრივ უზრუნველყოფას, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის საჭირო იურიდიული საფუძვლის როლის შესრულებას.

უწინარესად თვით კონსტიტუციაში, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია მოქმედებს, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახალხო დებუტატების საბჭოების როლის ამღობის, მათი სრულძალაუფლებიანობის აღდგენის, ამ ორგანოების ფორმირებაში ხალხის რეალური მონაწილეობის ამოცანების გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილად იქნა ცნობილი უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ახალი ფორმების შემოღება და, ამასთან დაკავშირებით, ჩვენი საარჩევნო სისტემის გადაწყვეტი განახლება. ამდენად, ახალი კანონით ცვლილებები გატარდა კონსტიტუციის იმ განყოფილებებში (თავები 12, 13, 15), რომლებიც შეეხება სახალხო დებუტატების საბჭოების სისტემას და საქმიანობის პრინციპებს, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გაზრდა ორნახევარი წლიდან ხუთ წლამდე, რაც ნიშნავს მის გათანაბრებას უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ვადასთან. ეს გარკვეულ ერთგვაროვნებას ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობის ხანგრძლივობაში. ამასთან, ყველა საბჭოს არჩევნები ინიშნება და საარჩევნო კამპანია იწყება ნაცვლად აქამდე დადგენილი ორი თვისა — არაუგვიანეს ოთხი თვისა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების გასვლამდე, რათა ამომრჩევლებს

შესაძლებლობა მიეცეთ უკეთესად და უფრო საფუძვლიანად მოახდინონ კანდიდატურების შერჩევა, მათი გაცნობა, წამოყენება და შეძლონ სრული შეგნებითა და მაღალი პასუხისმგებლობით განახორციელონ კენჭისყრის დროს ამა თუ იმ კანდიდატისათვის უპირატესობის მინიჭების უფლება. აღსანიშნავია, რომ მანამდე მოქმედი საარჩევნო კანონთაც არ იყო აკრძალული ერთ სადეპუტატო ადგილზე ორი ან მეტი კანდიდატის წამოყენება, მაგრამ საარჩევნო პრაქტიკა ისეთი იყო, რომ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარი შეჰქონდათ. ამას თავისი დასაბუთებაც ეძლეოდა: რომ ჩვენს ქვეყანაში არ არიან ანტაგონისტური კლასები, არ არის მრავალპარტიული სისტემა და მიზანშეწონილი არ არის მშრომელთა მიერ წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატების ერთიმეორისადმი დაპირისპირება. დღეისათვის კი დადგენილია, რომ არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი შეზღუდული არ არის. ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს უფლება წინანდებურად ფორმალური არ დარჩეს და ამომჩევლებს მიეცეთ მისი რეალურად გამოყენების სრული შესაძლებლობა. ამ საკითხის სიახლე კიდევ ისაა, რომ წინასაარჩევნო კრების ყოველ მონაწილეს შეუძლია განსახილველად წარადგინოს ნებისმიერ სხვა კანდიდატთან ერთად — საკუთარიც. ამომწურავადაა აგრეთვე ჩამოთვლილი იმ პირობა წრე, რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო ხმის უფლებით. ასეთებია: ფსიქიურად დაავადებულნი, რომლებსაც სასამართლო არაქმედუნარიანად ცნობს, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი და ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში გაიგზავნენ.

უკვე კარგა ხანია ჩვენს პრესაში და სამეცნიერო ლიტერატურაში დასმული იყო საკითხი სახალხო დეპუტატებად თანამდებობის პირთა არჩევის შეზღუდვაზე. ახალი კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებულია, რომ ის პირნი, რომლებიც შედიან სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში, გარდა ამ ორგანოების თავმჯდომარეებისა, აგრეთვე უწყებათა, აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები, ყველა რგოლის მოსამართლეები და სახელმწიფო არბიტრები, ასევე კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტების თავმჯდომარეები და წევრები არ შეიძლება იყვნენ იმ საბჭოს დეპუტატად, რომელიც ნიშნავს ან ირჩევს მათ. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ახალი კანონის მიღების შემდეგ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირებს უფლება აღარ ექნებათ განსაზღვრული ვადის შემდეგ თავიანთი თანამდებობანი დაიკავონ ზედიზედ მესამედ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლეა — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული ოლქებისაგან დეპუტატთა არჩევის გარდა, 750 დეპუტატის, ე. ი. მთელი შემადგენლობის ერთი მესამედის არჩევა საერთო-საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. ეს სიახლე XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე და უმაღლესი საბჭოს სესიაზეც აღიარებული იქნა, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურების დემოკრატიზაციის გზაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციებში გაერთიანებულია თითქმის მთელი მოსახლეობა, რომ მათ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ კიდევ ერთი არჩი

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე პირდაპირი ზემოქმედებისათვის და გარდა ამისა, ეს წესი სასიკეთო გავლენას მოახდენს თვით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე მათი აქტიურობის ამაღლების თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ამა თუ იმ სახალის გამართლებას საბოლოოდ პრაქტიკა ადასტურებს, კანონის გამოყენების გამოცდილება გვიჩვენებს. უკვე ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან სერიოზულ დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვს იმ წესის გამოყენება, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან დეპუტატთა კანდიდატების დასახელების უფლება ენიჭებათ მხოლოდ მათ საერთო-საკავშირო ორგანოებს. მართალია, კანონი შეიცავს შიშობას, რომ ეს საკავშირო ორგანოები უნდა ითვალისწინებდნენ ძირეული კოლექტივებისა და წევრებისაგან შემოსულ წინადადებებს, მაგრამ განა არსებობს საკმარისი გარანტია იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკავშირო ორგანოები, რომელთა შემადგენლობის უმრავლესობას თვით ცენტრალური აპარატის მუშაკები შეადგენენ პრივილეგიურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებიან და აშკარა უპირატესობას არ მიიღებენ? ასეთი ტენდენცია ახლანდელი საარჩევნო კომპანიის პროცესშივე უკვე საკმაოდ გამოიკვეთა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეკომენდაციათა შესაბამისად არსებითი ცვლილებებია შეტანილი სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სტრუქტურაში. ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ამიერიდან ითვლება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რომელიც მისი რანგისათვის შესაბამის უფლებამოსილებას განახორციელებს, მათ შორის საკავშირო კანონების მიღებას. მის შემადგენლობაში დემოკრატიული წესით და წარმომადგენლობის ნორმებით, რომლებსაც ახალი კანონები დაწვრილებით განსაზღვრავენ, აირჩევენ 2250 დეპუტატს. არჩევნიებიდან არა უგვიანეს ორი თვისა ხდება ყრილობის მოწვევა პირველ სხდომაზე. მორიგი სხდომები ეწყობა წელიწადში ორთხელ. მათ იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

თვით უმაღლესი საბჭოს შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შეიცვალა. იგი იქნება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო. მას ფართული კენჭისყრით აირჩევენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და მისდამი ანგარიშვალდებული იქნება. ახალი კანონის მიხედვით შენარჩუნებულია უმაღლესი საბჭოს ორპალატიანი სისტემა: კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო, რომლებსაც აირჩევენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე სახალხო დეპუტატთა რიცხვიდან. ისევ რჩება უმაღლესი საბჭოს მუშაობის სასესიო წესი, მაგრამ სრულიად ახალი რეგლამენტი: მორიგი სესიები მოიწვევა წელიწადში ორჯერ (საგაზაფხულო და საშემოდგომო), რომელთა ხანგრძლივობა სამი-ოთხი თვეა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია და მთელი რიგი სხვა უფლებამოსილებანი დაეკისრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც იმუშავებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ახლანდელთან შედარებით, რამდენაღმე იცვლება პრეზიდიუმის შემადგენლობა და ფუნქციები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

პოსტის დაწესება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სახალხო დემუტატთა საბჭოების მთელი სისტემის როლის გაძლიერებას, ხელისუფლების სამართლებრივი ხასიათის განმტკიცებას და საბჭოთა კავშირის უკეთ წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში. მას ფარული კენჭისყრით აირჩევს სახალხო დემუტატთა ყრილობა ხუთი წლის ვადით და არაუმეტეს ორი ვადით ზედიზედ. მიუხედავად ფართო სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებისა, იგი ანგარიშვალდებულია არამართო სახალხო დემუტატთა ყრილობისა, არამედ, ყრილობათა შორის პერიოდში, უმაღლესი საბჭოს წინაშეც.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტს, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აქამდე ჩვენში არარსებული, განსაკუთრებით თავისებური ორგანოს — სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის საქმიანობა. მის შემადგენლობაში სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრილობაზე პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან ათი წლის ვადით აირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და 21 წევრს, მათ შორის თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელს. ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დამოუკიდებელი იქნებიან და მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციას დაემორჩილებიან. კანონიერების განმტკიცების ამოცანებიდან გამომდინარეობს აგრეთვე სიახლენი სასამართლო სისტემის დარგში. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით ყველა სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა მოხდება 10 წლის ვადით. ამასთან, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა და სამხარეო, საოლქო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა ირჩევენ სახალხო დემუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები, ხოლო სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა — შესაბამისი უმაღლესი საბჭოები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების მოსამართლეთა — ამ ავტონომიური ერთეულების სახალხო დემუტატთა საბჭოები. სასამართლოების სახალხო მსაჯულებს კი ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე ხუთი წლის ვადით.

სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მუშაობის სტრუქტურასა და ორგანიზაციაში განხორციელებული ცვლილებები შესაბამისად ვრცელდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებზე.

ეკვსგარეშეა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შედეგად საბჭოთა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ქვეყნის დემოკრატიზაციის საქმეში თავისი წამყვანი როლის შესრულება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული დემუტატთა კორპუსის შემადგენლობაზე, იმაზე, თუ რამდენად რეალურად იქნება უზრუნველყოფილი დემუტატებად იმ პირობა არჩევა, რომლებიც ხალხს, ამომრჩევლებს სურთ და რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. სწორედ ამას უნდა შეუწყოს ხელი ახალმა კანონმა, „სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა არჩევნების შესახებ“, ისევე როგორც მთელმა საარჩევნო კანონმდებლობამ.

ასეთ პირობებში სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქეებში ღრმად უნდა დამკვიდრდეს ის რწმენა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო გზა მათ მიერვე არჩეული, მათი

ნების გამომხატველი დეპუტატების მეშვეობით სახალხო დეპუტატთა ამა თუ იმ საბჭოსა ან მის ორგანოებში საკითხების დასმა და სათანადო შედეგის მიღწევა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. თუ დეპუტატის საქმიანობა მათ არ დააკმაყოფილებთ, ამავე კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გამოიყენონ უფლება დეპუტატის გაწვევის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის ცვლილებებისა და საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონების მიღებით განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმის პირველი ეტაპი.

პოლიტიკური რეფორმის კანონმდებლურად განმტკიცების მეორე ეტაპად სახელმძღვანელო პარტიულ-სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში აღიარებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკებთან. ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ჩანს, დამუშავდება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომელიც ჩატარდება მიმდინარე წლის ივნისის თვეში და სპეციალურად მიეძღვნება ეროვნებათაშორისო ურთიერთობებს. ყოველივე ეს აისახება სათანადო კანონმდებლობაში და შესაბამის ცვლილებებს გამოიწვევს კონსტიტუციის იმ თავებში, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილებას.

მესამე ეტაპად ითვლება სამართლებრივი და სასამართლო რეფორმა, რომელიც გულისხმობს რადიკალური ცვლილებების გატარებას სამართალდაცვითი ორგანოების მთელ სისტემაში — სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატურის, არბიტრაჟის, მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებებში, თუმცა, ამ ამოცანის განხორციელებას დასაბამი მისცა უკვე უმაღლესი საბჭოს ამასწინათ ჩატარებულმა სესიამ, რომელზეც მიღებული კანონით კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები მოსამართლეთა არჩევის საკითხებზე, გაზრდილ იქნა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები.

ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში თანდათანობით, ამგვარი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ, ალბათ, საჭირო გახდება მთლიანად ახალი, მეოთხე საკავშირო კონსტიტუციის მიღება, რომელიც უკვე ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუცია იქნება.

პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1988 წლის 10 იანვარს, აღნიშნულია: „ხალხის ძალაუფლების აღორძინება განუყოფელია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაგან. უნდა განვახორციელოთ სასამართლო რეფორმა, მივიღოთ კანონები ახალგაზრდობის, პრესის, სინდისის თავისუფლების შესახებ და სხვა კანონები, რომლებიც ეხება ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს. ყოველივე ეს გაზრდის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოქალაქეთა წინაშე, მოქალაქეთა პასუხისმგებლობას კი სახელმწიფოს წინაშე, განამტკიცებს ადამიანის უფლებათა გარანტიებს, კანონის წინაშე ყველას თანასწორობას“.

# სსრ კავშირისა და მოკავშირა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები

**სოციალისტური** სამართლებრივი სახელ-  
მწიფეს ფორმირება და განვითარება, საბჭოთა  
ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების  
უზრუნველყოფა, სახელმწიფოს პასუხისმგებ-  
ლობა მოქალაქის წინაშე და მოქალაქისა —  
სახელმწიფოს წინაშე განუყოფლად არის და-  
კავშირებული სახელმწიფოებრივი და საზოგად-  
ოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძ-  
ვლების განმტკიცებასთან; სოციალისტური კან-  
ონიერებისა და მართლწესრიგის განუხრეკლ  
დაცვასთან, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძ-  
ლიერებასა და მისი წარმოშობი მიზეზების  
ოღმოფხვრასთან.

ეყრდნობა რა შრომითი კოლექტივების, სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მშრო-  
მელის მხარდებერას, საბჭოთა სახელმწიფო  
ახორციელებს ეკონომიკური; სოციალური და  
სამართლებრივი ღონისძიებების კომპლექსს,  
რომლის მიზანია დანაშაულის თავიდან აცილე-  
ბა, მოქალაქის აღზრდა კანონიერების ყოველ-  
გვარი დარღვევისადმი შეუთრეგებლობის სუ-  
ლისკვეთებით, მართლწესრიგის დაცვაში აქტიუ-  
რი მონაწილეობის მზადყოფნისათვის. დამნა-  
შავეობასთან ბრძოლაში სრულად უნდა იქნეს  
გამოყენებული საზოგადოებრივი აზრის ავტო-  
რიტეტი და კანონის ძალა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების  
სისხლის სამართლის კანონმდებლობა, იცავს რა  
სოციალისტურ მართლწესრიგს დანაშაულებრივი  
ხელყოფისაგან, ხელს უწყობს სოციალური  
სამართლიანობის პრინციპების, შრომისა და  
მოხმარების ზომასზე ქმედითი კონტროლის ცხო-  
ვრებაში გატარებას, მოქალაქის პასუხისმ-  
გებლობას საკუთარი ქცევისათვის. საბჭოთა  
სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხელს უწყ-  
ობს მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშრო-  
ების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან  
ბრძოლას, ხალხთა შორის თანამშრომლობის  
განმტკიცებას.

ყოველი საბჭოთა ადამიანი მტკიცედ უნდა  
იყოს დარწმუნებული მისი უფლებებისა და  
კანონიერი ინტერესების დაცვაში, გრძობდეს  
სახელმწიფოს ზრუნვას მის პირად და ქონებ-  
რივ ხელშეუხებლობაზე, პატივისა და ღირსე-

ბის პატივისცემაზე. არცერთი სამართალდამ-  
რღვევი არ უნდა დარჩეს კანონით დადგენილი  
პასუხისმგებლობის გარეშე, და არცერთი უღ-  
ნაშაულო არ უნდა იქნეს მიცემული სისხლის  
სამართლის პასუხისგებაში და მსჯავრდებული.

სისხლის სამართლის სასჯელი გამოყენებული  
უნდა იყოს კანონის ზუსტი შესაბამისობით, ჩა-  
დენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშა-  
ვის პიროვნების გათვალისწინებით, დემოკრა-  
ტიზმისა და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინ-  
ციპების საფუძველზე. გამოიყენება რა სასჯელის  
შეზღუდვის ზომები იმათ მიმართ, ვინც საზოგადო-  
ებისათვის საშიშ დანაშაულს სჩადის, ადრე ნა-  
სამართლეგია, ჯიუტად არ სურს ჩაებას პატიო-  
სან შრომითს ცხოვრებაში, საჭიროა ფართოდ  
იყოს გამოყენებული კანონით მინიჭებული შე-  
საძლებლობა ისეთი სასჯელების დანიშვნისა,  
რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების  
აღკვეთასთან იმ პირების მიმართ, რომლებმაც  
ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და შე-  
უძლიათ გამოსწორდნენ საზოგადოებისაგან იზო-  
ლაციის გარეშე. მას, ვინც ჩაიდინა დანაშაული  
და გამოისყიდა ბრალი, შეუძლია კვლავ გახ-  
დეს საბჭოთა საზოგადოების სრულუფლებიანი  
მოქალაქე.

პარტი I

ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. სსრ კავშირისა და მოკავშირე  
რესპუბლიკების სისხლის სამართლის  
კანონმდებლობა**

(1) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლი-  
კების სისხლის სამართლის კანონმდებლობა  
შედგება ამ საფუძვლებისაგან, რომლებიც გან-  
საზღვრავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუ-  
ბლიკების სისხლის სამართლის პასუხისმგე-  
ბლობის პრინციპებს და აწესებენ მის ზოგად  
დებულებებს, საერთო საკავშირო კანონებისა-  
გან, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგე-  
ლობას ცალკეული დანაშაულისათვის და მოკავ-  
შირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კო-  
დექსებისაგან.



(2) საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კანონები განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში სხვა დანაშაულისათვისაც, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის ინტერესების წინააღმდეგ, აგრეთვე მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

(3) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს მოკვანილი სსრ კავშირთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებთან.

**მუხლი 2. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანები**

(1) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანა დაიცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, პიროვნება, მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული საკუთრება, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება, ბუნებრივი გარემო და მთელი სოციალისტური მართლწესრიგი, აგრეთვე ხელი შეუწყოს მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების დაცვას. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას, მოქალაქის აღზრდას სსრ კავშირის კონსტიტუციის, საბჭოთა კანონების ზუსტად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

(2) ამ ამოცანების განსახორციელებლად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაითვლება დანაშაულად და აწესებს სასჯელს ან ზემოქმედების სხვა ღონისძიებას, რომელიც გამაყენებელი უნდა იქნეს დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ.

**მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპები**

(1) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა დამყარებულია კანონიერების, დემოკრატიზმის, პასუხისმგებლობის გარდუვალობის, მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის, სამართლიანობისა და ჰუმანობის პრინციპებზე.

(2) არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრა-

ლელად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

**მუხლი 4. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი**

(1) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ისეთი ქმედობის ჩადენა, რომელიც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს, გათვალისწინებულს სისხლის სამართლის კანონით.

(2) პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიუხედავად წარმოშობისა, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, განათლებისა, ენისა, რელიგიასთან დამოკიდებულებისა, საქმიანობის რაობისა და ხასიათისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებებისა.

(3) არავის არ შეიძლება ორჯერ დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

**მუხლი 5. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონების მოქმედება სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილ ქმედობათა მიმართ**

(1) პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა სსრ კავშირის ტერიტორიაზე, პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. თუ დანაშაული ჩადენილია საბჭოთა საპაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდზე სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, პასუხისმგებლობა დადგება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონით, რომლის პორტზეც მიწერილია ეს ხომალდი.

(2) თუ დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონი, სადაც დანაშაული დამთავრდა ან აღკვეთილ იქნა.

(3) უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა და იმ სხვა მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც მოქმედი კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად არ ექვემდებარებიან საბჭოთა სასამართლოს განსჯადობას სისხლის სამართლის საქმეებზე, იმ შემთხვევაში, თუ ამ პირებმა დანაშაული სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩაიდინეს, გადაიჭრება დიპლომატიური გზით.



**მუხლი 6. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონების მოქმედება სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ჩადენილ ქმედებათა მიმართ**

პარი II

**დანაშაულის შესახებ**

**მუხლი 8. დანაშაულის ცნება**

(1) სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებმაც დანაშაული საზღვარგარეთ ჩაიდინეს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში მოქმედი სისხლის სამართლის კანონების მიხედვით, რომლის ტერიტორიაზეც ისინი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ან სამართალში.

(2) ამავე საფუძველზე აგებენ პასუხს სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც დანაშაული სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ჩაიდინეს.

(3) თუ ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში დასახელებული პირები ჩადენილი დანაშაულისათვის საზღვარგარეთ დაისაჯნენ, სასამართლო შესაბამისად შეუძლებლებს მათ დანიშნულ სასჯელს ან საეჭებთ გაათავისუფლებს დანაშაულის სასჯელის მოხდისაგან.

(4) უცხოელი მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც სსრ კავშირში მუდმივად არ ცხოვრობენ, სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებენ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონების მიხედვით იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

**მუხლი 7. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში**

(1) ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებს ამ ქმედობის ჩადენის დროს. ქმედობის ჩადენის დროდ ითვლება საზოგადოებრივად საშიში მოქმედების (უმოქმედობის) განხორციელების დრო, მიუხედავად შედეგის დადგომის დროისა.

(2) კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვა გზით აუმჯობესებს პირის მდგომარეობას, უუქცევითი ძალა აქვს, ესე იგი ვრცელდება პირზე, რომელმაც ჩაიდინა შესაბამისი ქმედობა ასეთი კანონის მიღებამდე, რომელიც სასჯელს იხდის ან უკვე მოიხადა სასჯელი, მაგრამ ითვლება ნასამართლობის მქონედ.

(3) კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დანაშაულებრიობას, აძლიერებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს პირის მდგომარეობას, უუქცევითი ძალა არა აქვს.

(1) დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და ბრალეულად ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ წესწყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, პიროვნებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ საკუთრებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას, ბუნებრივ ვარგისს, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ხელყოფს სოციალისტურ მართლწესრიგს ან მშვიდობასა და კაცობრიობის უშიშროებას.

(2) დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას.

**მუხლი 9. დანაშაულის კლასიფიკაცია**

(1) საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით დანაშაული იყოფა დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე, ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად. კონკრეტული დანაშაულის მიკუთვნება რომელიმე ამ კატეგორიისათვის ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით ამ მუხლის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილების დებულებების შესაბამისად.

(2) დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არამქონე დანაშაულს მიეკუთვნება განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ორი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, აგრეთვე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი.

(3) ნაკლებად მძიმე დანაშაულს მიეკუთვნება განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელი კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს ხუთი წლისა, აგრეთვე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად კანონით გათვა-



ლისწინებულისა თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

(4) მიმე დანაშაულს მიეკუთვნება განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს ათი წლისა.

(5) განსაკუთრებით მიმე დანაშაულს მიეკუთვნება განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელად კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან სიკვდილით დასჯა.

**მუხლი 10. ბრალის ფორმები**

დანაშაულში ბრალეულად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ ის, ვინც ქმედობა ჩაიდინა განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

**მუხლი 11. დანაშაულის განზრახ ჩადენა**

(1) განზრახ ჩადენილ დანაშაულად ჩაითვლება პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედობა.

(2) დანაშაული ჩაითვლება პირდაპირი განზრახვით ჩადენილად, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა მათი დადგომა.

(3) დანაშაული ჩაითვლება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილად, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და თუმცა არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ამ შედეგების დადგომას.

**მუხლი 12. დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა**

(1) გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულად ჩაითვლება თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით ჩადენილი ქმედობა.

(2) დანაშაული თვითიმედოვნებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას.

(3) დანაშაული დაუდევრობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვა-

ლისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

**მუხლი 13. ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ დაგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა**

(1) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირთ, რომელთაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდათ თექვსმეტი წელი.

(2) იმ პირთ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ განზრახი მკვლელობისათვის (გარდა განზრახი მკვლელობისა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), სხეულის განზრახ მიმე ან ნაკლებად მიმე დაზიანებისათვის (გარდა სხეულის განზრახ მიმე ან ნაკლებად მიმე დაზიანებისა, რომელიც მიყენებულია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), გაუპატიურებისათვის, ყაჩაღობისათვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვა მიმე შედეგები, აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაძარცვისა, ან ქურდობისათვის.

(3) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის შეიძლება დაწესდეს იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თვრამეტი წლის ასაკიდან.

**მუხლი 14. შეურაცხადობა**

(1) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ესე იგი არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობისა, ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

(2) შეურაცხადად ცნობილი პირის მიმართ სსსამართლოს შეუძლია გამოიყენოს ამ საფუძვლების 75-ე მუხლით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი.

**მუხლი 15. დანაშაულისათვის მზადება და დანაშაულის მცდელობა**

(1) დანაშაულისათვის მზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მომარ-

ჯგუბა ან დანაშაულის ჩასადენად სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულის მზადებისათვის.

(2) დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

(3) დანაშაულის მზადების ან მცდელობისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმავე სისხლის სამართლის კანონით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის.

#### მუხლი 16. ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე

(1) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვლება პირის მიერ დაწყებული დანაშაულის შეწყვეტა მაშინ, როცა იგი ფიქრობს, რომ შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული.

(2) დაწყებული დანაშაული, რომელიც ნებაყოფლობით შეწყდა, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას.

#### მუხლი 17. თანამონაწილეობა დანაშაულში

(1) თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

(2) დანაშაულის თანამონაწილეებად ამსრულებლებთან ერთად, ჩაითვებიან ორგანიზატორები, წამქეზებლები და დამხმარენი.

(3) ამსრულებლად ჩაითვლება პირი, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობას ჩადენს უშუალოდ ან იმ სხვა პირთა გამოყენებით, რომლებიც კანონის ძალით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მიეცემა.

(4) ორგანიზატორად ჩაითვლება პირი, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას.

(5) წამქეზებლად ჩაითვლება პირი, ვინც დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლიებს.

(6) დამხმარედ ჩაითვლება პირი, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-და-

რიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით; აგრეთვე პირი, ვინც წინასწარ დაპირდა, რომ დაშალავს დანაშაულს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით შექმნილ საგნებს.

(7) ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედობისათვის, რომელსაც არ მოიცავს თანამონაწილეთა განზრახვა, სხვა თანამონაწილეები სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებენ.

#### მუხლი 18. დაფარვა

(1) წინასწარ შეუპირებული დაფარვა დანაშაულის ჩამდენი პირისა, აგრეთვე ამ დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებებისა, დანაშაულის კვალისა ან დანაშაულებრივი გზით შექმნილი საგნებისა, იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენისას.

(2) წინასწარ შეუპირებული დაფარვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა ან დანაშაულის ჩამდენი პირის მეუღლე და აგრეთვე ახლო ნათესავები.

#### მუხლი 19. განუცხადებლობა

(1) დანაშაულის განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას.

(2) განუცხადებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა ან დანაშაულის ჩამდენი პირის მეუღლე და აგრეთვე ახლო ნათესავები.

**შენიშვნა:** ამ საფუძვლების მე-18 და მე-19 მუხლებში აღნიშნულ ახლო ნათესავებად ჩაითვლებიან მშობლები, შვილები, მშვილებელი, ნაშვილები, ღვიძლი დები და ძმები, პაპა, ბებიისა და შვილიშვილები.

#### მუხლი 20. განმეორებითი დანაშაული

(1) განმეორებითი დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონის ერთი და იმავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან რამოდენიმე დანაშაულის ჩადენა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განმეორებითად შეიძლება ცნობილ იქნეს სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა.



(2) დანაშაული არ ითვლება განმეორებითად, თუ მისი ჩამდენი პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის განთავისუფლებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასამართლოს განაჩენით — სასჯელისაგან, ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვს.

(3) დენადი და განგრძობადი დანაშაული განმეორებითობას არ წარმოშობს.

**მუხლი 21. დანაშაულთა ერთობლიობა**

დანაშაულთა ერთობლიობა მდგომარეობს სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაში, როდესაც პირი არც ერთისთვის არ იყო მსჯავრდებული. ამასთან მხედველობაში არ მიიღება დანაშაული, რომლისთვისაც კანონით დადგენილი საფუძვლებით, პირი გათავისუფლებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

**მუხლი 22. დანაშაულის რეციდივი**

(1) დანაშაულის რეციდივა იმ პირის მიერ ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის, თუ ნასამართლობა ამ დანაშაულისათვის მას კანონით დადგენილი წესით გაქარწყლებული ან მოხსნილი არა აქვს.

(2) სასამართლო განაჩენით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად შეიძლება ცნობილ იქნეს პირი, რომელსაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ ხუთი წლისა:

ა) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, თუ იგი ადრე მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით მძიმე, ან ორჯერ — მძიმე დანაშაულისათვის და თითოეული მათგანისათვის დანიშნული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ხუთი წლისა;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის, თუ იგი ადრე ორჯერ იყო მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის ან განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულისათვის და თითოეული მათგანისათვის დანიშნული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ხუთი წლისა.

(3) განიხილავს რა პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხს, სასამართლო გაითვალისწინებს ბრალულის პიროვნებას, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, მის მოტივებს, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხარისხსა და ხასიათს და საქმის სხვა გარემო-

ბებს. სასამართლოს გადაწყვეტილება რეზულ უნდა იქნეს განაჩენში;

(4) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა ამ პირის მიერ თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

(5) ნასამართლობის გაქარწყლების ან მიხსნის შემთხვევაში ძალას კარგავს პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობა.

(6) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონების მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონით დადგენილი წესით ცნობილ იქნა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ამ დანაშაულის ჩადენამდე.

პარი III

**გარემოებანი, რომლებიც გამოიწვევს ქმედობის დანაშაულგარიგებას**

**მუხლი 23. აუცილებელი მოგერიება**

(1) დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიების ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებელი არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები.

(2) პირს აუცილებელი მოგერიების უფლება აქვს მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა იგი დააღწიოს ხელყოფას ან მიმართოს დახმარებისათვის სხვა პირს ან ხელისუფლების ორგანოს.

(3) აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება დაცვის ამკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან, რის შედეგადაც ხელმყოფს მიადგა ზიანი რაც ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ამ დროს ხელმყოფისათვის გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.



**მუხლი 24. უკიდურესი აუცილებლობა**

დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, საზოგადოებრივ ინტერესებს, ამ პირის თუ სხვა პირთა პიროვნებას ან უფლებებს, თუ ეს საფრთხე მოცემულ გარემოებაში არ შეიძლება აციდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცილებული.

**მუხლი 25. დამნაშავეს შეპყრობა**

დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მიმართულია დამნაშავეს შესაპყრობად, თუ ამასთან არ იყო დაშვებული შეპყრობილი-სათვის მიყენებული ზიანის აშკარა შეუსაბამობა მის მიერ შეპყრობისას გაწეული წინააღმდეგობის ხასიათთან.

**მუხლი 26. პროფესიული და სამეურნეო რისკი**

(1) დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ წარმოადგენს გამართლებულ პროფესიულ ან სამეურნეო რისკს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად.

(2) რისკი ჩაითვლება გამართლებულად, თუ ჩადენილი მოქმედება შეესაბამება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, ხოლო დასახული მიზანი ვერ იქნებოდა მიღწეული რისკთან დაკავშირებული მოქმედების გარეშე და პირმა, რომელმაც დაუშვა რისკი, მიიღო ყველა აუცილებელი ზომა სამართლით დაცული ინტერესებისათვის ზიანის ასაცილებლად.

**მუხლი 27. ბრძანების ან განკარგულების შესრულება**

დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია ბრძანების ან განკარგულების შესასრულებლად, თუ პირს არ ქონდა შეგნებული ამ ბრძანების ან განკარგულების და-

ნაშაულებრივი ხასიათი. ამასთან იმ ქმედობისათვის, რომელიც ჩადენილია დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესასრულებლად, პასუხს აგებს ის პირი, ვინც გასცა ასეთი ბრძანება ან განკარგულება.

**კარი IV**

**სასჯელის შესახებ**

**მუხლი 28. სასჯელი და მისი მიზნები**

(1) სასჯელი არის იძულების ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოს სახელით და სასამართლოს განაჩენით გამოიყენება იმის მიმართ, ვინც ცნობილია ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და გულისხმობს მსჯავრდებულის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და ინტერესების ჩამორთმევას ან შეზღუდვას.

(2) სასჯელი გამოიყენება მსჯავრდებულის გამოსწორებისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონის ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით ხელახალი აღზრდის მიზნით, აგრეთვე როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

(3) სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება.

**მუხლი 29. სასჯელის სახეები**

(1) დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ძირითადი სასჯელები:

- ა) გაკიცხვა;
- ბ) ჯარიმა;
- გ) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- დ) გამოსწორებელი სამუშაოები;
- ე) თავისუფლების შეზღუდვა;
- ვ) პატიმრობა;
- ზ) თავისუფლების აღკვეთა.

(2) სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს სასჯელი სამსახურებრივი შეზღუდვისა და საღისეობლირო ბატალიონში გაგზავნის სახით.

(3) ძირითადი სასჯელების გარდა მსჯავრდებულების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დამატებითი სასჯელები:

- ა) სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა;
- ბ) ქონების კონფისკაცია.

(4) ჯარიმა და გარკვეული თანამდებობის და-

კავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით.

(5) მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება აგრეთვე დაწესდეს ამ მუხლში მითითებულის გარდა სასჯელის სხვა სახეები, ამ საფუძვლების პრინციპებისა და ზოგადი დებულებების შესაბამისად.

**მუხლი 30. გაკიცხვა**

გაკიცხვა მდგომარეობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის ქმედობის უარყოფითი შეფასების საჯაროდ გამოხატვაში, რომლის შესახებ ეცნობება საზოგადოებრიობას პრესისა ან სხვა საშუალებით.

**მუხლი 31. ჭარიმა**

(1) ჭარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომელსაც სასამართლო დააკისრებს კანონით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში.

(2) ჭარიმის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ორასიდან ათას მანეთამდე ფარგლებში, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის — სამასიდან ხუთი ათას მანეთამდე ფარგლებში. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით განსაკუთრებულ შემთხვევებში ცალკეული დანაშაულისათვის შეიძლება დაწესდეს უფრო დიდი ჭარიმა. სასამართლო დაჯარიმებისას ითვალისწინებს დამნაშავეს ქონებრივ მდგომარეობას.

(3) ჭარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით და თავისუფლების აღკვეთისა — ჭარიმით დაუსწებელია.

**მუხლი 32. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**

(1) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ძირითადი სასჯელის სახით, ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ან დამატებითი სასჯელის სახით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

(2) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დამატებითი სასჯელის სახით სასამართლოს შეუძლია დანიშნოს იმ შემთხვევაში, როცა ეს ზომა გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის კანონით, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ 2. „საბჭოთა სამართალი“, № 1

პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე სასამართლო შეუძლებლად თვლის, რომ ამ პირმა განაგრძოს გარკვეულ თანამდებობასთან, პროფესიასთან ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციის შესრულება.

(3) გამასწორებელ სამუშაოებთან ამ სასჯელის დამატებითი სახით დანიშნისას მისი ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის დაწყების დღიდან. თავისუფლების აღკვეთისთან, პატიმრობასთან ან თავისუფლების შეზღუდვასთან ამ სასჯელის დამატებითი სახით დანიშნისას, იგი გრძელდება მსჯავრდებულის მიერ ძირითადი სასჯელის მოხდის მთელი ვადის განმავლობაში და გარდა ამისა, განაჩენით დადგენილი ვადის განმავლობაში.

**მუხლი 33. გამასწორებელი სამუშაოები**


(1) გამასწორებელი სამუშაოები ინიშნება ვადით ორი თვიდან ორ წლამდე და მოხდის უნდა იქნეს სასამართლოს განაჩენის შესაბამისად, ან მსჯავრდებულის მუშაობის ადგილას, ან სხვა ადგილას — მსჯავრდებულის საცხოვრებელ რაიონში. მსჯავრდებულს, რომელსაც მიესაჯა გამასწორებელი სამუშაოები, უკავებენ გამოიმუშავების ნაწილს სახელმწიფოს შემოსავლად სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით ათი პროცენტთან ოც პროცენტამდე. სასამართლოს შეუძლია დაავალოს შრომით კოლექტივს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით გაატაროს მის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი.

(2) გამასწორებელი სამუშაოები სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ არ გამოიყენება.

(3) გამასწორებელი სამუშაოების მოხდის დრო არ ჩაითვლება შრომის საერთო სტაჟში. თუ მსჯავრდებული გამასწორებელი სამუშაოების მოხდის პერიოდში კეთილსინდისიერად მუშაობდა და სანიმუშოდ იქცეოდა, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის შემდეგ, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობით გამასწორებელი სამუშაოების მოხდელი დრო ჩაუთვალოს შრომის საერთო სტაჟში.

(4) პირის გამასწორებელი სამუშაოების მოხდისაგან ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამასწორებელი სამუშაოების მოუხდელი ვადა შეცვალოს სასჯელით თავისუფლების შეზღუდვის სახით იმავე ვადით.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
გაბლიოთეკა



**მუხლი 34. თავისუფლების შეზღუდვა**

(1) თავისუფლების შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ პირს აგზავნიან განაჩენის აღმსრულებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილას, მისი შრომაში სავალდებულო ჩაბმისათვის, მასზე ზედამხედველობის განხორციელების პირობებში.

(2) თავისუფლების შეზღუდვა განისაზღვრება ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე.

(3) თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება: ორსული ქალების და იმ ქალების მიმართ, რომლებსაც ჰყავთ რვა წლის ასაკამდე ბავშვები, და შრომისუენარო პირების მიმართ; სამოც წელს მიღწეული წელს მიღწეული ქალების მიმართ, ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების და იმ პირების მიმართ, რომელთაც დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელთან ერთად დაენიშნათ ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ტოქსიკომანიისაგან იძულებითი მკურნალობის ღონისძიებანი, აგრეთვე ვინც არ გაიარა ვენერიულ დაავადებათა მკურნალობის სრული კურსი, უტხოვრო მთქალაქებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ.

(4) პირის მიერ თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ამ სასჯელის მოუხდელი ვადა შეცვალოს თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

**მუხლი 35. პატიმრობა**

(1) პატიმრობა არის პირის მოთავსება მკაცრი იზოლაციის პირობებში.

(2) პატიმრობა განისაზღვრება ერთიდან სამ თვემდე ვადით.

(3) პატიმრობა არ გამოიყენება ორსული ქალებისა და იმ ქალების მიმართ, რომლებსაც რვა წლის ასაკამდე ბავშვები ჰყავთ.

(4) სამხედრო მოსამსახურეები პატიმრობას ჰაუპტვახტში იხდიან.

**მუხლი 36. თავისუფლების აღკვეთა**

(1) თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება ვადით ექვსი თვიდან ათ წლამდე. თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა განისაზღვრება იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენისათვის ამ საფუძვლების 41-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დასაშვებია სიკვდილით დასჯა ბანდიტიზმისათვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით

დატაცებისათვის, ქრთამის აღებისათვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, საპაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცებისა ან ხელში ჩადებისათვის, რასაც მოჰყვა ერთი ან მეტი ადამიანის დაღუპვა, აგრეთვე სამხედრო დანაშაულისა და გენოციდისათვის.

(2) პატიმრის წესით სიკვდილით დასჯის თავისუფლების აღკვეთით შეცვლისას, იგი შეიძლება განისაზღვროს თხუთმეტი წელზე მეტი ვადითაც, მაგრამ არა უმეტეს ოცი წლისა.

(3) სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა დაენიშნებათ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეულ პირებს შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში, საერთო, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში ან საპყრობილეში. არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის ვადები და იმ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სახეები, სადაც მათ უნდა მოიხადონ ეს სასჯელი, განისაზღვრება ამ საფუძვლების 68-ე მუხლით.

(4) თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ მამაკაცებს სასჯელის მოხდა დაენიშნებათ:

ა) თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში;

ბ) თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულთ არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, რომლის ნუსხას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში;

გ) თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულთ არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, ვარდა ამ მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ პუნქტში აღნიშნულისა, და თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულთ განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

დ) მსჯავრდებულთ სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულისათვის ან პირებს, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით განზრახი დანაშაულისათვის და რომელთაც აქვთ ნასამართლობა და კვლავ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში;

ე) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.

(5) თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ ქალებს, სასჯელის მოხდა დაენიშნებათ:

ა) თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათ-

ვის — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში;

ბ) პირველად მსჯავრდებულთ განზრახი დანაშაულისათვის, რომელიც აღნიშნულია ამ მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ პუნქტში — კოლონია-დასახლებაში იმ პირთათვის, რომელთაც განზრახი დანაშაული ჩაიდინეს;

გ) მსჯავრდებულთ სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში;

დ) თავისუფლების აღკვეთით სხვა მსჯავრდებულთ — საერთო რეჟიმის კოლონიაში .

(6) ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აღნიშვნით, შეუძლია დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა: პირველად მსჯავრდებულთ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე განზრახი დანაშაულისათვის, რომელიც მითითებულია ამ მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ პუნქტში — საერთო რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში; თავისუფლების აღკვეთით სხვა მსჯავრდებულთ, რომლებიც არ არიან ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად — ნებისმიერი სახის შრომა-გასწორების კოლონიაში, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიისა და კოლონია-დასახლებისა.

(7) თავისუფლების აღკვეთა საპრობილეში მოთავსებით შეიძლება დაენიშნოს სასჯელის ნაწილობრივი ვადით, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა:

ა) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს;

ბ) პირებს, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით ხუთ წელზე მეტი ვადით.

(8) მსჯავრდებულისათვის დანიშნული შრომა-გასწორების დაწესებულების სახის შეცვლას ახდენს სასამართლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადანიშნული საფუძვლებითა და წესით, ხოლო შრომა-გასწორების დაწესებულების სახის უფრო მსუბუქით შეცვლას — შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია და სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისია ერთობლივი გადაწყვეტილებით.

**მუხლი 27. სამსახურებრივი შეზღუდვა**

(1) სამსახურებრივი შეზღუდვა გამოიყენება მსჯავრდებულ ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეების, პრაპორშჩიკების, მიჩმანების, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვადით ექვსი თვიდან სამ წლამდე, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო მხედველობაში მიიღებს რა საქმის გარემოებასა და მსჯავრდებულის პიროვნებას, მიზანშეწონილად მიიჩნევს ვადით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შეზღუდვის ნაცვლად გამოიყენოს სასჯელის ეს ღონისძიება იმავე ვადით.

(2) სამსახურებრივი შეზღუდვის სახით სასჯელის მოხდის დროს მსჯავრდებული არ შეიძლება დაწინაურდეს თანამდებობაზე, მოემატოს სამხედრო წოდება, სასჯელის ვადა არ ჩაეთვლება წელთა ნამსახურებაში, რათა მოემატოს მორიგი სამხედრო წოდება, უსახვერდება მორიგი შვებულების ხანგრძლივობა, ფულადი სარჩოდან დაქვეითება სასამართლოს განაჩენით სახელმწიფოს შემოსავალში განსაზღვრული ოდენობის თანხა ათიდან ოც პროცენტამდე.

(3) მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაურები, დაწესებულებათა და სამხედრო სასწავლებელთა უფროსები.


**მუხლი 28. სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა**

სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა გამოიყენება ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვადით სამი თვიდან სამ წლამდე, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო, მხედველობაში მიიღებს რა საქმის გარემოებას და მსჯავრდებულის პიროვნებას, მიზანშეწონილად მიიჩნევს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად გაგზავნას იგი იმავე ვადით სადისციპლინო ბატალიონში.

**მუხლი 29. სამხედრო ან სპეციალურ წოდებათა ჩამორთმევა**

(1) მძიმე დანაშაულისათვის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს, რომელსაც სამხედრო ან სპეციალური წოდება აქვს, შეიძლება სასამართლოს განაჩენით ეს წოდება ჩამოერთვას.

(2) მძიმე დანაშაულის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის იმ პირის მსჯავრდებისას, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბ-



სასჯელის დანიშვნა

მუხლი 42. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

კოს პრეზიდიუმის ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მინიჭებული აქვს სამხედრო ან სპეციალური წოდება, სასამართლო განაჩენის გამოტანისთანავე გადაწყვეტს, მიზანშეწონილია თუ არა იმ ორგანოში, რომელმაც წოდება მიანიჭა, წარდგინების შეტანა მსჯავრდებულისათვის სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 40. ქონების კონფისკაცია

(1) ქონების კონფისკაცია არის მსჯავრდებულის კუთვნილი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

(2) ქონების კონფისკაციას ადგენენ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის — აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები.

(3) კონფისკაცია შეიძლება სასამართლომ დანიშნოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

(4) მსჯავრდებულისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის აუცილებელი ქონების ნუსხას, რომელიც კონფისკაციას არ ექვემდებარება, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 41. განსაკუთრებული სასჯელი — სიკვდილით დასჯა

(1) განსაკუთრებული სასჯელის სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სახელმწიფოს ღალატისათვის, ჯაშუშობისათვის, ტერორისტული აქტისათვის, დივერსიისათვის, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, მცირეწლოვანის გაუბატოტებისათვის. სიკვდილით დასჯა სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება დაწესებულ იქნეს სხვა დანაშაულისთვისაც, რომელიც ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში.

(2) სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკში, ქალებისადმი და აგრეთვე მამაკაცების მიმართ, რომელთაც განაჩენის გამოტანის დროისათვის მიაღწიეს სამოცი წლის ასაკს.

(1) სასამართლო სასჯელს ნიშნავს კანონის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის. სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, შესაბამებოდეს ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური მართლშეგნებით, მხედველობაში იღებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, მისი ჩადენის მოტივებს, დამნაშავის პიროვნებას, მიყენებული ზიანის ხასიათსა და ოდენობას და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

(2) დანაშაულის ჩამდენ პირს უნდა დაენიშნოს სასჯელი, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მისი გამოსწორების, ხელახალი აღზრდის და ახალი დანაშაულის აცილებისათვის, სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ პირობით, რომ სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით მიღწეული არ იქნება მისი მიზანი.

მუხლი 43. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი

(1) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება:

ა) დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის მავნე შედეგების თავიდან აცილება;

ბ) გულწრფელი მონანიება, გამოცხადება ბრალის აღიარებით, დანაშაულის გახსნაში აქტიურად ხელის შეწყობა;

გ) მიყენებული ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;

დ) დანაშაულის ჩადენა მძიმე პირობაში, ოჯახურ ან სხვა გარემოებათა დამთხვევის გამო;

ე) დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების ვაგონით ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო;

ვ) დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების ვაგონით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის მიერ ძალადობის გამოყენებით, მძიმე შეურაცყოფით ან სხვა არამართლობიერი მოქმედებით;



ზ) დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის ამორალური ან წინადაუხედავი საქციელის ზეგავლენით;

თ) დანაშაულის ჩადენა აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დამნაშაულის შეპყრობის, პროფესიული თუ სამეურნეო რისკის მართლზომიერების პირობების დარღვევისას;

ი) დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;

კ) დანაშაულის ჩადენა ორსული ქალის მიერ.  
(2) მოკავშირე რესუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე სხვა შემამსუბუქებელი გარემოებანი.

(3) სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს აგრეთვე შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც კანონში არ არის აღნიშნული.

(4) შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც კანონით გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის ნიშანი, სასჯელის დანიშვნის დროს არ შეიძლება კვლავ მხედველობაში იქნეს მიღებული.

**მუხლი 44. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი**

(1) პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება:

ა) დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს რაიმე დანაშაული, გარდა ამ საფუძვლების მე-20 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სასამართლოს უფლება აქვს დანაშაულის ჩასიათის მიხედვით არ სცნოს ეს გარემოებანი დამამძიმებლად;

ბ) დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

გ) დანაშაულის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენა გრძობით;

დ) დანაშაულით მიიმე შედეგების გამოწვევა;

ე) დანაშაულის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;

ვ) დანაშაულის ჩადენა იმის გამოყენებით, ვინც დამნაშაულის წინასწარი შეცნობით ფსიქიურად არის დაავადებული, ან ჰეპსუსტია;

ზ) დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით ან აბუჩად ავლებით;

თ) დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივ უბედურებათა გარემოებების გამოყენებით;

ი) დანაშაულის ჩადენა საყოველთაო საშიში საშუალებით;

კ) დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში. სასა-

მართლოს უფლება აქვს დანაშაულის ჩასიათის მიხედვით ეს გარემოება არ სცნოს დამამძიმებელ გარემოებად;

ლ) დანაშაულის ჩადენა დამნაშაულისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

მ) დანაშაულის ჩადენა დამნაშაულისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ.

(2) მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე სხვა დამამძიმებელი გარემოებები.

(3) სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს არ შეუძლია სცნოს დამამძიმებლად გარემოება, რომელიც კანონში არ არის აღნიშნული.

(4) დამამძიმებელი გარემოება, რომელიც კანონით გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის ნიშანი, სასჯელის დანიშვნის დროს არ შეიძლება კვლავ იქნეს მიღებული მხედველობაში.

**მუხლი 45. კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა**

(1) სასამართლოს, თუ იგი გაითვალისწინებს საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც არსებითად ამცირებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროების ხარისხს, აგრეთვე დამნაშაულის პიროვნებას და საჭიროდ მიიჩნევს დაუნიშნოს მას ამ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი ან გადავიდეს სხვა, უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელზე, შეუძლია დაუშვას ასეთი შემსუბუქება, ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მოტივები.

(2) ამავე საფუძვლებით სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს პირი დამატებით სასჯელისაგან, როცა კანონი ამ დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს და მისი დანიშვნა აუცილებელია.

**მუხლი 46. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს**

(1) დანაშაულთა ერთობლიობისას, სასამართლო დანიშნავს რა სასჯელს თითოეული დანაშაულისათვის ცალკე, საბოლოოდ განსაზღვრავს სასჯელს, როცა უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს ან შეკრებს მთლიანად ან ნაწილობრივ სასჯელს კანონის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს.

(2) ძირითად სასჯელს შეიძლება დამატოს ყველა სხვა დამატებითი სასჯელი, გათვალისწინებული კანონით იმ დანაშაულისათვის, რომელთა ჩადენაში ეს პირი ცნობილი იყო დანაშავედ.



(3) იმავე წესით დანიშნება სასჯელი, თუ საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგენილი იქნა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის კიდევ სხვა დანაშაულში, რომელიც მან ჩადინა პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე. ამ შემთხვევაში სასჯელის ვადაში ჩათვლება პირველი განაჩენით მთლიანად ან ნაწილობრივ მოხდილი სასჯელი.

**მუხლი 47. სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობით**

(1) თუ მსჯავრდებულმა განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ სასჯელის სრულ მოხდამდე, ჩადინა ახალი დანაშაული, სასამართლო ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ უმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

(2) განაჩენითა ერთობლიობით საბოლოო სასჯელი უნდა იყოს მეტი, როგორც ახლად ჩადგენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელზე, ისე წინა განაჩენით მოუხდელ სასჯელზე.

(3) განაჩენითა ერთობლიობით სასჯელთა შეკრების დროს სასჯელის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს სასჯელის ამ სახისათვის დადგენილ მაქსიმალურ ვადას. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელთა შეკრების დროს სასჯელის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს, ხოლო იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონს დასაშვებად მიაჩნია თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა ათ წელზე მეტი ვადით. არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს.

**მუხლი 48. წინასწარი პატიმრობის ჩათვლა**

სასამართლო წინასწარ პატიმრობას ჩათვლის სასჯელის ვადაში ამ საფუძვლების 49-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

**მუხლი 49. სასჯელთა შეკრებისა და ჩათვლის წესი**

(1) დანაშაულთა ერთობლიობით და განაჩენითა ერთობლიობით სასჯელთა შეკრების დროს თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება:

- ა) პატიმრობის ან სადისციპლინო ბატალიონში ყოფნის ერთი დღე;
- ბ) თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე;
- გ) გამასწორებელი სამუშაოების ან სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე;

(2) ჯარიმის ან გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით სასჯელი დამოუკიდებლად აღსრულდება მათი შეკრებისას თავისუფ-

ლების აღკვეთასთან, სადისციპლინო ბატალიონში მოთავსებასთან, თავისუფლების შეზღუდვასთან, პატიმრობასთან, გამასწორებელ სამუშაოებთან ან სამსახურებრივ შეზღუდვასთან.

(3) ამ მუხლის პირველი ნაწილის წესები გამოიყენება სასჯელის ვადაში წინასწარი პატიმრობისა და სასჯელის ნაწილის მოხდის ჩათვლის შემთხვევაში.

(4) ისეთი სასჯელის დანიშვნისას, რომელიც მოხსენებული არ არის ამ მუხლის პირველ ნაწილში, 'სასამართლოს, ითვალისწინებს' რა წინასწარ პატიმრობას, სასჯელის მოხდელ ნაწილს ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების ვადას, შეუძლია შესაბამისად შეამსუბუქოს სასჯელი ან მთლიანად გაათავისუფლოს დამნაშავე მისი მოხდისაგან.

**მუხლი 50. სასჯელის ვადის გამოთვლა**

სასჯელის ვადა იანგარიშება თვეებით და წლებით. სასჯელის შეცვლის ან შეკრების დროს, აგრეთვე მისი ჩათვლისას დასაშვებია სასჯელის გაანგარიშება დღეებით.

**მუხლი 51. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის მომზადების, დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულში თანამონაწილეობისათვის**

(1) დანაშაულის მომზადების და დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლო მხედველობაში იღებს დამნაშავეს მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ხასიათსა და ხარისხს, დანაშაულგებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს და მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაული არ იქნა მიყვანილი ბოლომდე.

(2) დანაშაულის თანამონაწილეებისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლო მხედველობაში იღებს ჩადენილ დანაშაულში თითოეული მათგანის მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს. დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელიც ცალკეულ თანამონაწილის პიროვნებას მიეკუთვნება, სასამართლოს მიერ გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ამ თანამონაწილისათვის სასჯელის დანიშვნისას.

პარი VI

**პირობითი მსჯავრდება და სასჯელის აღსრულების გადადება**

**მუხლი 52. პირობითი მსჯავრდება**

(1) თუ თავისუფლების აღკვეთის, თავისუფლების შეზღუდვის ან გამასწორებელი სამუშა-

ობის, აგრეთვე სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის სახით დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს და დამნაშავეს პიროვნებას, დარწმუნდება, რომ დამნაშავეს მიერ, დანიშნული სასჯელის მოხდა არ არის მიზნაშეწონილი, მას შეუძლია დაადგინოს, რომ დამნაშავეს მიმართ არ იქნეს გამოყენებული პირობითი სასჯელი. ამ შემთხვევაში სასამართლო დაადგენს, რომ განაჩენი არ მოიყვანება სისრულეში, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებული არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. პირობითი მსჯავრდებისას მსჯავრდებულს შეიძლება დაენიშნოს დამატებითი სასჯელი, გარდა ქონების კონფისკაციისა.

(2) გამოსაცდელი ვადა ინიშნება ვადით ერთი წლიდან სამ წლამდე.

(3) პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევას კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები, არასრულწლოვანებს — აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, ხოლო სამხედრო მოსამსახურეებს — სამხედრო ნაწილის მეთაურები, დაწესებულებებისა და სამხედრო სასწავლებლის უფროსები.

(4) გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს, დამნაშავეს პიროვნებას, აგრეთვე დამნაშავეს სამუშაო ადგილიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობებს მისი პირობითი მსჯავრდების შესახებ, სასამართლოს შეუძლია პირობით მსჯავრდებული გადასცეს ამ ორგანიზაციებს ან კოლექტივს ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. აღნიშნული შუამდგომლობის უქონლობისას, სასამართლოს შეუძლია განსაზღვრულ შრომით კოლექტივს ან პირის, მათი თანხმობით, დააკისროს პირობით მსჯავრდებულზე მეთვალყურეობის გაწევისა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობა.

(5) იმ შემთხვევაში, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დანაშაული, სასამართლო დაუნიშნავს მას სასჯელს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გაითვალისწინებულია ამ საფუძვლების 47-ე მუხლით.

#### უხლი 58. სასჯელის აღსრულების გადადება

(1) იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრად თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით,

რაც მოწმობს მსჯავრდებულის გამოსწორებისა და საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე ხელახლა აღზრდის შესაძლებლობას, მაგრამ მის ყოფაქცევაზე კონტროლის გაწევის პირობით, სასამართლოს შეუძლია ასეთი პირის მიმართ გადადოს სასჯელის აღსრულება ვადით ერთიდან ორ წლამდე. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გადადოს დამატებითი სასჯელის აღსრულებაც.

(2) სასჯელის აღსრულება არ გადაიდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების მიმართ.

(3) სასჯელის აღსრულების გადადებისას სასამართლოს შეუძლია დაავალოს მსჯავრდებულს განსაზღვრულ ვადაში ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, დაიწყოს მუშაობა ან სწავლა, არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი შინაგან საქმეთა ორგანოს თანხმობის გარეშე, აცნობოს ამ ორგანოებს სამუშაოს ან სწავლის ადგილის შეცვლის შესახებ, პერიოდულად გამოცხადდეს შინაგან საქმეთა ორგანოში რეგისტრაციისათვის, გაიაროს ალკოპოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიულ დაავადებათა მკურნალობის კურსი, დააკისროს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობა, რომლის შესრულება ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

(4) სასამართლოს შეუძლია განსაზღვრულ შრომით კოლექტივს ან პირს, მათი თანხმობით, დააკისროს მსჯავრდებულზე მეთვალყურეობის გაწევის და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობა.

(5) იმ მსჯავრდებულთა ყოფაქცევას, რომელთა მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებულია, კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები, არასრულწლოვანებს — აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, ხოლო სამხედრო მოსამსახურეებს — სამხედრო ნაწილების მეთაურები, დაწესებულებათა და სამხედრო სასწავლებელთა უფროსები.

(6) თუ მსჯავრდებული, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებულია არ ასრულებს მასზე სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს ანდა არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან შრომის დისციპლინას, რასაც მოჰყვება ადმინისტრაციული სახელის ზომების ანდა დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება, მაშინ იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება სასჯელის აღსრულების გადადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ.



(7) განაჩენის აღსრულების გადადების ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლოს მსჯავრდებულის ყოფაქცევისადმი კონტროლის განმხორციელებელი ორგანოს წარდგინებით, სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის აღსრულების გადადების ვადის განმავლობაში, მსჯავრდებულის შრომისადმი ან სწავლისადმი დამოკიდებულების, მისი ყოფაქცევის მიხედვით გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლებისა ან განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ.

(8) თუ მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების გადადების პერიოდში ახალ დანაშაულს ჩადენს, სასამართლო ახალ სასჯელს მიუმატებს ადრე დანიშნულ სასჯელს ამ საფუძვლების 47-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

პარტი VII

**სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება**

**მუხლი 54. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება**

დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა ან სასჯელისაგან ანდა ვადადმე გათავისუფლდეს სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის მოხდისაგან.

**მუხლი 55. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო**

(1) პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა შემდეგი ვადები:

- ა) ორი წელი დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაულის ჩადენიდან;
- ბ) ოთხი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- გ) შვიდი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
- დ) ათი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან, გარდა ამ მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(2) მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დანაშაულის ცალკეული სახეების მიხედვით შეიძლება დაწესებულ იქნეს ხანდაზმულობის უფრო დაბალი ვადები.

(3) ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან განაჩენის გამოტანის მომენტამდე და არ წყდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრით.

(4) ხანდაზმულობის დინება წყდება, თუ კანონში აღნიშნული ვადების გასვლამდე განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი ჩადენს ახალ განზრახ დანაშაულს. ამასთან ხანდაზმულობის გამოთვლა დაწყება ახალი დანაშაულის ჩადენის მომენტიდან. სხვა შემთხვევებში, თუ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირი ჩადენს ახალ დანაშაულს, ხანდაზმულობის ვადა თითოეულ დანაშაულზე მიმდინარეობს დამოუკიდებლად.

(5) ხანდაზმულობის დინება შეჩერდება, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევებში ხანდაზმულობის დინება განახლება ამ პირის დაკავების ან ბრალის აღიარებით მისი გამოცხადების მომენტიდან. ამასთან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები გადიდება ორჯერ, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს თხუთმეტ წელს.

(6) ხანდაზმულობის გამოყენების საკითხს ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შესაძლებლად ვერ მიიჩნევს მის მიმართ გამოიყენოს ხანდაზმულობა, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება დანიშნულ იქნეს და იგი თავისუფლების აღკვეთით შეიცვლება.

ხანდაზმულობა არ გამოიყენება სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 56. სასჯელისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო**

(1) პირი თავისუფლდება სასჯელისაგან, თუ გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან აღსრულებული არ იყო შემდეგ ვადებში:

- ა) ორი წელი — მსჯავრდებისას თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ორი წლისა ან სასჯელით, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან;
- ბ) ოთხი წელი — მსჯავრდებისას თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა;
- გ) შვიდი წელი — მსჯავრდებისას თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ათი წლისა;
- დ) ათი წელი — მსჯავრდებისას უფრო



მკაცრი სასჯელით, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით.

(2) მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დანაშაულის ცალკეული სახეებისათვის შეიძლება დადგენილ იქნეს ხანდაზმულობის უფრო დაბალი ვადები.

(3) ხანდაზმულობის დინება წყდება, თუ მსჯავრდებული თავს არიდებს სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის დინება განახლებულია მსჯავრდებულის სასჯელის მოხდასათვის გამოცხადების მომენტიდან ან მისი დაკავების მომენტიდან. ამასთან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები გადიდება ორჯერ. მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს თხუთმეტ წელს.

(4) სიკვდილმისჯილი პირისათვის ხანდაზმულობის გამოყენების საკითხს სასამართლო გადაწყვეტს, თუ სასამართლო შესაძლებლად ვერ მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, სიკვდილით დასჯა შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით.

(5) ხანდაზმულობა არ გამოიყენება სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 57. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება**

**საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებით**

(1) დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მისი გამოსწორება და ხელახალი აღზრდა შესაძლებელია საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებით. ასეთი პირების გამოსწორებისა და აღზრდისათვის გამოიყენებენ შრომით კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

(2) ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემული საფუძვლების არსებობისას, პროკურორს, გამომძიებელს ან მოკვლევის ორგანოს პროკურორის თანხმობით, აგრეთვე სასამართლოს შეუძლიათ გაათავისუფლონ პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან:

- ა) საქმის მასალების ამხანაგური სასამართლოს განსახილველად გადაცემით;
- ბ) შრომითი კოლექტივისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის პირის თავდებქვეშ გადაცემით.

**მუხლი 58. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება პირის საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვისა ან მავნე შედეგების თავიდან აცილების გამო**

(1) დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეულ იქნება, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ვითარების შეცვლის შედეგად ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

(2) პროკურორს, გამომძიებელს ან მოკვლევის ორგანოს პროკურორის თანხმობით, აგრეთვე სასამართლოს შეუძლიათ დანაშაულის ჩამდენი პირი გაათავისუფლონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ამ პირმა გულწრფელად მოინანია დანაშაული, გამოცხადდა ბრალის აღიარებით და მიღებული ზომებით აცილებული იქნა მავნე შედეგები.

(3) დანაშაულის ჩამდენი პირი, სასამართლოს განაჩენით შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმწიკვლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

**მუხლი 59. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება**

(1) პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის, თავისუფლების შეზღუდვის, გამასწორებელი სამუშაოების სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის ან სამსახურებრივი შეზღუდვის სახით, შეიძლება შეეფარდოთ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება. ამასთან პირი შეიძლება გათავისუფლდეს დაამატებითი სასჯელისაგან.

(2) სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

(3) სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, როცა მსჯავრდებული ფაქტობრივად მოიხდის:

- ა) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ნახევარს დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაულისათვის ან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის;
- ბ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის



არანაკლებ ორ მესამედს მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის რეციდივის დროს, თუ ადრე პირი მსჯავრდებული იყო თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის;

გ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ სამ მეოთხედს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე პირისათვის დანიშნულ სასჯელს, რომელიც ადრე ვადამდე პირობით იყო გათავისუფლებული და სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული.

(4) სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებისას, სასამართლოს შეუძლია დააკისროს განსაზღვრულ შრომითს კოლექტივს, მისი შუამდგომლობით ან თანხმობით, მეთვალყურეობა გაუწიოს ვადამდე პირობით გათავისუფლებულს და გასწიოს მასთან აღმზრდელობითი მუშაობა სასჯელის ვადის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში.

(5) ვადამდე პირობითი გათავისუფლება არ გამოიყენება:

ა) იმ პირის მიმართ, რომელსაც სიკვდილით დასჯა შეწყალების ან ამნისტიის წესით შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით;

ბ) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიმართ.

(6) თუ ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა პირმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დანაშაული, სასამართლო სასჯელს დაუნიშნავს ამ საფუძვლების 47-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

**მუხლი 60. სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით**

(1) პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა ან გამასწორებელი სამუშაოები, აგრეთვე სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიძლება შეეცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

(2) სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოსწორების გზაზე დამდგარი მსჯავრდებულის მიმართ, როცა ის ფაქტობრივად მოიხდის:

ა) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ერთ მესამედს დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაულისა, ან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის;

ბ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ნახევარს მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის რეციდივის დროს, თუ ადრე პირი მსჯავრდებული იყო თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის;

გ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ორ მესამედს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე პირისათვის დანიშნულ სასჯელს, რომელიც ადრე ვადამდე პირობით იყო გათავისუფლებული და სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული.

(3) თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას თავისუფლებებს შეზღუდვით გამასწორებელი სამუშაოებით, აგრეთვე სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, ეს სასჯელები ენიშნებათ სასჯელის ამ სახისათვის კანონით განსაზღვრული ვადების ფარგლებში და არ უნდა აღემატებოდეს თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის ვადას.

(4) სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება ამ საფუძვლების 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილში ჩამოთვლილი პირების მიმართ.

(5) სასჯელის შეცვლისას უფრო მსუბუქი სასჯელით, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელისაგან. მსჯავრდებული გათავისუფლება დამატებითი სასჯელისაგან, თუ იგი უფრო მკაცრია, ვიდრე ახალი ძირითადი სასჯელი.

(6) იმ პირების მიმართ, რომელთაც სასჯელი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, ვადამდე პირობით გათავისუფლება გამოიყენება ამ საფუძვლების 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

**მუხლი 61. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო**

(1) დანაშაულის ჩამდენი პირი არ დაისჯება, თუ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე იგი დაავადდა ფსიქიკურად, რაც მას უსპობს შესაძლებლობას ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას.

(2) თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ პირი ფსიქიკურად დაავადდა, რაც მას უსპობს შესაძლებლობას ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას, უნდა გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

(3) ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში მოხსენებულ პირებს სასამართლომ შეუძლია შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, გათვალისწინებული ამ საფუძვლების 75-ე მუხლით. გამოჯანმრთელების შემთხვევაში ასეთი პირები შეიძლება დაინახონ.

(4) პირი, რომელიც განაჩენის გამოტანის შემდეგ დაავადდა სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც შეუძლებელს ხდის სასჯელის მოხდას, შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან სას-

ჯელის შემდგომი მოხდისაგან. ამ საკითხის გა-  
დაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს  
ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებუ-  
ლის პიროვნებას და სხვა გარემოებებს.

**მუხლი 62. სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან  
გათავისუფლება ამნისტიის ან შეწყალების  
აქტის საფუძველზე**

(1) დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გა-  
თავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებ-  
ლობისაგან, ხოლო დანაშაულისათვის მსჯავრ-  
დებული პირი შეიძლება მთლიანად ამ ნაწი-  
ლობრივ გათავისუფლდეს როგორც ძირითადი  
ისე დამატებითი სასჯელისაგან, ან გათავისუფ-  
ლდეს პირობით ანდა ასეთ პირს სასჯელის მო-  
უხდელი ნაწილი შეეცვალოს უფრო მსუბუქი  
სასჯელით ამნისტიის ან შეწყალების აქტის სა-  
ფუძველზე.

(2) თუ ამნისტიის ან შეწყალების აქტის სა-  
ფუძველზე სასჯელისაგან პირობით გათავისუფ-  
ლებული პირი გამოსაცდელ ვადაში ჩაიდენს  
ახალ დანაშაულს, სასამართლო მას დაუნიშნავს  
სასჯელს ამ საფუძველების 47-ე მუხლით გათ-  
ვალისწინებული წესებით.

**მუხლი 63. ნასამართლობა**

(1) ნასამართლობას სამართლებრივი მნიშვნე-  
ლობა აქვს ახალი დანაშაულის ჩადენისას, აგ-  
რეთვე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით  
გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

(2) პირი ნასამართლებად ითვლება გამამტყუ-  
ნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან. სა-  
სამართლოს განაჩენით გათავისუფლებული პი-  
რები არ ითვლებიან ნასამართლობის მქონედ.

(3) ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვ-  
ლება:

ა) თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდე-  
ლი ვადის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ და-  
ნაშაულს;

ბ) თუ პირი, რომლის მიმართ დანაშაულის  
აღსრულება გადაიდო, გადადებული დროის გან-  
მავლობაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და  
განაჩენი დადგენილი წესით არ იყო მოყვანილი  
სისრულეში;

გ) თუ პირის მიმართ, რომელსაც მისჯილი  
ქმონდა ვაკიცხვა, ეს სასჯელი აღსრულდა, აგ-  
რეთვე თუ პირმა, რომელმაც მოიხადა სასჯე-  
ლი გარკვეული თანამდებობის დაკავების ან  
გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთვის  
სახით, აგრეთვე სამსახურებრივი შეზღუდვის ან  
სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის სახით;

დ) თუ ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულები-  
დან, აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოების, ან

პატიმრობის სახით სასჯელის მოხდიდან გავი-  
და ერთი წელი;

ე) თუ თავისუფლების შეზღუდვის სახით ან  
არაუმეტეს ხუთი წლის თავისუფლების აღკ-  
ვეთის სასჯელის მოხდიდან გავიდა ორი წელი;

ვ) თუ ხუთ წელზე მეტი ვადით და არა-  
უმეტეს ათი წლისა თავისუფლების აღკვეთის  
სახით სასჯელის მოხდიდან გავიდა სამი წელი;

ზ) თუ ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების  
აღკვეთის სახით სასჯელის მოხდიდან გავიდა  
ხუთი წელი;

თ) თუ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად  
ცნობილი პირის მიერ თავისუფლების აღკვეთის  
სახით სასჯელის მოხდის შემდეგ გავიდა ათი  
წელი.

(4) ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გა-  
მოითვლება ძირითადი და დამატებითი სასჯელის  
მოხდის დღიდან.

(5) ნასამართლობის გაქარწყლების ვადაში  
ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც  
განაჩენი არ იყო მოყვანილი სისრულეში და  
ამასთან აღსრულების ხანდაზმულობა არ შეწყ-  
ვეტილა. თუ განაჩენი არ იყო მოყვანილი სის-  
რულეში, ნასამართლობა გაქარწყლება განა-  
ჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გას-  
ვლის შემდეგ.


(6) თუ პირი, კანონით დადგენილი წესით  
ვადამდე იყო გათავისუფლებული სასჯელისა-  
გან, ან სასჯელი შეეცვალა უფრო მსუბუქი სას-  
ჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა  
გამოითვლება ფაქტობრივად მოხდილი სასჯელი-  
დან გამომდინარე.

(7) თუ მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის  
შემდეგ სამაგალითო ყოფიქცევით და შრო-  
მისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტყი-  
ცა თავისი გამოსწორება, შრომითი კოლექტივის  
ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შუამდგომ-  
ლობით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას  
ნასამართლობა ამ მუხლის მესამე ნაწილში აღ-  
ნიშნული ვადების გასვლამდე.

(8) ნასამართლობა შეიძლება მოხსნილ იქნეს  
ამნისტიის ან შეწყალების აქტის საფუძველზე.

(9) თუ პირი, რომელმაც მოიხადა სასჯელი,  
ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამ-  
დე კვლავ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ნასამართ-  
ლობის გაქარწყლების ვადის მიმდინარეობა  
წყდება. ამ შემთხვევაში ორივე დანაშაულისათ-  
ვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გამო-  
ითვლება ახალი დანაშაულისათვის, ძირითადი  
და დამატებითი სასჯელის მოხდის შემდეგ.

(10) ნასამართლობის გაქარწყლება და მოხსნა  
აუქმებს ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივ  
შედეგებს.



პარტი VIII

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურებანი

მუხლი 64. ზოგადი დებულებანი

იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკში, დგება ამ საფუძვლების დებულებათა შესაბამისად, ამ კართ ვათვალისწინებული წესების მხედველობაში მიღებით.

მუხლი 65. სასჯელის სახეობა, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანის მიმართ

(1) არასრულწლოვანის მიმართ შეიძლება გამოიყენებულ იქნეს შემდეგ სახის სასჯელები:

- ა) გაიციხვა;
- ბ) ჯარიმა;
- გ) გამასწორებელი სამუშაოები;
- დ) პატიმრობა;
- ე) თავისუფლების აღკვეთა.

(2) მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, გარდა ამ მუხლში მითითებული სასჯელის სახეებისა, შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა სახის სასჯელები ამ საფუძვლების პრინციპებისა და ზოგადი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 66. ჯარიმა

ჯარიმა გამოიყენება მხოლოდ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ხელფასი. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ორმოცდაათიდან ორას მანეთამდე, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის — ხუთას მანეთამდე.

მუხლი 67. პატიმრობა

განაჩენის გამოტანის დროისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანების მიმართ პატიმრობა გამოიყენება ვადით ოციდან ორმოცდახუთ დღემდე.

მუხლი 68. თავისუფლების აღკვეთა

(1) პირს, რომელმაც თვრამეტ წლამდე ჩაიდინა დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაული, სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არ დაენიშნება.

(2) პირის მიერ თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის — ხუთ წელს;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის — ხუთ წელს;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის — შვიდ წელს.

(3) პირს, რომელსაც განაჩენის გამოტანის დროისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი სასჯელის მოხდა თავისუფლების აღკვეთის სახით დაენიშნება საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდევლობით კოლონიებში.

(4) სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდევლობით კოლონიებში დაენიშნებათ:

ა) მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე მდებარეობითი სქესის არასრულწლოვანებს — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

ბ) მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებმაც ადრე თავისუფლების აღკვეთის სახით მოიხადეს სასჯელი და ითვლებიან ნასამართლობის მქონედ — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში.

(5) ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დანაშაულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აღნიშვნით შეუძლია დაუნიშნოს მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს — თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდევლობით კოლონიაში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიისა.

მუხლი 69. სასჯელის დანიშვნა

არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნისას, სასამართლო მხედველობაში იღებს გარდა ამ საფუძვლების 42-ე, 43-ე და 44-ე მუხლებში აღნიშნული გარემოებებისა, არასრულწლოვანის განვითარების დონეს, მისი ცხოვრების და აღზრდის პირობებს, მოზრდილთა გავლენას.

მუხლი 70. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება

(1) არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაული, პროკურორის, გამოძიებლის ან მოკვლევის ორგანოს მიერ პროკურორის თანხმობით, აგრეთვე სასამართლოს მიერ შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საქმის მასალების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის განსახიველად გადაცემით, თუ დადგენილი იქნება, რომ ჩადენილი ქმედობის ხასიათით, პიროვნუ-

ლი მონაცემებით და საქმის სხვა გარემოებებით მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სასჯელის გამოუყენებლად.

(2) არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან განმეორებით დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაული, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს სასჯელისაგან და გამოიყენოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება, თუ დადგენილი იქნება, რომ ჩადენილი ქმედობის ხასიათის, პიროვნების შესახებ მონაცემებით და საქმის სხვა გარემოებებით მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სასჯელის გამოუყენებლად.

(3) აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების სახეებსა და წესს დაადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

#### მუხლი 71. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გაათავისუფლება

(1) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი სამუშაოებით თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვადამდე პირობით გათავისუფლება. ამასთან ეს პირი შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს დამატებითი სასჯელისაგანაც.

(2) მსჯავრდებულის მიმართ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისა და სწავლისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

(3) სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება გამოიყენება მას შემდეგ, როცა მსჯავრდებული ფაქტობრივად მოიხდის:

ა) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ერთ მესამედს დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე და ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის;

ბ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ნახევარს მძიმე დანაშაულისათვის;

გ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ორ მესამედს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის რეციდივის დროს, თუ პირი ადრე მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით.

(4) სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების გამოყენებისას, სასამართლოს შეუძლია დააკისროს განსაზღვრულ შრომითს კოლექტივს ან პირს, მათი თანხმობით, სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის

განმავლობაში მეთავალსურეობა გაუწიონ ვადამდე პირობით გათავისუფლებულს და გასწიონ მასთან აღმზრდელობითი მუშაობა.

(5) თუ ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა პირმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დანაშაული, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ საფუძვლების 47-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

#### მუხლი 72. სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით

(1) პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოები, სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიძლება შეეცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

(2) სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოსწორების გზაზე დამდგარი მსჯავრდებულის მიმართ, როცა ის ფაქტობრივად მოიხდის:

ა) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ერთ მეოთხედს დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის;

ბ) სასამართლოს მიერ მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის არანაკლებ ერთ მესამედს;

გ) სასამართლოს მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის რეციდივის დროს, თუ ადრე პირი მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით, დანიშნული სასჯელის არანაკლებ ნახევარს;

(3) სასჯელის შეცვლისას უფრო მსუბუქი სასჯელით, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს დამტებითი სასჯელისაგან. მსჯავრდებული გათავისუფლდება დამატებითი სასჯელისაგან თუ იგი უფრო მკაცრია, ვიდრე ახალი ძირითადი სასჯელი.

(4) იმ პირების მიმართ, რომლებსაც სასჯელი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, ვადამდე პირობით გათავისუფლება გამოიყენება ამ საფუძვლების 71-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით.

#### მუხლი 73. ნასამართლობა

არასრულწლოვანი, რომელიც მსჯავრდებულია დიდი საზოგადოებრივი საშიშროების არმქონე დანაშაულისათვის, სასჯელის მოხდის შემდეგ ნასამართლობის მქონედ არ ჩაითვლება.



პარნი IX

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებაანი

მუხლი 74. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მიზნები

იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა და აქვთ ფსიქიკური მოშლილობა, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები გამოიყენება მათი მხრიდან ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის თავიდან ასაცილებლად, მათი პიროვნების დაცვისათვის და ასეთი პირების სამკურნალოდ.

მუხლი 75. ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფთა მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა გამოყენება

(1) იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეუტრაცხად მდგომარეობაში ჩაიდინეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ანდა დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე ან გამოტანის შემდეგ დაავადნენ ფსიქიკურად, რაც მათ არ აძლევს შესაძლებლობას ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას ან უხელმძღვანელონ მას, სასამართლო იყენებს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას, თუ ეს პირები მათ მიერ ჩადენილი ქმედობის ხასიათითა და ავადმყოფური მდგომარეობით საზოგადოებისათვის საშიშროებას წარმოადგენენ.

(2) სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს სამედიცინო ხასიათის შემდეგი იძულებითი ღონისძიებანი:

ა) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მკურნალობა ჩვეულებრივი მეთვალყურეობით;

ბ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მკურნალობა გაძლიერებული მეთვალყურეობით;

გ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მკურნალობა მკაცრი მეთვალყურეობით.

(3) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების ნაცვლად, სასამართლოს შეუძლია ფსიქიკურად დაავადებული გადასცეს მზრუნველობაში ნათესავეებს ან სხვა პირებს, რომლებიც უვლიან ავადმყოფს საცხოვრებელ ადგილის მიხედვით სავალდებულო საექიმო მეთვალყურეობით.

(4) დრო, რომლის განმავლობაში დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ გამოყენებული იყო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ჩაითვლება სასჯელის ვადაში.

(5) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების პირობებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 76. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა და ტოქსიკომანების მიმართ

(1) ალკოჰოლიკის, ნარკომანის ან ტოქსიკომანის მიერ დანაშაულის ჩადენისას სასამართლოს, ექიმთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, სასჯელთან ერთად შეუძლია ამ პირის მიმართ გამოიყენოს იძულებითი მკურნალობა.

(2) თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული ალკოჰოლიკის, ნარკომანის ან ტოქსიკომანისათვის მკურნალობას გაივლის სასჯელის მოხდის ადგილას, ან დახურულ სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო ისეთი სასჯელის შეფარდებისას, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან — სპეციალური სამკურნალო რეჟიმის სამედიცინო დაწესებულებაში.

# სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ახალი ეტაპი

ვიქტორ შარაშენიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

სკკ XIX პარტიული კონფერენციის მიერ დასახული საპროგრამო ამოცანების — სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების და სამართლებრივი რეფორმის განხორციელების აუცილებელ პირობას კანონმდებლობის განახლება წარმოადგენს. რიგ საკითხებში იგი ჩამორჩა გარდაქმნის პერიოდის მოთხოვნებს, ამიტომ იგი შეიძლება საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ მიზეზად იქცეს.

იცვლება კონსტიტუციური დებულებები, იქმნება ახალი კანონმდებლობა, სრულყოფას განიცდის სამართლის ყველა დარგი. დღის წესრიგში დადგა გარდაქმნის სწორი და სადაგი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავება.

სპეციალისტების მიერ შემუშავებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი საჯარო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნდა და მის განხილვაში რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობა მონაწილეობს. კანონპროექტის საყოველთაო-საჯარო განხილვა კანონის შემუშავების ყველაზე დემოკრატიული და საიმედო გზაა.

კანონპროექტი 9 კარისა და 75 მუხლისაგან შედგება, მოქმედი საფუძვლები კი 4 კარისა და 45 მუხლისაგან. ეს ციფრობრივი განსხვავება მარტო რაოდენობის და მოცულობის მანიშნებელი არ არის. კანონპროექტში მნიშვნელოვანი სიახლეებია: ზოგი მუხლი სახეშეცვლილია, ცალკეული დებულებები და მუხლები, აგრეთვე მთელი თავები სრულიად ახალია ან ახლებურადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, მასში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხები თავისებურებათა გამო ცალკე კარად არის შესული. ეს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც უფრო სრულყოფილად გამოიყურება.

კანონპროექტი შეიცავს პრეამბულას, რომელიც არ გააჩნია მოქმედ სისხლის სამართლის კანონს და როგორც წესი, მხოლოდ კონსტიტუციური კანონმდებლობის დონეზე გვხვდება.

კანონპროექტი საჭიროდ მიიჩნევს საკანონმდებლო წესით განამტკიცოს თეორიული დებულებები იმის შესახებ, რომ სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებასთან, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ურყევ დაცვასთან, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებასა და მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრასთან. მისასაღებელ დებულებად წარმოგ-

ვიდგება პრეამბულაში უპირველეს ამოცანად აღიარებული საბჭოთა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა. იგი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასაცავ ღირებულებათა შორის ადამიანის პიროვნების პრიორიტეტის საკანონმდებლო წესით პირველ აღიარებად აღიქმება. მას მხოლოდ შემდგომი განვითარება ესაჭიროება.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე პრეამბულის დებულება, რომ დანაშაულის თავიდან აცილება მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებების კომპლექსით გახდება შესაძლებელი.

პრეამბულაში კიდევ რამდენიმე დებულებაა, რომელთა საკანონმდებლო წესით დამკვიდრება უდაოდ ხელს შეუწყობს კანონიერების განმტკიცებას, სისხლის სამართლის პოლიტიკაში ჰუმანური პრინციპების აღწევებას, კანონის ზოგადსაკაცობრიო მიზნების განხორციელებას. თუნდაც ის, რომ ფართოდ იყოს გამოყენებული ისეთი სასჯელების დანიშვნა, „რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიღინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და შეუძლიათ გამოსწორდნენ საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე“ ან „ვინც ჩაიღინა დანაშაული და მოინანია ბრალი, შეიძლება კვლავ გახდეს საბჭოთა საზოგადოების სრულუფლებიანი მოქალაქე“.

პრეამბულის აღნიშნული დებულებები პრაქტიკული ხასიათის მოქმედებებს განსაზღვრავს — მოუწოდებს და გზას აძლევს მართლმსაჯულების ორგანოებს სამართალგამოყენებითი საქმიანობისათვის.

საფუძვლების პროექტის პირველივე მუხლები, სადაც ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის ყველაზე ზოგადი დებულებები, კომპეტენციის საკითხები, კანონმდებლობის ამოცანები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები, კანონის მოქმედება დროსა და სივრცეში და სხვა, მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით ბევრად უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი.

კანონპროექტის პირველივე მუხლი, განსაზღვრავს რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემადგენლობას, გამიჯნავს მათს კომპეტენციას. საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კანონები განსაზღვრავენ მხოლოდ პასუხისმგებლობას სახელმწიფო და სამხედრო, აგრეთვე მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. კანონპროექტი იტოვებს უფლებას მომავალში, სსრ კავშირის ინტერესების დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში, განსაზღვროს პასუხისმგებლობა სხვა დანაშაულისათვისაც.

კანონპროექტში პირველად არის სავალდებულოდ მიჩნეული ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა სსრ კავშირთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებთან.

ეს უკვე საშინაო და საერთაშორისო სამართლის თანაფარდობას ეხება და საერთაშორისო ნორმების პრიორიტეტს მიანიშნებს. სსრ კავშირის ცნობილმა იურისტმა მეცნიერებმა ეს ფაქტი სამართლებრივი ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის კარგ გამოვლინებად მიიჩნიეს, იგი სრულად შეესაბამება ცოტა ხნის წინათ დამთავრებულ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომ-

ლობის თათბირის მონაწილეთა ვენის შეხვედრის მასალებს. იქ, როგორც მოგეხსენებათ, ხაზი გაესვა სახელმწიფოთა ურთიერთკავშირის, მათ შორის სამართლის დარგში, გაღრმავების დიდ მნიშვნელობას.

საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანების განსაზღვრისას მოქმედი კანონი ზოგადად სოციალისტური საკუთრების დაცვას მოითხოვს. კანონპროექტი კი ცალ-ცალკე წარმოგვიდგენს დაცვის მოცემულ ობიექტს — სახელმწიფო, კოოპერაციულ საკუთრებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას. ასეთ განსაზღვრას უდაოდ პრაქტიკული ღირებულება ეძლევა გაუმართლებლად ვრცელი თუ შეზღუდული განმარტებების თავიდან ასაცილებლად. სისხლის სამართლის წესით დაცვის დამოუკიდებელ ობიექტებად გათვალისწინებულია ბუნებრივი სამყარო, მშვიდობა და კაცობრიობის უშიშროება. ეჭვსგარეშეა, ეს დებულებანი სრულად მიესადაგება ჩვენი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას (მუხ. 2).

პირველად არის აგრეთვე შემოღებული სპეციალური, ყველა პროგრესული კანონმდებლობისათვის აუცილებელი მუხლი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპების შესახებ (მუხლი 3). აღიარებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადსაკაცობრიო პრინციპები: კანონიერება, დემოკრატიზმი, პასუხისმგებლობის გარდაუვალობა, მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობა და, რა თქმა უნდა, სამართლიანობა და ჰუმანიზმი.

ამ მუხლში საპატიო ადგილს იკავებს სისხლის სამართლის ფუძემდებლური პრინციპი, უდანაშაულობის პრეზუმპციის სახელით ცნობილი, ქრესტომათიული, სამწუხაროდ წარსულში ხშირად შეღახული პრინციპი: არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენებით და კანონის შესაბამისად.

გფიქრობ, ისინი სამართლებრივი სახელმწიფოს სწორი და შესაფერისი პრინციპებია და საშუალებას გვაძლევენ ნათლად დავიანხოთ ჩვენი სამართლის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი ბუნება, რაც აუცილებელია პრაქტიკული საკითხების სწორად გადაჭრისათვის, სასამართლო პრაქტიკის გეზის განსაზღვრისათვის.

პროექტის მე-4 მუხლის უდაოდ უფრო სრულყოფილი რედაქცია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ, გადაწყვეტს მეცნიერ-თეორეტიკოსებს შორის დიდ ხანს არსებულ დავას იმის თაობაზე, თუ რა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი — დანაშაულის ჩადენის ფაქტი თუ დანაშაულის შემადგენლობის არსებობა. კანონპროექტი იყენებს ორივე საფუძველს — ობიექტურსაც და ფორმალურსაც, მაგრამ უპირატესობას მაინც ობიექტურ მხარეს, ადამიანის ფაქტიურ ქმედობას ანიჭებს.

ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ყველას თანასწორობას აღიარებს კანონპროექტის ეს მუხლი. იგი ზემოთმოყვანილი სამართლის პრინციპების დონის დებულებებს შეიცავს: ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს პირი, მიუხედავად წარმოშობისა, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, განათლებისა, ენისა, რელიგიასთან დამოკიდებულებისა, საქმიანობის რაობისა და ხასიათისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებებისა; ან კი-

დევ ასეთი — არავის არ შეიძლება ორჯერ დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ერთი და იგივე დანაშაულისათვის.

უთუოდ მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას კანონპროექტის მე-5—მე-7 მუხლები, რომლებიც კანონის სივრცესა და დროში მოქმედებას განსაზღვრავენ. მაგალითად, მოქმედი საფუძვლების მე-4 მუხლი მეტად მოკლედ განსაზღვრავდა კანონის მოქმედებას სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილ ქმედობათა მიმართ: საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის პირს პასუხისმგებლობა ეკისრება დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი კანონების მიხედვით.

ცხოვრებამ დააყენა საკითხები: რომელი კანონით აგოს პასუხი პირმა, მაგალითად საბჭოთა გემზე სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის? ან ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაწყებული და მეორე რესპუბლიკაში დამთავრებული დანაშაულისათვის?

თეორეტიკოსების დავას და საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების შეცდომებს, ამ საკითხებზე, ვიმედოვნებთ, აღარ ექნება ადგილი, რამეთუ პროექტის მე-5 მუხლი გვთავაზობს: თუ დანაშაული ჩადენილია საბჭოთა საპაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდზე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, პასუხისმგებლობა დადგება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონით, რომლის პორტზეც მიწერილია ეს ხომალდი.

მეორე შესაძლებელ კითხვაზეც ამომწურავ პასუხს გვთავაზობს საფუძვლების პროექტი: თუ დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ რესპუბლიკის კანონი, სადაც დანაშაული დამთავრდა ან აღკვეთილი იქნა.

კანონპროექტში კვლავ მოქმედი ნორმის დედაარსია გადმოცემული, ოღონდ უფრო დაწვრილებით, სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების შესახებ. ურიგო არ იქნება შევახსენოთ მკითხველებს, რომ მდგომარეობის შემამსუბუქებელ კანონს უკუქცევითი ძალა აქვს ე. ო. ვრცელდება პირზე, რომელმაც ჩაიდინა შესაბამისი ქმედობა ასეთი კანონის მიღებამდე, ხოლო ქმედობის დანაშაულებრიობის დამწესებელ ან სასჯელის დამამძიმებელ, მისი მდგომარეობის გამაუარესებელ კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს (მუხ. 7).

საფუძვლების პროექტის შემდეგი, მეორე კარი ეძღვნება ნორმებს დანაშაულის შესახებ. ამ კარის პირველივე მუხლი, რომელიც განმარტავს დანაშაულის ცნებას (მუხ. 8), წარმოდგენილია, ასე ვთქვათ, აღდგენილი სახით. საქმე ის არის, რომ ამჟამად მოქმედი ნორმა არ შეიცავს დანაშაულის დამახასიათებელ ყველა ნიშანს. კერძოდ, მასში მითითებულია მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროება და ქმედობის მართლსაწინააღმდეგობა, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი, როგორცაა ბრალეულობა, გამოტოვებულია და ამიტომ ამ ხარვეზის შევსებისათვის ჩვენ უნდა მიგვემართა საფუძვლების მესამე მუხლისათვის, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებს, გამოგვეყენებინა ე. წ. სისტემური განმარტებითი მეთოდი.

პროექტით მოცემულ დანაშაულის ცნების რედაქციას უკვე არა აქვს ასეთი ნაკლი, იგი სრულად აღწერს დანაშაულისათვის ჩვეულ ნიშნებს. პროექტი კვლავ ხაზს უსვამს, რომ დანაშაულად მიიჩნევა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ბრალეული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (უმოქმედო-

ბა), რომ არავითარ ე. წ. ანალოგიას, სამართალშემოქმედებას და ობიექტურ შერაცხვას კანონთან არაფერი აქვს საერთო.

პრინციპულად ახალი და ამავე დროს მნიშვნელოვანია პროექტში დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით კლასიფიკაციის მომცემი მე-9 მუხლი. ამ ნიშნით განასხვავებენ დანაშაულს: ა) რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას; ბ) ნაკლებად მძიმეს; გ) მძიმეს და დ) განსაკუთრებით მძიმეს. მთავარი კი ისაა, რომ კანონი სავსებით მკვეთრად განასხვავებს მათ ზუსტი ფორმალური კრიტერიუმით — კონკრეტული დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის სახით და ვადით, ძირითადად თავისუფლების აღკვეთის ვადით. მაგალითად, „მძიმე დანაშაულს მიეკუთვნება განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არა უმეტეს ათი წლისა“ (მე-9 მუხ. მეოთხე ნაწ.).

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხსნის როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ასევე პრაქტიკაში არსებულ უთანხმოებებს და გაუგებრობებს. განსაკუთრებულ სიძნელეებს ამ თვალსაზრისით განიცდის ერთიანი ზღვარის არმქონე პრაქტიკა. იმაზე კი, თუ დანაშაულის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება კონკრეტული ქმედება, დამოკიდებულია, როგორც სასჯელის დანიშვნის და მოხდის, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების მრავალი პრინციპული საკითხი.

კერძოდ, პროექტში (მუხ. მე-15) შემოღებულია ახალი დებულება იმის შესახებ, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულის მზადებისათვის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა სხვა დანაშაულის ჩადენის მზადებისათვის პასუხისმგებლობა არ დგება. აქედან გამომდინარე, უკვე არ წარმოადგენს სირთულეს იმის განსაზღვრა, თუ რომელი მოსამზადებელი ქმედობა არის დასჯადი და რომელი არა.

ბევრად უფრო უკეთესადაა აგებული ბრალის საკითხების მარეგულირებელი ნორმები. საფუძვლების პროექტში სავსებით სამართლიანადაა შემოღებული მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ სისხლის სამართალი ცნობს ბრალის ორ ფორმას — განზრახვას და გაუფრთხილებლობას (მე-10 მუხ.). ბოლო მუხლებში კი (მუხლები მე-11, მე-12) ზუსტადაა გამიჯნული და ცალ-ცალკე მიწოდებული განზრახვის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) და გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნების ან დაუდევრობის) კონკრეტული სახეები.

მოხერხებულადაა კონსტრუირებული პროექტში ნორმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ (მუხ. მე-16). ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი — ეს წამახალისებელი ნორმაა. იგი ადამიანს, რომელმაც დაიწყო დანაშაულის ჩადენა, აძლევს შესაძლებლობას დროზე მოვიდეს გონს და უარი თქვას განზრახვის განხორციელებაზე. მხოლოდ მყარი იურიდიული გარანტიების არსებობისას შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ ეს ნორმა იქნება დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების აქტიური სტიმულიატორი. ამავე დროს ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად შეძლებს კანონმდებელი პრობაგანდა გაუწიოს მოცემულ ინსტიტუტს, რამდენად გასაგებად და დამაჯერებლად ააგებს მას.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მოქმედმა სისხლის სამართლის კანონმა ამ საკითხს საუკეთესო ფორმა ვერ მოუძებნა. ნებაყოფლობით ხელის აღების ინ-

სტიტუტის მარეგულირებელ ნორმაში არაა მოცემული მისი ცნება (რაც ესოდენ აუცილებელია მკითხველის მიერ მისი შინაარსის გაგებისათვის და ასევე ვთქვათ „პოპულარიზაციისათვის“). როგორცაა ზედაპირულადაა მითითებული იმაზეც, რომ კანონი ათავისუფლებს პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.

საფუძვლების პროექტმა შეავსო ეს ხარვეზები. სახელდობრ, მე-16 მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვლება პირის მიერ დაწყებული დანაშაულის შეწყვეტა მაშინ, როცა იგი ფიქრობს, რომ შეუძლია ბოლომდე მიყვანოს დანაშაული“. მეორე ნაწილი კი აღგნის, რომ „დაწყებული დანაშაული, რომელიც ნებაყოფლობით შეწყდა, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას“.

დანაშაულისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების პროექტისეული რედაქცია იმითაც არის საგულისხმო, რომ მასში საგანგებოდაა მინიშნებული სუბიექტურ მომენტზე — „...როცა იგი ფიქრობს, რომ შეუძლია ბოლომდე მიყვანოს დანაშაული“. ამის გარეშე სახეზე გვექნება არა დანაშაულისაგან ნებაყოფლობით ხელის აღება, არამედ დანაშაულის მცდელობა.

აი მაგალითიც: კაცმა ბინა გატეხა გაქურდვის მიზნით და არც არავინ უშლიდა ხელს, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა, მაგრამ გადაიფიქრა, უარი თქვა დანაშაულის დამთავრებაზე, გამოიხურა კარი და გამობრუნდა (მოტივს აქ მნიშვნელობა არ აქვს). ასეთ დროს იგი პასუხს არ აგებს, რადგან მან ნებაყოფლობით (თავისი ნებით) აიღო ხელი დანაშაულზე. მაგრამ არის სხვა გარემოებაც: თუ ანალოგიურ სიტუაციაში პირი შეწყვეტს თავის დანაშაულებრივ მოქმედებას იმის გამო, რომ მას ობიექტურად აღარ ძალუძს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა (ჩაირთო სიგნალიზაცია, შემთხვევის ადგილზე გამოჩნდნენ მეზობლები ან უცხო პირები), აქ საქმე გვექნება დანაშაულის მცდელობასთან, რაც ცხადია, სისხლის სამართლის წესით ისჯება.

მოქმედი საფუძვლებისაგან განსხვავებით, პროექტით დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხების მარეგულირებელ ნორმაში მოცემულია თანამონაწილეობის ზოგიერთი ისეთი საკითხის გადაწყვეტა, რომლებზედაც ადრე ლაპარაკი იყო მხოლოდ სისხლის სამართლის მეცნიერებაში — ესაა შუამავალი აღმსრულებლის პრობლემა თანამონაწილეობისას და ე. წ. შემსრულებლის ექსცესის პრობლემა.

კერძოდ, პროექტის მე-17 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, აღმსრულებლად ჩაითვლება ის პირი, ვინც დანაშაულს ჩაიდენს უშუალოდ ან იმ სხვა პირთა გამოყენებით, რომლებიც კანონის ძალით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მიეცემა. ასეთია მცირეწლოვანი ან შეურაცხადი ადამიანი, რომელიც შეცდომაში შეიყვანა მეორე პირმა და დანაშაული ჩააიდენინა. მაგალითად, თუ განსაკუთრებული უნარის მქონე კაცმა ჰიპნოტიზირებით ჩააიდენინა ვინმეს მკვლელობა, კანონით პასუხს აგებს არა ის, ვინც შეასრულა სხვისი ნება, არამედ, უშუალოდ ჰიპნოტიზიორი.

სისხლის სამართლის თეორიაში ეს წესი ახალი არ არის, მაგრამ ასე პირდაპირ კანონში არასოდეს ყოფილა მითითებული. თუ იგი კანონის ძალას მიიღებს, ვფიქრობთ, შეიძლება ბევრმა ხელიც აიღოს ე. წ. „ცოცხალი იარაღის“ გამოყენებაზე.

ამ მუხლის მეშვიდე ნაწილში ნათქვამია, რომ „აღმსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედობისათვის, რომელიც არ მოიცავს თანამონაწილეთა განზრახვას, სხვა თანამონაწილეები სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებენ“. ეს დამატება გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის, როცა აღმსრულებელი იმაზე მძიმე დანაშაულს ჩაიდენს, ვიდრე ეს თანამონაწილეებთან შეთანხმებით იყო განზრახული (აღმსრულებლის ექსცესი). თანამონაწილენი ასეთ დროს პასუხს არ აგებენ დამდგარი შედეგის ანუ უფრო მძიმე დანაშაულისათვის. მაგალითად: ერთმა წააქეზა მეორე, რომ გაექურდა კონკრეტული პირის ბინა. აღმსრულებელი კი ყაჩაღურად შეიჭრა ამ ბინაში და ამ გზით გაიტაცა მთელი ქონება. წამქეზებელი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულის წაქეზებისათვის, რომლის ჩადენაზეც მან აღმსრულებელი წააქეზა.

ვფიქრობთ, ასეთი დამატება ხელს შეუწყობს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის განვითარებას და შემდგომ განმტკიცებას, სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში ობიექტური შერაცხვის შემთხვევების აღმოფხვრას.

პროექტის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში არ მიეცემა (წინასწარ შეუპირებელი) დაფარვისათვის და განუცხადებლობისათვის დანაშაულის ჩადენი პირის მეუღლე და აგრეთვე ახლო ნათესავები (მე-18 და მე-19 მუხლები). აქვე მოცემულია განმარტება, რომ საფუძვლების ამ მუხლებში მითითებულ ახლო ნათესავებად ჩაითვლებიან მშობლები, შვილები, მშვილებლები, ნაშვილები, ღვიძლი დები და ძმები, პაპა, ბებია და შვილიშვილები. ვფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტის სისწორე ეჭვს არ იწვევს. დღეს არსებული წესი მორალის და კანონიერების ნორმების ურთიერთშეთავსებლობის მიუხედავად ნიმუშს წარმოადგენს, კანონის ძალით მეუღლეს, შვილს, თუნდაც ახლო ნათესავს დალატი დაავალდებულო, არც კლასობრივი და არც სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებიდან გამართლებას ვერ პოულობს. თუმცა, პავლიკ მოროზოვი, ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ამტკიცებენ, ბელადის ნებით, ახალგაზრდობისათვის მაღალზნობრიობის სავალდებულო ეტალონად იყო თავს მოხვეული.

ოჯახის ყველა წევრის თანადგომის, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, ერთგულების ზოგადსაკაცობრიო მორალური ვალდებულებების კანონთან დაპირისპირება ზნეობის დევაღვაციას იწვევს. კანონზომიერია, რომ მოქმედი კანონმდებლობის ეს ნორმა პრაქტიკულად უმოქმედოა.

სიახლეა დაფარვისა და განუცხადებლობის ნორმებში აგრეთვე ისიც, რომ პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე, ხოლო მეორეში — განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას.

ყურადღებას იქცევს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში შეტანილი განმეორებითი დანაშაულის (მუხ. 20) და დანაშაულთა ერთობლობის (მუხ. 21) ცნებები. ეს სიახლენი კეთილ სამსახურს გაუწივენ კანონის გამოყენებულ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მუშაებს.

საქმე ის არის, რომ მსგავსი, მაგრამ არსით განსხვავებული კატეგორიები იწვევენ სხვადასხვაგვარ იურიდიულ შედეგებს. მათი სწორი გამოჩენა საჭიროა არა მხოლოდ დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისას, არამედ აგრეთვე სასჯელის დანიშვნისათვის. დანაშაულის განმეორებითობის და ერთობლიობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია უნდა გახ-

დეს რამდენიმე დანაშაულის ჩადენის იურიდიული შეფასების მიმართ სასამართლო შეცდომების შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი.

ფართო საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს გამოიწვევს საფუძვლების პროექტის მესამე კარი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება ქმედობის დანაშაულებრიობის გამომრიცხავ გარემოებებს; მოცემულ კარში, მოქმედი სისხლის სამართლის კანონისათვის უკვე ცნობილი, აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის და დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტებთან ერთად შევიდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ისეთი გამომრიცხავი გარემოებანი, როგორცაა პროფესიული და სამეურნეო რისკი (მუხლი 26), ბრძანების ან განკარგულების შესრულება (მუხლი 27).

გარკვეული დამატებები შეტანილ იქნა თვით აუცილებელი მოგერიების (მუხლი 23-ე) მარეგულირებელ ნორმაში. 23-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ „პირს აუცილებელი მოგერიების უფლება აქვს მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა თავი დააღწიოს ხელყოფას ან მიმართოს დახმარებისათვის სხვა პირს ან ხელისუფლების ორგანოს“.

ეს დებულება დიდი ხანია ცნობილია სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის. მისი შეტანა კანონმდებლობაში განუმარტავს საზოგადოებას, რომ აუცილებელი მოგერიება — ესაა სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლება და არა მოვალეობა, ადამიანი თამამად უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით.

ყურადსაღებია პასუხისმგებლობის საკითხები პროფესიული და სამეურნეო რისკის გაწვევისა და ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დამდგარი ზიანისათვის. პროექტი გვთავაზობს, რომ ასეთი მოქმედებები არ ჩაითვალოს დანაშაულად!

რისკი არ ჩაითვლება სისხლის სამართლის დასჯად მოქმედებად, თუ იგი საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევას ემსახურებოდა.

პროექტი იმავე მუხლის მესამე ნაწილში სპეციალურად განმარტავს, რომ რისკი ჩაითვლება გამართლებულად, თუ ჩადენილი მოქმედება შეესაბამება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, ხოლო დასახული მიზანი ვერ იქნებოდა მიღწეული რისკთან დაკავშირებული მოქმედების გარეშე და პირმა, რომელმაც დაუშვა რისკი, მიიღო ყველა აუცილებელი ზომა სამართლის დაცული ინტერესებისათვის ზიანის ასაცილებლად. ცხვრებამ გვიჩვენა, რომ „უანგარო დამნაშვე“, „კლასიკურ დამნაშავესთან“ ვერ გათანაბრდება.

საყურადღებო ცვლილებებს ითვალისწინებს კანონპროექტი სასჯელის ნაწილშიც, რომელსაც მეოთხე კარი ეძღვნება.

საფუძვლების პროექტის მიხედვით, მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ „სასჯელი არის იძულების ღონისძიება“..., რომელიც „გულისხმობს მსჯავრდებულის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და ინტერესების ჩამორთმევას ან შეზღუდვას“.

პრინციპული მნიშვნელობის ცვლილებებია სასჯელთა სისტემაშიც (მუხ-ლი 29-ე). დღეს არსებულისაგან განსხვავებით, პროექტში სასჯელები ნაკლებად მძიმე სახეებიდან უფრო მკაცრი სასჯელებისაკენ, ე. ი. აღმავალი პრინციპითაა აგებული.

ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს წესი სასჯელის დანიშვნის თანამედროვე სისხლის სამართლებრივ პოლიტიკას ასახავს: სასჯელის მკაცრი ზომები უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. უპირატესობა ეძლევათ ზომებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან და სასჯელთა სახეების წარმოდგენილი სისტემა გარკვეულ წილად არის სასჯელის გამოყენებისა და დანიშვნის თავისებური ორიენტირი.

შემოთავაზებული სასჯელის სისტემა მნიშვნელოვან დემოკრატიულ და ჰუმანისტურ მიმართულებას აძლევს მთლიანად პროექტს, ხოლო სოციალისტური მართლმსაჯულება სამართლიანი იდეოლოგიური ტვირთის ზიდვას კისრულობს. ეს სისტემა წინ აღუდგება მართლმსაჯულების განხორციელებისას ე. წ. დასჯითი პრაქტიკის გამკაცრებას.

იმ უდაო და რთული ამოცანის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება ვალდებულია იზრუნოს მომავალი თაობის ბედზე და რომ არასრულწლოვანი ვერ გათანაბრდება სრულწლოვანთან, პროექტი გეთავაზობს მათთვის დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე.

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ მაქსიმალური სასჯელის ვადა შემცირდეს 10 წლამდე. მხოლოდ განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის არის შენარჩუნებული 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. სიკვდილით დასჯის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით მოხდება პატიების წესით და იგი შეიძლება განისაზღვროს თხუთმეტ წელზე მეტი ვადითაც, მაგრამ არა უმეტეს ოცი წლი-სა.

განსაკუთრებით მწვავედ დგას თანამედროვე სისხლის სამართალში სასჯელის უმალესი ზომის — სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხი. იგი ყოველთვის აფიქრებდა კაცობრიობას. ერთსა და იმავე ქვეყანაში ამ საკითხზე საპირისპირო აზრი აქვს მოსახლეობას, განსხვავებულად ფიქრობენ სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და სქესის წარმომადგენლები.

მართალია კანონპროექტი ამჯერად მთლიანად ვერ განერიდა ამ სახის სასჯელს, მაგრამ მნიშვნელოვნად კი ზღუდავს დანაშაულთა წრეს, რომელთა ჩადენისათვის სიკვდილით დასჯა გამოიყენება. სიკვდილით დასჯის ამოღება სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთა წრიდან, მისი გამოყენების აკრძალვა არასრულწლოვანების, ქალების, აგრეთვე 60 წელს მიღწეული მამაკაცების მიმართ, წარმოადგენს არა მხოლოდ „ჰუმანისტების“ კეთილგანწყობას, არამედ ღრმა კრიმინოლოგიური ანალიზის შედეგს.

ჯერ-ჯერობით, არსებული პირობების გათვალისწინებით, კანონპროექტი ვერ ბედავს მთლიანად აიღოს ხელი ისეთ მკაცრ სასჯელზე, როგორცაა სიკვდილით დასჯა, მაგრამ პროექტის თანახმად, როგორც გამონაკლისი, იგი ღრობებით იარსებებს, მის სრულ გაუქმებამდე.

ფიქრობთ, ჩვენი სახელმწიფოს კურსი საკმაოდ ნათელია — თანდათანობით, ეტაპობრივად, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სა-

ერთაშორისო და სხვა გარემოებების გათვალისწინებით მოხდეს სიკვდილით დასჯის გამოყენების ჯერ შეზღუდვა, შემდეგ კი გაუქმება.

ახალი საფუძვლებით გათვალისწინებული არ არის მოქმედი კანონმდებლობის ისეთი სახეები, როგორცაა გასახლება და გადასახლება. ვფიქრობთ, რომ ისინი დიდი ხანია ისტორიულ გადმონაშთად იქცნენ და გამოიყენებოდნენ ძირითადად ეგრეთ წოდებული „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო“ პირების მიმართ.

სასჯელის კონკრეტული სახის რეგლამენტაციის დროს, პროექტი ახდენს მათი ქვედა საზღვრების ზუსტ მითითებას. ეს ეხება ჯარიმას, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, გამასწორებელ სამუშაოებს და თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე სასჯელუბის ყველა იმ ახალ სახეს, რომელიც შეტანილია პროექტში.

საინტერესოა სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ მატერიალური ზემოქმედების ცდა. სავარაუდოა, რომ ჯარიმა როგორც მატერიალური ზემოქმედების საშუალება, ფეხს მოიკიდებს სასამართლოების პრაქტიკაში. ყოველ შემთხვევაში, ჯარიმა ორასიდან ათას მანეთამდე, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის — სამასიდან ხუთი ათას მანეთამდე, სიმბოლურ ხასიათს არ ატარებს.

პროექტით სასჯელის სისტემის ერთ-ერთ ახალ სახეობას წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვა.

პრინციპულად მნიშვნელოვანი და უდაოდ პროგრესულია სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების შემდეგი შინაარსის დამატება (პროექტის მეხუთე კარი, მუხლი 42-ე): „დანაშაულის ჩამდენ პირს უნდა დაენიშნოს სასჯელი, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მისი გამოსწორების, ხელახლა აღზრდის და ახალი დანაშაულის აცილებისათვის. სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ პირობით, რომ სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით მიღწეული არ იქნება მისი მიზანი“.

კანონმდებლის ეს დებულება არის პირდაპირი მითითება, ე. წ. თანამედროვე საბჭოთა სისხლის სამართლის დასჯითი პრაქტიკის პოლიტიკის განსახორციელებლად და სასჯელის დანიშვნის დღემდე არსებული წესის შესაცვლელად.

პროექტის შემდგომ მეექვსე კარში შევიდა მხოლოდ პირობითი მსჯავრდების და განაჩენის აღსრულების გადადების საკითხები.

პროექტის მეშვიდე კარი აწესრიგებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხებს. მასში ბევრი რამ ახლებურადაა გადაწყვეტილი. სახელდობრ, რამდენადმე შემცირებულია ხანდაზმულობის ვადები საერთოდ და აგრეთვე, პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები.

ცალკე ნორმითაა რეგლამენტირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებით (მუხლი 57-ე), სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება პირის საზოგადოებრივი საშვიშროების დაკარგვის ან მავნე შედეგების თავიდან აცილების გამო (მუხლი 58-ე), და აგრეთვე ავადმყოფობის გამო (მუხლი 61-ე). მავნე შედეგების თავიდან აცილება — პირის

პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ახალი, დამოუკიდებელი საფუძველია. ვფიქრობთ, გულწრფელი მონანიება იმსახურებს ამას.

ცალკე, მერვე კარშია მოთავსებული არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხების მარეგულირებელი ნორმები. თუ გავითვალისწინებთ არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემებისათვის დამახასიათებელ მრავალ თავისებურებას, ეს საგნებით სწორი გადაწყვეტილებაა, რომლის საჭიროებაზეც არაერთხელ იყო მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში.

ზოგადად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საფუძვლების პროექტი შეიცავს მრავალ პოზიტიურ მომენტს, მათგან უმთავრესზე ჩვენ შევეცადეთ გავგემახვილებინა ყურადღება. მოქმედ საფუძვლებთან შედარებით იგი უეჭველად უკეთესად გამოიყურება, შემოთავაზებული საფუძვლების ტექსტის აგების სისტემა, ერთი მხრივ, უადვილებს იურისტ-პროფესიონალს მასთან მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ, უფრო თვალნათელს ხდის სისხლის სამართლის ინსტიტუტების და ნორმების შინაარსს, ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის ამადლებისათვის.

და ბოლოს, მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში პრიორიტეტული მიმართულება ჰუმანიზმსა და დემოკრატიზმს აქვს დათმობილი. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები უკვე აღნიშნავენ, რომ პროექტს არა აქვს ამოწურული ჰუმანიზმის პოტენციალი.

საფუძვლების პროექტი, რა თქმა უნდა, არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ მთელს ქვეყანაში კანონპროექტის მიმართ გამართული გაცხოველებული სჯა-ბაასი იმის გარანტიას იძლევა, რომ ისინი დროულად იქნება შემჩნეული და გასწორებული.

მშრომელები ძირითადად იწონებენ კანონპროექტს. ბევრს შენიშვნები და კონსტრუქციული წინადადებებიც აქვს. ზოგიერთი კი თვლის, რომ ცალკეული მუხლების რედაქცია საერთოდ შესაცვლელია.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში შექმნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის კანონპროექტის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, რასაც, რა თქმა უნდა, წარუდგენს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს.



# სოციალური შეშხნაზის მკლავკრი იაკალი

კოკი ნარმანია,

სკართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსი,  
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

სახელმწიფო მშენებლობაში აღრიცხვისა და სტატისტიკის აუცილებლობის თაობაზე არაერთხელ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი. 1918 წელს იგი წერდა: „სოციალისტური წარმოება შეუძლებელია ყოველმხრივი, დეტალური, საიმედო და სწრაფი ინფორმირების სტატისტიკის გარეშე“. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სტატისტიკის სამსახურის როლისა და პრესტიჟის ამაღლებისათვის, მაგრამ შემდგომ ეს პროცესი რამდენადმე დაბრკოლდა. ამ სამსახურს დიდი დალი დაასვა 1930 წელს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ლიკვიდაციამ. სწორედ ამ ეტაპზე მოხდა სისხლის სამართლებრივი სტატისტიკის დეცენტრალიზაცია და იგი დაიქსაქსა უწყებების მიხედვით. სამწუხაროა, რომ სტატისტიკას არც ეგრეთწოდებული ვოლუნტარიზმისა და უძრობის პერიოდში ექცეოდა სათანადო ყურადღება. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა დაადგა გარდაქმნისა და განახლების შეუქცევად კურსს, თავისი კანონიერი ადგილი დაიბრუნა ლენინურმა შეფასებამ, რომ „სტატისტიკა სოციალური შემეცნების ყველაზე მძლავრი იარაღია“. თვით ის ფაქტი, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გარდაიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტად, ხაზს უსვამს ამ საკითხისადმი სრულიად ახლებურ მიდგომას. მისი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებები ჩამოყალიბებულია „ქვეყანაში სტატისტიკის საქმის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის დადგენილებაში.

იმასთვის, რომ სტატისტიკამ წარმატებით შეასრულოს ახალი გაზრდილი ამოცანები, აუცილებელია მასში, როგორც სარკეში სწორად, დაუმხინჯებლად აისახოს სინამდვილე, საქმის რეალური მდგომარეობა, რათა სწრაფად აღმოიფხვრას შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ვლინდებიან სტატისტიკური ანგარიშგების ფორტიკული ანალიზის შედეგად. მხოლოდ უტყუარი, საქმის ცოდნით შედგენილი სტატისტიკური ანგარიშგება შეიძლება გახდეს მართვის მძლავრი ბერკეტი.

ყოველივე ეს მთლიანად ეხება სისხლის სამართლებრივ სტატისტიკას, განსაკუთრებით კი დანაშაულის სტატისტიკას.

სსრ კავშირის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანასკნელ წლებში განახორციელეს რადიკალური ღონისძიებები პირველადი ოპერატიული აღრიცხვის სრულყოფისათვის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გატარებულია ამ სისტემის თავისებური რეფორმა. ახალ დოკუმენტებში ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა ურყევ დებულებას, რომ სტატისტიკა არ შეიძლება გაავიგო-

ვით ოპერატიულ ინფორმაციასთან. სახელმწიფო სტატისტიკა შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ისეთ პოზიციებს, რომლებიც დაფუძნებულია კანონზე, სამართალზე, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებებსა და ბრძანებებზე, ამასთან ერთად უთუოდ მატერიალიზებული უნდა იყოს საქმეებში, პროცესუალურ დოკუმენტებში. ყოველივე ეს დაწვრილებით არის განმარტებული სტატანგარიშების შედგენის თაობაზე ახალი რედაქციით შედგენულ ინსტრუქციებში. გაუბრალოება სტატისტიკაში ისევე დაუშვებელია, როგორც კანონის გამოყენებისას. სწორედ ამიტომ ეთქვა უარი ზოგიერთების მოთხოვნას, რათა სტატისტიკაში ასახულიყო პროკურორის მოქმედებები, რომლებიც რეგლამენტირებული არ არის კანონის ნორმით. მაგალითად, ასეთი მოთხოვნები შეეხებოდა პროკურორთა დადგენილებებით მატერიალურ პასუხისგებაში მიცემულ პირებს. ასეთი პრაქტიკა სტატისტიკის სამსახურმა უარყო, რადგან კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ არ ითვალისწინებს ასეთ დადგენილებას. პროკურორის მიერ ასეთი დადგენილების გამოტანა კანონიერების უხეში დარღვევა და უფლებების გადამეტებაა.

დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1965 წლიდან მოქმედებდა, განსაზღვრავდა დანაშაულობათა აღრიცხვის ძირითად წესებსა და მეთოდებს. მრავალი მისი დებულება და ცნება მოძველდა, ჩამორჩა თანამედროვე მოთხოვნებს. ამან გამოიწვია ის, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში, სამწუხაროდ, დაინერგა დანაშაულობათა გახსნის მდგომარეობის შეფასების საკუთარი, არასამართლებრივი ცნებები. ხშირად დანაშაულს გახსნილად თვლიდნენ ექვმიტანილის დაკავებისას. ყოველივე ამის შედეგად დანაშაულობის აღრიცხვისა და გახსნის სისტემა უმართავი გახდა.

1985 წლის 30 დეკემბერს სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა დაამტკიცა დანაშაულობათა ერთიანი აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია ახალი რედაქციით. შემდეგ სსრ კავშირის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთობლივად შეიმუშავეს და 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს დანაშაულობათა პირველადი აღრიცხვის ერთიანი დოკუმენტები. ადგილობრივ ორგანოებს კატეგორიულად აეკრძალათ მათში რაიმე ცვლილებების შეტანა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა საპროკურორო ზედამხედველობის როლი დანაშაულობათა აღრიცხვის სისრულისა და უტყუარობის უზრუნველყოფის საქმეში. პროკურორი აღიჭურვა დანაშაულების სწორად აღრიცხვის, ზედამხედველობის რეალური, ქმედითი საშუალებებით: იგი ხელს აწერს გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დოკუმენტებს. ერთიანი სტატისტიკური ბარათები დანაშაულზე, გახსნილ დანაშაულზე და ა. შ. აღრიცხვისათვის მიიღება მხოლოდ პროკურორების ხელმოწერების შემდეგ. მათში ცვლილებები შეიძლება შეიტანონ მხოლოდ იმ პროკურორის ნებართვით, რომელმაც ხელი მოაწერა ბარათს. ცხადია, ამან ბევრად აამაღლა ბარათში აღნიშნულ ცნობათა სისწორესა და უტყუარობაზე, ასევე სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დოკუმენტების დროულად წარმოდგენაზე პროკურორის კონტროლის ეფექტიანობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. დანაშაულობათა ერთიანი აღრიცხვის 1985 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ პირველად სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დოკუმენტებს ავსებს და ხელს აწერს მხოლოდ ის პირი, რომელმაც აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მიიღო სხვა გა-

დაწყვეტილება მის მიერ გამოძიებულ, გადაწყვეტილ საქმეზე. ეს გამორიცხავს ასეთი დოკუმენტების შედგენის შესაძლებლობას იმათ მიერ, ვისაც არ მიუღია გადაწყვეტილება საგამოძიებო საქმეზე, მაგალითად, სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით 1987 წლის 1 იანვრიდან გახსნილად ითვლება მხოლოდ ის დანაშაული, რომელზეც გამოძიება დამთავრებულია და საბრალდებო დასკვნა დამტკიცებულია პროკურორის მიერ.

მრავალი სიახლეა ინსტრუქციაში „დამნაშავეობის მდგომარეობისა და მასთან ბრძოლის შედეგების თაობაზე სტატისტიკური ანგარიშების შედგენის წესის შესახებ“, რომელიც 1988 წლის 24 ივნისს დამტკიცა სსრ კავშირის პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ამ ინსტრუქციის მიხედვით დანაშაულობათა გახსნის პროცენტი განისაზღვრება შემდეგნაირად: მთლიანად გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობა მრავლდება ასზე, მიღებული მონაცემი იყოფა ფარულ პირობებში ჩადენილ დანაშაულზე გამოძიებით დამთავრებულ საქმეთა და ამავე გაუხსნელ დანაშაულთა ჯამზე (იმ დანაშაულობათა მთლიანად გამორიცხვით, რომელთა შესახებ მასალები გადაწყვეტილია საქართველოს სსრ სსს კოდექსის 91 მუხლის შესაბამისად). მაგალითად, ვთქვათ, რაიონში გაუხსნელობის მოტივით (სსსკ 196-ე მუხლის I და III პუნქტებით) შეჩერებულია 15 საქმე, ფარულ დანაშაულზე დამთავრდა 72 სისხლის სამართლის საქმე. ამ შემთხვევაში  $15 \times 100 = 1500$  გაიყოფა 72-ზე და მივიღებთ 20,8 პროცენტს, რაც წარმოადგენს გაუხსნელ დანაშაულობათა მაჩვენებელს.

აღნიშნული სიახლის შემოღებით გადადგმულია დიდი ნაბიჯი არა მარტო დამნაშავეობისა და გახსნის აღრიცხვის მოსაწესრიგებლად, არამედ დანაშაულობათა გახსნისათვის ჩატრებული მუშაობის უფრო სწორი და რეალური შეფასების სისტემის შექმნისათვის, რაც მოითხოვს ამ საქმიანობისადმი დამოკიდებულების ანლებურად გააზრებას.

იმის შედეგად, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციული ორგანოები ყოველთვის არ ასრულებენ შესაბამისი ინსტრუქციების მოთხოვნებს, სტატისტიკა ზოგჯერ ზუსტად ვერ ასახავს ამ უბანზე საქმის რეალურ მდგომარეობას. სამხრეთ ოსეთში, აჭარაში, ქუთაისში და სხვაგან გამოვლინდა ათეულობით გაუხსნელი საქმე, რომლებიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საინფორმაციო ცენტრში არ არის რეგისტრირებული და პირიქით, ცენტრში აღრიცხული არა ერთი ასეთი საქმე ადგილზე არ აღმოჩნდა. მიღებული ზომების შედეგად ეს საკითხი რამდენადმე მოწესრიგდა. იგი სათანადო ყურადღებას მოითხოვს სხვა რეგიონებშიც.

„პროკურატურის მუშაობაში საქმის მდგომარეობის შელამაზების დაუშვებლობის შესახებ“ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საგანგებო მითითების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა ბრძოლა დანაშაულობათა აღრიცხვარეგისტრაციის სისრულისათვის და დანაშაულობათა მიჩქმალვის აღკვეთა-აცილებისათვის. ამ ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის აღმოფხვრისათვის სტატისტიკის განყოფილების მიერ შემუშავებულ მეთოდურ მითითებებს ბევრგან ეფექტიანად იყენებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, პროკურატურის ორგანოები ყოველწლიურად კვლავ ავლენენ 300-400 მიჩქმალულ დანაშაულს. ყველა მათ-

განზე შინაგან საქმეთა სამინისტროში იგზავნება წარდგინებები, რომლებზეც ყოველთვის კეთდება სათანადო რეაგირება.

მიუხედავად ამისა, პირდაპირ უნდა ითქვას: ბოლო ხანებში ჩატარებული შემოწმებების მასალები ცხადყოფენ, რომ დანაშაულობათა მიჩქმალვა კვლავ მეორდება აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთში, თბილისში, ქუთაისში, მარნეულში, წალკის, წითელწყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რით აიხსნება, რომ ამ ნეგატიურ მოვლენასთან ბრძოლის გაძლიერების მიუხედავად, იგი დღემდე არ აღმოფხვრილა? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ეს საშიში გამოვლინება, უპირველეს ყოვლისა, იქ იკიდებს ფეხს, სადაც ამ სფეროში არადაამაკმაყოფილებელია საბროკურორო ზედამხედველობა, სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საქმის ნამდვილი მდგომარეობის შელამაზების პოზიციებზე დგანან.

ბოლო დროს გააქტიურდა ბრძოლა ისეთ უარყოფით მოვლენასთან, როგორცაა უმოქმედობის, ფორმალიზმის შესანიღბავად სტატისტიკის გამოყენება, რაც დანაშაულობათა ხელოვნური რეგულირება. სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ზოგან საანგარიშო პერიოდში დატაცებათა, სპეკულაციის და ზოგიერთ სხვა დანაშაულობათა „გამოვლინება“ ზუსტად იმდენია ხოლმე, რამდენიც განვილდ შესადარებელ პერიოდში იყო.

სამართალდარღვევათა მიჩქმალვასა და ხელოვნურ რეგულირებას ისიც ბევრად უწყობს ხელს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში დამნაშავეობისა და მასთან ბრძოლის მდგომარეობის შეფასება კვლავ არამართებული კრიტერიუმებით ხდება, რომლის მიხედვითაც აქაოდა, რაც უფრო ნაკლებია რევისტირებული დანაშაულობანი, ეს მით უკეთესიაო. საქმისადმი ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია და უნდა აღიკვეთოს დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნებსა და ამ მუშაობის შეფასებას შორის ასეთი წინააღმდეგობა.

საგრძობი ცვლილებებია შეტანილი საგამოძიებო და საბროკურორო სტატისტიკაში. კერძოდ, 1988 წლის 1 იანვრიდან სტატისტიკური ანგარიშგების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. გადიდებულია ანგარიშგების წარდგენის პერიოდულობა — მთელი ანგარიშგება ნაცვლად კვარტალურისა, გადაყვანილია ნახევარწლიურზე.

პროკურორის მუშაობის შესახებ ფორმა „პ“-ს ახალი რედაქცია უფრო სრულად ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, ყურადღებას ამახვილებს სახალხო მეურნეობაში კანონიერების განმტკიცებაზე, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე, პროკურორთა მოქმედების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

პროკურორის მუშაობის შესახებ ახალ ფორმაში შენარჩუნებულია წინა ფორმის ძირითადი სქემა და შესაბამისი მაჩვენებლები, სახელდობრ, ცნობები შემოწმებების, პროტესტების წარდგინებების შესახებ. ახალ ფორმაში ამ ცნობებს ახლავს მაჩვენებლები, რომლებიც ამა თუ იმ ზომით შიფრავენ თვისობრივ მხარეს, პროკურორის მოქმედების ეფექტიანობის ხარისხს, მათს დასაბუთებულობას და კანონიერებას. უწინარესად, სწორედ ამაშია ცვლილებათა მთავარი სიახლე, მათი ძირითადი მნიშვნელობა. მაგალითად, მონაცემებს შემოწმების შესახებ თან ახლავს ცნობები გამოვლენილ კანონის დარღვევათა რიცხვისა და სახეების შესახებ, მონაცემებს პროტესტებზე — მაჩვენებელი თუ რამდენი მათგანია უარყოფილი, ხოლო დაკმაყოფილებულ პროტესტებზე —

თუ რა რაოდენობის კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტებია გაუქმებული ან შეცვლილი. შემოღებულია რიგი სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც ახასიათებენ საერთო ზედამხედველობის ხაზით საპროკურორო მოქმედებისა და აქტების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. ამრიგად, პროკურორების მუშაობა ფასდება არა მხოლოდ წარდგინებებისა და პროტესტების სიმრავლით, არამედ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა მთელი კომპლექსით, მართლწესრიგისა და კანონიერების რეალური მდგომარეობით.

გარკვეული ცვლილებები განიცადა საგამოძიებო მუშაობის შესახებ სტატისტიკური ანგარიშების № 1-მა ფორმამ. მასში შეტანილი მაჩვენებლები არსებითად აფართოებენ ინფორმაციას გამოძიებისა და ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის ვადების შესახებ. გათვალისწინებულია მონაცემები, დაცვის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ, საქართველოს სსრ სსსკ 81-ე მუხლის შესაბამისად დაპატიმრებულთა გათავისუფლების თაობაზე და სხვ.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებს ეკრძალებათ შემოიღონ საგამოძიებო მუშაობის შესახებ ისეთი რაიმე დამატებითი ანგარიშგება, რაც გათვალისწინებული არ არის შესაბამის ინსტრუქციაში და დამტკიცებული არ არის დადგენილი წესით.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოები ყოველთვის უნდა ადგენენ მხოლოდ „პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს“ და წარუდგენენ მათ ზემდგომ ორგანოებს. თუ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის საზღვრები არ ემთხვევიან ერთმანეთს, შინაგან საქმეთა საგამოძიებო აპარატი და მოკვლევის ორგანოები ანგარიშს ადგენენ ყოველი რეგიონის მიხედვით.

ტრანსპორტის პროკურორები და ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა ორგანოები საგამოძიებო მუშაობის შესახებ სტატისტიკურ ანგარიშებს წარუდგენენ შესაბამის ზემდგომ ორგანოებს დაქვემდებარების მიხედვით. ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საგამოძიებო ნაკრებ ანგარიშებს უდგენს სსრ კავშირის პროკურატურას.

რესპუბლიკის პროკურატურამ რიგი ღონისძიებები განახორციელა მართლწესრიგისა და საპროკურორო-საგამოძიებო მუშაობის შესახებ სტატისტიკაში სიახლეების, ახალი ანალიტური საქმეების დანერგვისათვის.

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოებისათვის ჩატარდა თათბირ-სემინარები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქებისა და რაიონების ტრანსპორტის, შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის პროკურორებმა. სემინარული მეცადინეობები მოეწყო პირველადი ოპერატიული აღრიცხვისა და ანგარიშგების პრაქტიკის ანალიზის მისაღების ფართოდ გამოყენებით.

ცენტრალური აპარატის სამმართველოსა და განყოფილებებში დამუშავდა სტატისტიკური ანგარიშგების ახალი დოკუმენტები და შესაბამისი ინსტრუქციები. მათი შესწავლის მიზნით სტატისტიკის განყოფილებასთან შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარი, რომელშიც გაერთიანებული არიან განყოფილებათა მეთოდისტები და სხვა მუშაკები.

განყოფილებამ დაამუშავა რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და კანონიერების მდგომარეობის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის სქემა (50-მდე

პოზიცია), რომლის მიხედვით შედგენილი ინფორმაცია ყოველ 6 თვეში ეგზავნება პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს. მათ საშუალება ეძლევათ რესპუბლიკური მაჩვენებლების მიხედვით განსაზღვრონ თავიანთი ადგილი და ამოცანები დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

პირველადი ოპერატიული აღრიცხვა და სტატისტიკური ანგარიშგება ახალი მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზებული აქვთ ქ. თბილისის ორჯონიძისა და ოქტომბრის, სამტრედიის, მარნეულის, ახმეტის რაიონებისა და რიგ სხვა პროკურატურებში. ახლებურ მიდგომას მოითხოვს მართლწესრიგისა და კანონიერების საკითხებზე მოხსენებებისა და სხვა ინფორმაციების მომზადების საკითხი, განსაკუთრებით გაღრმავებას მოითხოვს მისი კომპლექსურობა. ამ საქმეს მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ერთიანი სტატისტიკური საინფორმაციო სისტემის შექმნამ.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობას პროკურატურის ადგილობრივი ორგანოებისათვის დავალებული აქვს მართლწესრიგისა და კანონიერების მდგომარეობის შესახებ უტყუარი, სრული და დროული ინფორმაციით უზრუნველყონ პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ამ მიზნით დამუშავდა და ადგილებზე დაიგზავნა ასეთი საინფორმაციო წერილების საინფორმაციო ვარიანტები, რასაც ბევრგან საქმის ცოდნით იყენებენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია სამართალდაცვითი ორგანოების სტატისტიკურ-ანალიტიკურ მუშაობაში სერიოზული ცვლილებებისა და ინფორმაციზაციის სრულყოფის გზაზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი სტატისტიკური ანგარიშების დანერგვის საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორი ჯერ კიდევ ვერ დაეუფლა სიახლეებს სტატისტიკურ ანგარიშგებაში და შესაბამის ინსტრუქციებს, ვერ უზრუნველყვეს ამ უბანზე მუშაობის სათანადო ორგანიზაცია. სერიოზულ შენიშვნებს იმსახურებენ თიანეთის, დმანისის, მიააკოვსკის, გეგეჭკორის, ხობის, წალკის, ცხინვალის რაიონების, ქალაქების მარნეულისა და ჭიათურის პროკურორები. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის თაობაზე ინსტრუქციის მოთხოვნების შესრულება. სერიოზული დარღვევებია დანაშაულისა და მის ჩამდენ პირთა პირველად ოპერატიულ აღრიცხვის ორგანიზაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაგოდების, გეგეჭკორის, სამტრედიის ტრანსპორტის და სხვა ორგანოებში. მათ კიდევ ერთხელ შევასწავნებთ, რომ პირველადი ოპერატიული აღრიცხვის ორგანიზაციის გაუმჯობესება, სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფა მტკიცე, საიმედო, საფუძველია ქმედითი საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობისათვის, ხომ ფაქტია, რომ მხოლოდ იმ მუშაკებს შეუძლიათ კომპეტენტურად, საქმის ღრმა ცოდნით მართონ მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესი, მიაღწიონ მუშაობის ნამდვილ გარდაქმნას, რომლებიც ღრმად ფლობენ ოპერატიულ, საქმის რეალურ ვითარებას გადამწყვეტ უბნებზე. სწორედ ასეთი მოთხოვნების გათვალისწინებით მუშაობენ ქ. თბილისის 26 კომისრის, საქარზნო, ახმეტის, მცხეთის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ბორჯომის რაიონების, ქ. ზუგდიდის და სხვ. პროკურორები.

მართალია, სტატისტიკას შეუძლია და უნდა გაითვალისწინოს კიდევ ყოველი მოვლენის მხოლოდ ყველაზე მთავარი, ფუძემდებლური პოზიციები.

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სტატისტიკური მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიღოთ როგორც მუშაობის ან რომელიმე მოვლენის საქმის მდგომარეობის მზა შეფასება, რაზედაც საგანგებოდ მიუთითა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა 1987 წლის 12 თებერვლის ბრძანებაში „დაქვემდებარებული ორგანოების ხელმძღვანელობისას სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებაში დაშვებულ ნაკლოვანებათა შესახებ“. აქ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სტატისტიკური ანალიზისაგან არ შეიძლება მოველოდეთ ერთნიშნა შეფასებებს, დახასიათებებს. აუცილებელია გავერკვეთ რა ხდება ციფრების უკან, შევავიზუალიზიროთ, შევაჯეროთ ისინი ერთმანეთთან და სინამდვილესთან და მხოლოდ შემდეგ შევუდგეთ პროკურორის საქმიანობის შეფასებას, პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

საჯაროობის განვითარება ჩვენს საზოგადოებაში მთლიანად ვრცელდება სისხლის სამართლის სტატისტიკაზეც. საჯაროობა ამ სფეროში კი ეს არის საიმედო გარანტია სოციალისტური კანონიერების დარღვევებისა და სოციალური სამართლიანობის დეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც იგი ქმნის სოციალური ინსტიტუტების, ხელისუფლებისა და სახელმწიფო ორგანოებისადმი საერთო სახალხო კონტროლის საფუძველს.

ბოლო ხანებში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დამნაშავეების შესახებ სტატისტიკური მონაცემები საჯაროდ ქვეყნდება. ისეთი მაჩვენებლებიც კი, რაც წინათ საიდუმლოდ ითვლებოდა. 1987 წელს ქვეყანაში 90 ათასზე მეტი სახის სტატისტიკურ ინფორმაციას მოეხსნა საიდუმლო გრიფი. პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების ინიციატივით, ამასწინათ, გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დამკვიდრდა რუბრიკა „მართლწესრიგის სტატისტიკა“. ამ რუბრიკით სისტემატურად გამოქვეყნდება სტატისტიკური ინფორმაცია მართლწესრიგისა და კანონიერების მდგომარეობის შესახებ, როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ასევე ცალკეული რეგიონების მიხედვით. მაგრამ მართლწესრიგის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მიუწვდომელი რჩება ფართო საზოგადოებრიობისათვის, არ გამოიყენება გარდაქმნის მიზნებისათვის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ საჯაროობის გზაზე ადგილებზე კვლავ იჩენენ კუთხურობასა და უწყებრიობას.

ძირეული ცვლილებები სამართლებრივ სტატისტიკაში მიზნად ისახავს მისი უტყუარობის, ობერატიულობის ამაღლებას, მთელი საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობის თვისობრივ გაუმჯობესებას. ყოველივე ეს კი საბოლოოდ გამიზნულია მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისაკენ, საზოგადოების თითოეული წევრის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და პირადი უფლებების განუხრელად დაცვისაკენ.

# მკითხველი და „ქმნა მართლისა სამართლისა...“

ქვეშარიტი, ნამდვილად რევოლუციური გარდაქმნა გულისხმობს ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს თვისობრივ ცვლილებებს. ამ პროცესებს კი ევოლუციური განვითარების რკინისებური ლოგიკა გააჩნია. სწორედ ამ ლოგიკამ მიიყვანა ჩვენი საზოგადოება ნამდვილ სოციალისტურ დემოკრატიზმთან, ხოლო დემოკრატიზაციამ — ახალი სოციალისტური ტიპის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობასთან. ამის თაობაზე გაბედულად ითქვა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მაღალი ტრიბუნიდან. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია ახალი სამართლებრივი აზროვნების გარეშე, ხოლო ახალი სამართლებრივი აზროვნება — საზოგადოების მაღალი სამართლებრივი კულტურის, მაღალი მართლშეგნების გარეშე.

ცნობილია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში იზღუდება ბიუროკრატიული მმართველობის ფუნქციები და მის ადგილს იჭერს თვითმმართველობა. ფართო მასების მმართველობაში მონაწილეობა, რაც ხორციელდება საბჭოებისათვის რეალური ძალაუფლების გადაცემით და უკვე არსებული თვითმმართველობის სხვადასხვა ფორმებისათვის რეალური ფუნქციების მიწოდებით, ყოველივე ეს სოციალისტური კანონიერების მკაცრი დაცვის პირობებში უნდა ხორციელდებოდეს, რადგან დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, კანონის პატივისცემას, მის უზენაესობას გულისხმობს. სწორედ საკითხის ამგვარად დაყენებამ ლოგიკურად გამოიწვია საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების აუცილებლობა. ამისათვის კი საჭიროა საზოგადოებამ შეისწავლოს სამართალი. სწორედ ამიტომ პარტიულ კონფერენციაზე მწვავედ დაისვა საკითხი საყოველთაო იურიდიული სწავლების შესახებ.

ცხადია, ჩვენი სახელმწიფო ადრეც აქცევდა ყურადღებას მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნის ამაღლების საკითხებს; კარგა ხანია სამართლის საფუძვლების სწავლება შემოღებულია როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. ვერ ვუსაყვედურებთ ვერც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც ფართოდ აშუქებენ სამართლებრივ თემებს, მაგრამ მთავარია შედეგი და ეს შედეგი არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა. როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, საქართველოს მოსახლეობის სამართლებრივი გათვითცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია, მთავარი კი ის არის, რომ მართლშეგნების დინამიკის შესწავლა კარგ სურათს არ იძლევა. წლები გადის და მოსახლეობის მართლშეგნების დონე თითქმის უცვლელია. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: საჭიროა სამართლებრივი აღზრდის ახალი მეთოდების ძიება; აქაც აუცილებელი გახდა გარდაქმნა, ახალი სამართლებრივი აზროვნება და ძველი სტერეოტიპების უკუგდება.

სწორედ ასეთ ნაწარმოებად შევიცანით თამაზ შავგულიძისა და ელუ-



არდ ყიფიანის ერთობლივი ნაშრომი „ქმნა მართლისა სამართლისა...“ თუმცა მისი პუბლიკაციის დაწყება გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, რადგან ამ ნაწარმოებს არც ფორმით და არც შინაარსით არ ჰქონდა ანალოგი არც საბჭოეთსა და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც საზღვარგარეთ. სამართლიანობა მოითხოვს აქვე იმის აღნიშვნასაც, რომ მისი პუბლიკაციის მოწინააღმდეგენი თვით სარედაქციო კოლეგიაშიც კი აღმოჩნდნენ.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ ამ ნაწარმოების ბეჭდვა დაიწყო 1986 წლის პირველი ნომრიდან საკმაოდ ფრთხილი სარედაქციო მინაწერით. აი ისიც: „საზოგადოებრივი ინდივიდუალური მართლშეგნების და კანონის ავტორიტეტის ამალგება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის საპროგრამო ამოცანაა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მოქალაქემ იცოდეს, გათვითცნობიერებულ იყოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონი და რა ელის მას მისი დარღვევისათვის. საამისოდ ბევრი კეთდება, მაგრამ როგორც ეს მრავალმა გამოკვლევამ დაგვანახა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოსახლეობის გათვითცნობიერების დონე არასახარბიელოა.“

მოსახლეობის ფართო მასებისათვის სისხლის სამართლებრივი ცოდნის მისაწოდებლად ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ იწყებს ნაწარმოების „ქმნა მართლისა სამართლისა...“ ბეჭდვას. ავტორებს მიზნად ჰქონდათ დასახული შეექმნათ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მხატვრულ-პოპულარული ნაშრომი. აქ გამოყენებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მდიდარი გამოცდილება, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, აგრეთვე, მეცნიერული და პოპულარული იურიდიული ლიტერატურა.

ცნობილია რა გატაცებით იკითხება „სახალისო ასტრონომია“ და „სახალისო ფიზიკა“, ამ ნაწარმოებებს აუწონავი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი სარგებლობას მოუტანს მკითხველს<sup>1</sup>.

ღიას! ასე ვფიქრობდით მაშინ, დღეს კი პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: გაამართლა თუ არა ამ ნაწარმოებმა თავისი დანიშნულება? ამ კითხვას პასუხი მკითხველთა ფართო აუდიტორიამ უნდა გასცეს. უწინარეს ყოველისა, მოუხსმინოთ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს შალვა ამონაშვილს. მისი აზრით „სასურველია ამ ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა. ეს იქნება მშვენიერი საკითხავი წიგნი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რადგან მასში სამართლის საფუძვლები გახსნილია კონკრეტული მაგალითებით, ლოგიკური მსჯელობით. ბავშვებს საშუალება ეძლევათ თვითონ გააკეთონ დასკვნა, იდაონ, იმსჯელონ, იქონიონ განსხვავებული აზრი. ეს უთუოდ კარგ შედეგს გამოიღებს. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ სკოლებში სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებაში ასეთმა მასალამ გარკვეული ადგილი უნდა დაიკავოს. მასწავლებლებმა ეს საგანი უნდა გაამდიდრონ ამ მშვენიერი მოთხრობების ციკლით, ხშირად მოაწყონ დისპუტები, დიალოგები, გარჩევები“<sup>1</sup>...

ნაწარმოების „ქმნა მართლისა სამართლისა...“ შეფასებისას პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა შოთა ნაცვლიშვილმა სკოლაში ჩაატარა სათანადო ექსპერიმენტი და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის გაკვეთილებზე თუ არასაგაკვეთილო სამართალმზრდელითი

<sup>1</sup> ინტერვიუ შალვა ამონაშვილთან, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1988, № 1, გვ. 40.

მუშაობის პროცესში ამ ნაწარმოების გამოყენებამ დაგვარწმუნა, რომ განცდილი უფრო უკეთ ამახსოვრდებათ მოსწავლეებს, მტკიცედ ითვისებენ მას და ცოდნასაც მეტად განამტკიცებენ. ამისათვის საჭიროა არ შემოვიფარგლოთ მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო ქცევის მხოლოდ სამართლებრივი დახასიათებით, აუცილებელია გავაშუქოთ მათი ზნეობრივი ფსიქოლოგიური მხარე, ვალიაროთ მართლზომიერი ქცევის უპირატესობა. ამიტომ საჭიროა კონკრეტული მაგალითებით ვაჩვენოთ სულიერი სიმშვიდე, კმაყოფილება, სიხარულის გრძობა, სიამაყე, რომელსაც ადამიანი განიცდის ნორმალურ პირობებში და განსაკუთრებით მძაფრ, კონფლიქტურ სიტუაციაში — მართლწესრიგის, პიროვნების ქონებისა და სხვა ფასეულობის დაცვისას...

გაკვეთილებზე და არასაკვეთილო სამართალმზრდელითი მუშაობის დროს ე. ყიფიანის და თ. შავგულიძის ნაწარმოების გამოყენებამ გააუმჯობესა მოსწავლეების მიერ სასწავლო მასალის გააზრებულად ათვისება, იურიდიული ლიტერატურით დაინტერესება, მათი მართლშეგნების ამაღლება, სამართლისადმი დადებითი დამოკიდებულების ფორმირება და მართლზომიერი ქცევა<sup>2</sup>.

მეცნიერის აზრს ადასტურებს ახალგაზრდობის პრობლემების კვლევის ცენტრის თანამშრომელი ნ. ბახუტაშვილი: „დიდი ხანია ვლაპარაკობთ სამართლებრივი აღზრდის ახალი, უფრო კმედიითი მეთოდების გამოყენებაზე, მაგრამ პრაქტიკულად ძალიან ცოტა რამ კეთდება ამ მიმართულებით, ამიტომაც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ეღუარდ ყიფიანის და თამაზ შავგულიძის ნაშრომი „ქმნა მართლისა სამართლისა...“, რომელიც ქვეყნდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“, ფართო მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, საშუალება ეძლევა ემოციურად აღიქვას სამართლებრივი აღზრდის აქტუალური და საჭირობოროტო პრობლემები. ნაწარმოების კითხვისას მკითხველს არაერთხელ ეძლევა საშუალება „დაუპირისპიროს“ ერთმანეთს მხატვრული ხერხით განმარტებული ესა თუ ის იურიდიული ცნება კოდექსის შესაბამის მუხლს. თითქოს ხატოვნად გადმოცემული ამბავი გვეხმარება კოდექსის წვდომასა და სწორ გაგებაში, კანონის სწორად აღქმასა და შემეცნებაში<sup>3</sup>. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ნაწარმოებს პედაგოგი დალი აბაშიძე. მისი აზრით, „ცხადია, სამართლის ცოდნის ასეთი ფორმა დამოუკიდებელი და სერიოზული კვლევის საგანია, მაგრამ წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი ორიგინალობით და აღქმის სისადავით ყურადღებას იმსახურებს. ვფიქრობთ, რომ სამართლებრივი ცოდნის მიწოდების და საერთოდ, სამართლებრივი აღზრდის ახალი ფორმების ძიების დროს სწორედ საკითხის ამგვარი გადაწყვეტაა საჭირო“<sup>4</sup>.

რედაქციაში მიღებული წერილების გეოგრაფია საქმოდ ფართოა. გამოგვეხმაურნენ: თბილისიდან, ქუთაისიდან, ტყიბულიდან, ჭიათურისა, მახარაძიდან, საგარეჯოდან და სხვ. გვწერენ განსხვავებული პროფესიის ადამიანები: იურისტები, ფილოლოგები, აღმოსავლეთმცოდნეები, ფსიქოლოგები, ჟურ-

<sup>2</sup> შ. ნაცვლიშვილი, სიახლე სამართლებრივი ცოდნის პრობაგანდაში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1987, № 3, გვ. 48-49.

<sup>3</sup> ნ. ბახუტაშვილი, წიგნი მოზარდებს კანონთა შესასწავლად, ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტ“, 1987 წლის 16 ივნისი.

<sup>4</sup> დ. აბაშიძე, მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდა, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1987, № 4, გვ. 32.

ნალისტები, მწერლები, მუშები, პედაგოგები და სხვ. ამ წერილებს ერთი აზრი აერთიანებს — ერთხმად იწონებენ ნაწარმოებს, გამოთქვამენ მისი წიგნად გამოცემის სურვილს; თუმცა, ჯობია კონკრეტულად გავეცნოთ ზოგიერთი მათგანის მოსაზრებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტის დოცენტი თენგიზ ჩაჩუა: „სამართლებრივი პროპაგანდისადმი მხატვრული ხერხის გამოყენების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს... მოთხრობათა ციკლი, რომლის გამოქვეყნება დაიწყო ჟურნალმა „საბჭოთა სამართალმა“... ფართო მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, ეძლევა შესაძლებლობა ემოციურად აღიქვას სამართლებრივი აღზრდის აქტუალური და საჭირობო პრობლემები. ნაწარმოების კითხვისას მკითხველს არაერთხელ ეძლევა საშუალება დაუპირისპიროს ერთმანეთს მხატვრული ხერხით განმარტებული ესა თუ ის იურიდიული ცნება კოდექსის შესაბამის მუხლს, და ყოველთვის ისეთი შეგრძნება იბადება, თითქოს კოდექსის მუხლი კი არ განმარტავს მოთხრობის რომელიმე ეპიზოდს, არამედ პირიქით, ხატოვნად გადმოცემული ამბავი გვეხმარება კოდექსის წვდომასა და სწორ გავებაში“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი გ. მადრაძე: „გამოკვლევები, ჩატარებული იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ნასწავლი აქვთ სკოლაში საბჭოთა სამართლის საფუძვლები, ცხადყოფენ, რომ მოსწავლეებმა არ იციან ძირითადი სამართლებრივი ნორმები და თუ იციან, ეს ცოდნა საკმაოდ ბუნდოვანი ხასიათისაა. გამოდის, რომ სამართლის ნორმების ასეთი სწავლება მთლად ეფექტური არ არის. აქედან გამომდინარე, ნაწარმოებს „ქმნა მართლისა სამართლისა...“ შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში... როცა ეს ნაწარმოები გავაცანიტ სტუდენტებს, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ მათთვის სრულიად ახალი იყო. საჭიროა ამ კარგი წამოწყების გაგრძელება, ინტერესით ველოდებით შემდეგ ნომრებს. სასურველი იქნება, თუ იგი დასრულებული სახით გამოიცემა ფართო მკითხველისათვის“.

აი, რას გვწერს საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული კონსულტანტი ზ. ბოტკოველი: „მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს, ვინც დაჩვიულია თავისი აღტაცება თუ აღშფოთება მაინცდამაინც წერილობით განაცხადოს ხოლმე, მაგრამ ამჟერად გამიჭირდა თავის შეკავება. იმიტომ, რომ ძალიან კმაყოფილი დავრჩი ამ ნაშრომით. როგორ გვაკლია მსგავსი სახის თხზულებანი, რომელთაც დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ. დიახაც, რომ უპრიანია მშრომელთა ფართო მასების სამართლებრივი აღზრდა მსგავსი პოპულარული თხზულებით, ამიტომაც დიდ მადლობას მოგახსენებთ მისი პუბლიკაციისათვის“.

საინტერესოა მახარადის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის საშუალო სკოლის მასწავლებლის ნათელა ხომერიკის წერილი: „გულწრფელად უნდა ითქვას, რომ საგანი „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ ბავშვს სათანადოდ ვერ ეხმარება იურიდიული საკითხების შესწავლაში, კანონისა და მისი არსის გარკვევაში. ამიტომაც ჩავატარე ექსპერიმენტი: ჯერ სამართლის გაკვეთილი ავსენი სახელმძღვანელოს მიხედვით, ხოლო შემდეგ წავიკითხეთ ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის მხატვრული ნაწარმოები „ქმნა მართლისა სამართლისა...“ შედეგი რადიკალურად განსხვავებული მივიღეთ. ამ შემთხვევაში ყველაზე პასიური მოსწავლეებიც გააქტიურდნენ. მათ ადვილად აით-

ვისეს მხატვრულ ნაწარმოებში გადმოცემული სამართლებრივი საკითხები... მიმაჩნია, რომ საგანი „სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები“ ბავშვებისათვის საინტერესო გახდება და ჩამოუყალიბებს მათ მორალურ-ზნეობრივ საზღვს, თუკი ნაშრომი „ქმნა მართლისა სამართლისა...“ და მსგავსი მხატვრული ნაწარმოებები ფართოდ იქნება გამოყენებული სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად“.

კიდევ მრავალი საინტერესო წერილის დამოწმება შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ განსაზღვრა ნაწარმოებისადმი ესოდენ დიდი ინტერესი? ამ კითხვას პროფესიონალი იურისტების პასუხი სჭირდება. ვფიქრობთ, რომ ნაწარმოებისადმი ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, მისმა ფორმამ და ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომობამ განაპირობა. არ ირღვევა ერთიანი სიუჟეტური ხაზი, თუმცა იგი მრავალ დამოუკიდებელ ნოველას შეიცავს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ნაწარმოები პროფესიულ დონეზეა შესრულებული. საკითხები უბრალოდ და მარტივად არის გადმოცემული, მაგრამ პროფესიონალისათვის ნათელია, რომ თითოეული, ერთი შეხედვით, მარტივი საკითხის უკან სერიოზული კვლევაა ჩატარებული. ნაწარმოებში ფართოდაა გამოყენებული იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამაზ შავგულიძის მონოგრაფიები „აფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, „აუცილებელი მოგერიება“, „მოქალაქის უფლებები მოძალადის მოგერიების დროს“, „საზოგადოებრივი აზრი და დანაშაული“ (თანაავტორობით), „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა“ და სხვ. ნაშრომს ბევრი შესძინა იმან, რომ პროფესორ თამაზ შავგულიძეს აქვს პედაგოგიური და მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობის საკმაო გამოცდილება.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ნაწარმოების მეორე ნაწილი „ჭეშმარიტების ძიება“. იგი ეძღვნება სწორედ იმ ჭეშმარიტების ძიების ძიებას, სადაც დანაშაულის ნამდვილი მიზეზი იმალება. შეიძლება ითქვას, რომ ძიების ეს მეთოდი თავისებური სიახლეა კრიმინოლოგიაში, რამეთუ დანაშაულის მიზეზების ახსნის დროს გამოყენებულია ჭეშმარიტობიერი ფსიქოლოგია. მთავარი კი, ვფიქრობთ, ის არის, რომ დანაშაულის მიზეზების ახსნას ავტორები ცდილობენ სოციალური და ფსიქოლოგიური მომენტების შეთანხმებით, სადაც ადამიანი განხილულია არა როგორც მხოლოდ სოციალური ან ფსიქოლოგიური არსება, არამედ სოციალური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური არსება ერთად. ადამიანი დანახულია არა როგორც ყველა ამ მხარის უბრალო ჯამი, არამედ მის სულთან ერთობლიობაში. საკითხის კრიმინოლოგიურ ასპექტში განხილვა დიდ სარგებლობას მოუტანს მკითხველს, საშუალებას მისცემს გაერკვეს დანაშაულის მიზეზებში და, რაც მთავარია, შეძლებისდაგვარად, აიცილოს ის შეცდომები, რაც მას ან მის აღსაზრდელს მიიყვანს დანაშაულამდე.

ვფიქრობთ, ნაწარმოები „ქმნა მართლისა სამართლისა...“ ახალი სამართლებრივი აზროვნების ჭეშმარიტი ძიების ნაყოფია, მაგრამ არის თუ არა ის ჭეშმარიტი გამარჯვება ამას მომავალი გვაჩვენებს, ჩვენი მოკრძალებული აზრით კი ახლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული გამარჯვება უკვე მიღწეულია...



# საბითუმო ვაჭრობა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგების საპარტიო-ტექნიკური კომიტეტის ავტორიტეტის ამაღლება

ლალო ზანტაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი

საბითუმო ვაჭრობა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგების პროგრესული ფორმა, აგრესამრწველო კომპლექსის ახალი სამეურნეო მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი მოწოდებულია გადაწყვიტოს ის პრობლემები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგების სფეროში წარმოიშობა. როგორც სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, დეფიციტს აქ სწორედ თვით ფონდირებისა და მოვარაგების არსებული ხისტება ქმნის. სწორედ ამიტომ ახალმა სამეურნეო მექანიზმმა გაითვალისწინა საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი შეცვლა, წარმოების საშუალებებით ცენტრალიზებული მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგებიდან საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა. საწარმოებს უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთი გამომუშავებული ფულით შეიძინონ ყველაფერი, რაც სჭირდებათ პროდუქციის გამოშვების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, სოციალური საკითხების გადასაწყვეტად<sup>1</sup>.

წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის შემდგომი გაფართოება მოითხოვს ამ ურთიერთობების რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების კვლევას. საბითუმო ვაჭრობის ბუნების შესწავლა, ოპტიმალური სამართლებრივი ფორმების შერჩევა უდაოდ შეუწყობს ხელს სამეურნეო ურთიერთობებზე სამართლის აქტიურ ზემოქმედებას.

ლიტერატურაში სწორად საბითუმო ვაჭრობა გაიგივებულია მომხმარებლებსა და დამამზადებელ საწარმოებს შორის პირდაპირ სამეურნეო კავშირებთან. პირდაპირი სამეურნეო კავშირები ასევე განიხილება საბითუმო ვაჭრობის შემადგენელ ელემენტად ან მის ერთ-ერთ ფორმად<sup>2</sup>.

საბითუმო ვაჭრობის ამგვარი გაგება სამართლიან კრიტიკას იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში, რადგანაც ამ დროს ფაქტიურად ზღვარი იშლება საერთოდ მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგებასა და საბითუმო ვაჭრობას შორის, რამეთუ ეს უკანასკნელი თვითონ მოიცავს მოვარაგების ყველა ფორმას<sup>3</sup>. საბითუმო ვაჭრობის ნორმატიული აქტების ანალიზი და მათი გამოყენების პრაქტიკა ჩვენის აზრით, არ იძლევა საფუძველს ერთმანეთთან გაავივივოთ მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგების ეს ორი სრულიად დამოუკიდებელი ფორმა;

ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სუბიექტების მიხედვით. აგრესამრწველო კომპლექსში საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ დებულებების მეორე პუნქტით მატერიალურ-ტექნიკური მოვარაგება საბითუმო

<sup>1</sup> სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მასალები, თბ., 1987, გვ. 65-67.

<sup>2</sup> Лобачев Н. Важный резерв повышения эффективного производства, «Коммунист», 1972, № 8; «О перестройке организационной структуры и деятельности Госнаб СССР», «Материально-техническое снабжение», 1988, № 3; Проценко О., Новиков Д. Вырваться из порочного круга, «Материально-техническое снабжение», 1988, № 4.

<sup>3</sup> Смирнов В. Т., Яковлева В. Ф. Правовые проблемы перевозки и материально-технического снабжения. Л., 1978, с. 37.

<sup>4</sup> შემდგომში ვიხმართ ასე: „დებულება“.

ვაჭრობის წესით ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოების (ბაზების) მიერ ე. ი. საბითუმო ვაჭრობის ურთიერთობაში ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს მომარაგების ორგანიზაცია. ზოლო პირდაპირი სამეურნეო კავშირები წარმოიშობა უშუალოდ დამამზადებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის მომარაგების ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე. პირდაპირი კავშირები, როგორც აღნიშნავს ვ. ფ. იაკოვლევა, პირიქით, არ უშვებს მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების ჩახშას დამამზადებლიდან მომხმარებლამდე პროდუქციის მოძრაობის პროცესში<sup>5</sup>. საბითუმო ვაჭრობის ამ დამახასიათებელ ნიშანზე იუწყობილი ლიტერატურაში აღრცე იყო ყურადღება გამახვილებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნებისმიერი ფორმა მომარაგება-გასაღების ორგანიზაციის მონაწილეობით საბითუმო ვაჭრობად ჩაითვალოს. მომარაგების ორგანიზაციებსა და მეურნეობებს შორის წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდების ხელშეწყობით მოწესრიგებული ურთიერთობებიც, რომლებიც, ბუნებრივია, არაა საბითუმო ვაჭრობა.

ეს ორი ფორმა ერთმანეთისაგან განსხვავდება მომარაგების ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლებითაც. პირდაპირი, ხანგრძლივი სამეურნეო კავშირები წარმოიშობა დამამზადებელ საწარმოებთან მომხმარებელთა მიმავლების გეგმების საფუძველზე<sup>7</sup>. საბითუმო ვაჭრობის დროს პირდაპირად პრინციპს წარმოადგენს მიმწოდებლის თავისუფალი არჩევა. ამ ურთიერთობებისათვის არაა დამახასიათებელი მომხმარებლის გეგმიური მიმავლება მიმწოდებელთან. მათი წარმოშობა რ მოითხოვს შემდგომი ხავედგომ ორგანოს თანხმობას.

საბითუმო ვაჭრობა და პირდაპირი სამეურნეო კავშირები განსხვავდება იმ მატერიალური რესურსების წარმოების დაგეგმვის მიხედვითაც, რომელთა რეალიზაცია უნდა მოხდეს. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის დადგენილებით („მეურნეობრიობის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სსრკ საბმომარაგების საქმიანობის გარდაქმნის შესახებ“) პროდუქცია, რომლის რეალიზაცია საბითუმო ვაჭრობის წესით უნდა მოხდეს, მზადდება სახელმწიფო შეკვეთის შესაბამისად, ზოლო პროდუქცია, რომლის რეალიზაცია პირდაპირი სამეურნეო კავშირებით ხდება — სახელმწიფო შეკვეთის საფუძველზე, ასევე დამოუკიდებლად, მომხმარებელთა პირდაპირი შეკვეთების შესაბამისად<sup>8</sup>. როგორც წესი, შეკვეთებს საბითუმო ვაჭრობისთვის დამამზადებლებს წარუდგენენ „ვაჭრომომარაგების“ ორგანოები, პირდაპირი კავშირების დროს კი — უშუალოდ მეურნეობები.

პირდაპირი კავშირები და საბითუმო ვაჭრობა ერთმანეთისაგან განსხვავდება აგრეთვე ვალდებულების შესრულების ვადებისა და სხვა პირობების მიხედვით. პირდაპირი კავშირების დროს, როგორც წესი, ხელშეკრულებები იდება იმ პროდუქციაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს და მომავალში უნდა დამზადდეს. ამ შემთხვევაში პროდუქციის წარმოებას საფუძვლად უდევს მომხმარებელთა შეკვეთები. საბითუმო ვაჭრობის დროს, ხელშეკრულება იდება იმ პროდუქციაზე, რომელიც რეალურად უკვე არსებობს. ეს პირდაპირაა მითითებული დებულებაში, რომლის მეორე პუნქტის თანახმად უნდა დამაკაფილდეს მეურნეობათა ის მოთხოვნები, რომლებიც ხელშეკრულების დადების მომენტში წარმოიშობა.

პირდაპირი კავშირების დროს, როგორც წესი, ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ ემთხვევა ერთმანეთს. საბითუმო ვაჭრობისას შეკვეთები სრულდება არსებული პროდუქციის დაყოვნებითაც ვაცემის გზით; სავლელ სამუშაოების შესრულებისას კი მეურნეობის მოთხოვნილება ცალკეულ სათადარიგო ნაწილებზე უნდა დამაკაფილდეს შეკვეთის წარუდგენიდან ერთი დღე-დამის განმავლობაში. შესაბამისად, შეკვეთის მიღება საბითუმო ვაჭრობის დროს და მისი შესრულება, მაქსიმალურად დაახლოებულია.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბითუმო ვაჭრობა და პირდაპირი კავშირები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დამოუკიდებელი ფორმებია და მათი გაიგივება ერთმანეთთან გაუმართლებელია.

<sup>5</sup> ვ. ტ. სმიტნოვისა და ვ. ფ. იაკოვლევას დასახელებული შრომა, გვ. 39.

<sup>6</sup> Правовые проблемы руководства и управления отраслью промышленности в СССР. Под ред. А. Е. Лунева. М., 1973, с. 389—390.

<sup>7</sup> Брагинский М. И., Шапкина Г. С. Хозяйственные договоры в материально-техническом снабжении и сбыте, М., 1976, с. 167.

<sup>8</sup> СП СССР, 1987, № 35, ст. 118.

თუ რომელი ხელშეკრულებით უნდა მოწინააღმდეგებდეს საბითუმო ვაჭრობის დროს წარმოშობილი ურთიერთობები, ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში ორი შეხედულება არსებობს.

ავტორთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ საბითუმო ვაჭრობის ურთიერთობათა რეგულირების დროს ერთადერთ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს მიწოდების ხელშეკრულება<sup>9</sup>. სხვათა აზრით, აღნიშნული ურთიერთობები შეიძლება მოწინააღმდეგებდეს როგორც მიწოდების, ასევე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებითაც, იმისდა მიხედვით, ლიმიტირებულია თუ არალიმიტირებული საბითუმო ვაჭრობა.<sup>10</sup>

სახელფლო-სამეურნეო საქარმოების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია საკითხი, თუ რომელ ხელშეკრულებით ფორმას გამოვიყენებთ საბითუმო ვაჭრობის ურთიერთობათა მოსაწინააღმდეგებლად. ამ პრობლემას არამარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. წარსული ეკონომიკური რეფორმის გამოცდილება, მომარაგების სამართლებრივი ფორმების შესახებ დისკუსიის შედეგები, ჩვენის აზრით, დამაჯერებლად მოწმობენ, რომ მიწოდების ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს საბითუმო ვაჭრობის რეგულირების ეფექტური საშუალება. ცნობილია, რომ მიწოდების ხელშეკრულება ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის პირობებში შეიქმნა და განვითარდა, როგორც პროდუქციის განაწილების ერთ-ერთი ფორმა, ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის ძირეული გარდაქმნის პროცესში ბუნებრივია, არსებითად უნდა შეცვალოს ამ საკითხისადმი მიდგომაც.

სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში, როდესაც მიწოდების ხელშეკრულება, ჩვენის აზრით, უკვე ვეღარ წარმოადგენდა საბითუმო ვაჭრობის ურთიერთობათა ეფექტური რეგულირების საშუალებას, საჭირო გახდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფართოდ გამოყენება. თუ 80-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისის იურიდიულ ლიტერატურაში მიზანშეწონილად მიჩნეული მიწოდების ხელშეკრულების გამოყენების აუცილებლობა (ლ. მ. შორი, ს. ი. ევსერაკია და სხვ.), 70-იანი წლების მეორე ნახევარში დღის წესრიგში დადგა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გამოყენების პრობლემა (ვ. კ. პაპოვი, ვ. ფ. იაკოვლევა და სხვა.), თუმცა, ამ მოსაზრებამ ფართო პრაქტიკული განხორციელება ვერ მოჰყო: ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მიწოდების ხელშეკრულება უფრო ხელსაყრელ პირობებს მიწოდებულ ორგანიზაციებს უქმნის, რომლებიც ზშირად თავიანთ პირობებს ახვევენ თავს მომხმარებლებს. ნორმატიული აქტებიც მომარაგების შესახებ ამ უწყებების მიერ მუშავდება და ბუნებრივია, მსაში საკუთარი ინტერესები უფრო სრულად პოულობს ასახვას. ამაზე სამართლიანად მიუთითა აკადემიკოსმა ვ. კუდრიავცევმა<sup>11</sup>; ამ პერიოდისათვის არალიმიტირებული პროდუქციის წილი თანდათან შემცირდა და 80-იანი წლების დასაწყისისთვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრული ცენტრალიზაცია გამოიწვია.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ძირეული გარდაქმნის პირობებში საბითუმო ვაჭრობის ურთიერთობათა მოსაწინააღმდეგებლად, ჩვენის აზრით, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. იგი უფრო სრულად ასახავს დღევანდელი მოთხოვნების მომარაგებითი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში. ერთ-ერთი არსებითი ნაკლოვანება, რომლისთვისაც სამართლიანად აკრიტიკებენ მომარაგების არსებულ სისტემას, ესაა მისი მოუქნელობა, არაოპერატიულობა. მატერიალურ რესურსებზე მეურნეობათა განაცხადიდან მის დაკმაყოფილებამდე მინიმუმ 8-10 თვე მინც გადის. საბითუმო ვაჭრობის ფართო დანერგვა შესაძლებლობას

<sup>9</sup> Шор Л. М. Оптовая торговля средствами производства. «Советское государство и право», 1970, № 12. Езерская С. И., Раевич И. С., Яхнина Н. А. Правовое регулирование оптовой торговли. Проблемы совершенствования материально-технического снабжения. М., 1972, с. 265—278.

<sup>10</sup> Лебедь А. Н., Аристаков Ю. М., Оптовая торговля средствами производства в системе Госснаба СССР. «Советское государство и право», 1969 № 1. Смирнов В. Т., Яковлева В. Ф. Правовые проблемы перевозки и материально-технического снабжения. Л., 1978, с. 50—51. Попов В. К. Договорные отношения и эффективность сельскохозяйственного производства. Харьков, 1976, с. 71.

<sup>11</sup> Кудрявцев В., Демократизация и правовая реформа. «Известия», 1988 г. 1 июня.

იძლევა თავიდან ავიცილოთ ლიმიტებისა და ფონდების გამოყოფასთან დაკავშირებული ბევრი უარყოფითი მოვლენა, გავათავისუფლოთ მომხმარებელი განაცხადების წინასწარი წარდგენისაგან, „ქაღალდთმთხველობისაგან“.<sup>12</sup>

მატრიალურ-ტექნიკური მომარაგების მოუქნელ და არაოპერატიულ სისტემას მიესადაგება მიწოდების ხელშეკრულება. ამის საილუსტრაციოდ საჭიროებია შევხებით მიწოდების ხელშეკრულების დადების ვადებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდების შესახებ დებულების მე-6 პუნქტის შესახებაც, ხელშეკრულების გასაფორმებლად მინიმუმ 38 დღეა საჭირო. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ მათი გაფორმების პრაქტიკას, ეს ვადები ხშირად რთვემდე ჭიანჭურდება. როგორც ვ. ფ. იაკოვლიცა ასკვნის, მიწოდების ხელშეკრულების დადების წესი მტკიცედ რთულია, იგი ხასიათდება ხანგრძლივობით და მიმდინარეობს ნორმატიული აქტებით მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.<sup>13</sup>

საბითუმო ვაჭრობის დროს ხელშეკრულების დადება გაცილებით მარტივია. ეს აიხსნება იმით, რომ ეს პროცესი არ არის დაკავშირებული მეურნეობისათვის ფონდების გამოყოფასთან და კმაყოფილდება მეურნეობათა ის მოთხოვნები, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულების დადების მომენტში წარმოიშობა. ამასთან, შეკვეთა (ოფერტა) მიღებულია ითვლებს, თუ 15 დღის განმავლობაში მომარაგების საწარმო მომხმარებელს არ აცნობებს შეკვეთის პირობებზე უთანხმოების შესახებ. პრაქტიკაში ხელშეკრულების დახადებად გამოიყენება გაცილებით უფრო ნაკლები ვადა.

ლ. მ. შორის აზრით, პროდუქციის ცენტრალიზებული განაწილების უპირატესობა უდავოა: ამ დროს გამოირიცხება ბევრი შუალედური რგოლი, მკვეთრად მცირდება „დოკუმენტბრუნვა“, შესაძლებლობა გვეძლევა უარი ვთქვათ თითოეული მომხმარებლის პროდუქციის ფონდირებაზე.<sup>14</sup>

მიწოდების ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია როგორც შუალედური რგოლების არსებობა, ასევე ქაღალდთბრუნვის დიდი მოცულობა. ამაზე სრულიად ნათლად და გარკვეულად უთითებს მიწოდების ხელშეკრულების გამოყენების აქტიური მომხრე ლ. მ. შორიც: „ეტყობა აქ არ გამოდგება ჩვეულებრივი მიწოდებისათვის დამახასიათებელი მიწოდებულება და შეიძლება შორის ურთიერთობათა ნორმირების დეტალიზაციის მაღალი ხარისხი“.<sup>15</sup> თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა ვთქვათ უარი მომარაგების ამ მოძველებულ ფორმაზე, როცა საბითუმო ვაჭრობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ყიდვა-გაყიდვის ფართოდ გამოყენებისათვის. ზოგი ავტორი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გამოყენებას უკავშირებს ვალდებულების შესრულების მომენტს. მათი აზრით, თუ ხელშეკრულების დადების ვადა ემთხვევა მის შესრულებას — სახეზეა ყიდვა-გაყიდვა.<sup>16</sup> მართალია, საბითუმო ვაჭრობის დროს ხელშეკრულების დადების და მისი შესრულების ვადები, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი არ არსებობდეს.

მრეწველობისაგან განსხვავებით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატრიალურ-ტექნიკური მომარაგების თავისებურებაა მისი სეზონური ხასიათი. ამის გამო მეურნეობები და მომარაგების ორგანიზაციები ერთი ხაზის პროდუქციის მიწოდების პროცესში უწყვეტად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საბითუმო ვაჭრობა იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ ეს თავისებურება. მომარაგებით ურთიერთობას ასეთ დროს აქვს ერთჯერადი ხასიათი, რაც დამახასიათებელია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისთვის.

ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ლ. მ. შორი მიზანშეუწონლად მიიჩნევს ყიდვა-გაყიდვას ხელშეკრულების გამოყენებას, იმაში მდგომარეობს, რომ ვაჭრობის მასობრივ ოპერაციებს, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების კომერციულ საქმიანობას შეუძლებელია საფუძვლად დაედოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი გარემოს დაუყოვნებლივ შესრულების პრინციპი. მისი აზრით, ეს შესაძლებელია მხოლოდ მცირე და ერთჯერადი შეკვეთე-

<sup>12</sup> Анисимов С. Уроки оптовой торговли. «Материально-техническое снабжение», 1987, № 7, с. 9—10.

<sup>13</sup> Яковлева В. Ф. О понятии договора поставки по советскому гражданскому праву. Проблемы гражданского и административного права, ЛГУ, 1962, с. 249.

<sup>14</sup> ლ. მ. შორის დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> ს. ი. ეზერსკაიას, ი. ს. რავეჩის, ნ. ა. იახინას დასახელებული ნაშრომი, გვ. 270.

ბის შესარულებლად. ამასთან, საბითუმო ვაჭრობა ფართო მასშტაბებში გულისხმობს მიწოდების ორგანიზაციას წინასწარი შეკვეთების საფუძველზე, ნიმუშებისა და კატალოგების გამოყენებას, ტვირთის ცენტრალიზებული შენიღვის ყოველმხრივ დანერგვას.<sup>17</sup>

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ასეთ მოსაზრებას. საბითუმო ვაჭრობის უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა „გარიგების დაუყოვნებლივ შესრულების პრინციპით“ უფრო ოპერატიულად დავაკმაყოფილოთ მეურნეობათა მოთხოვნები. ეს პრინციპი განმტკიცებულია დებულებაში (პ. 8). როგორც წესი, მეურნეობის შეკვეთები ერთჯერადი ხასიათისაა, ხოლო რაც შეეხება ნიმუშებისა და კატალოგების გამოყენებას, ტვირთის ცენტრალიზებული შენიღვის დანერგვას, ყველაფერი ეს დამახასიათებელია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისთვისაც. ესაა: საქონლის რეკლამირება, ნიმუშებისა და კატალოგების გამოყენა, საქონლის შიკანა სავაჭრო ორგანიზაციის ტრანსპორტით და ა. შ. ასე, რომ, ამ ნიშნების მიხედვით არ მიგვაჩინა მიზანშეწონილად უარი ვთქვათ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე.

მიწოდების ხელშეკრულების გამოყენების მომხრეები თავის პოზიციას ასახულებენ იმით, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველი და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო სამართლის კოდექსები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების დროს სამართლებრივი რეგულირების გარეშე ტოვებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა რაოდენობა, ფასი, ანგარიშსწორება, მატერიალური პასუხისმგებლობა და სხვა<sup>18</sup>.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველსა და სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ყიდვა-გაყიდვის ნორმები ბევრი რამით განსხვავდება მიწოდების ნორმებისაგან. ამასთან, როგორც ყიდვა-გაყიდვის, ასევე მიწოდების ურთიერთობები მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსებით არ რეგულირდება. ეს ნორმები ზოგადი ხასიათისაა და მათი დეტალური რეგლამენტირება კონკრეტულ ნორმატიულ აქტებში ხდება. ცალკეული სახის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თავისებურებები მოცემულია სპეციალურ ნორმატიულ აქტებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ისეთი პირობები, როგორცაა რაოდენობა, ასორტიმენტი, ხარისხი, ფასი, ვადები და ა. შ. ასეთია მაგალითად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს დადგენილება „ნიმუშებისა და მოსამსახურეებისათვის ბანგრძლივი სარგებლობის საქონლის განვადებით მიყიდვის შესახებ“<sup>19</sup>.

სახელშეკრულებო ფორმის არჩევის დროს ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ „მიყიდვლს უფლება აქვს იმედოვნებდეს მარტივ, მოხერხებულ და რაციონალურად ორგანიზებულ სახელშეკრულებო ტექნიკაზე“<sup>20</sup>. სწორედ ამგვარი მარტივი, მოხერხებული და რაციონალური სახელშეკრულებო ტექნიკის შექმნის შესაძლებლობას იძლევა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. სოციალისტურ ორგანიზაციების შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გამოყენების რეალობა და მიზანშეწონილობა საფუძვლიანადაა დასახუთებული იურიდიულ ლიტერატურაში<sup>21</sup>. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, ითვალისწინებენ საბითუმო ვაჭრობის ყველა თავისებურებას. ამიტომ აუცილებელია სპეციალური აქტის მიღება, რომელსაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პრინციპები დაელება საფუძვლად.

ავტორები, რომლებიც მხარს უჭერდნენ საბითუმო ვაჭრობის დროს ორივე სახელშეკრულებო ფორმის გამოყენებას, გამოდიოდნენ იქიდან, რომ მისაწოდებელი პროდუქცია იყოფოდა ლიმიტირებულად ან არალიმიტირებულად. მათი აზრით ლიმიტირებული პროდუქციის მიმართ გამოიყენება მიწოდების ხელშეკრულება, ხოლო არალიმიტირებულის მიმართ — ყიდვა-გაყიდვის<sup>22</sup>.

დღეისათვის საბითუმო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებაა უარის თქმა მეურნეობის ლიმიტირებულ და ფონდირებულ მომარაგებაზე. ეს შტაკივდაა მითითებული სა-

<sup>17</sup> ლ.მ. შორის დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

<sup>18</sup> ს. ი. ეზერსკაიას, ი. ს. რაევიჩის, ნ. ი. იახნიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 270-271.

<sup>19</sup> СП СССР, 1959, № 17, ст. 130.

<sup>20</sup> ლ.მ. შორის დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

<sup>21</sup> ა. ნ. ლებელის, ი. მ. არისტაკოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

<sup>22</sup> ვ. კ. პობოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 71. ვ. ტ. სმირონოვის, ვ. ფ. იაკოვლევას დასახელებული ნაშრომი, გვ. 50-51 და სხვ.

ბიოლოგიის ვაჭრობის ნორმატიულ აქტებში<sup>23</sup> ამის შესახებ სახელმწიფო არ არის მიწოდების ხელშეკრულების გამოყენება.

საბიოლოგიის ვაჭრობის ძირითად არსს წარმოადგენს მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება. მიწოდების ხელშეკრულების დროს ამ საკითხს დაბოლოებული ყურადღება არ ეთმობა. ჩვენის აზრით, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1987 წლის ბოლოსათვის ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დავალიანებამ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სფეროში ძნეული მანეთი შეადგინა<sup>24</sup>. საბიოლოგიის ვაჭრობის დროს ხდება მეურნეობათა იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელთაც სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა გააჩნიათ. მათ მიეყვებათ მხოლოდ ის პროდუქცია, რომელიც რეალურად არსებობს მომარაგების ორგანიზაციებში. შესახებ სახელმწიფო პასუხისმგებლობის იმ ნორმათა გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია მიწოდების ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევისათვის.

ყოველგვარი კლასიკური ფორმა გულისხმობს მყიდველთათვის ფართო უფლებების მიცემას და საბიოლოგიის ვაჭრობა ხორციელდება მყიდველთათვის სწორედ ასეთი უფლებების წარდგენით. ერთდროულად, საბიოლოგიის ვაჭრობის დროს არ გვხვდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებთან მეურნეობების ურთიერთობის ნორმების დეტალიზაციის მაღალი დონე, დადგენილია უფრო თავისუფალი უარი შეკვეთილი პროდუქციის მიღებისაგან, ხშირად არ არსებობს ქონებრივი პასუხისმგებლობა და ა. შ.<sup>25</sup> — ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობით საბიოლოგიის ვაჭრობის რეგულირების დროს უნდა გამოიყენებოდეს ყოველგვარი ხელშეკრულება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შემუშავდეს საბიოლოგიის ვაჭრობის შესახებ ახალი ნორმატიული აქტი, რომელიც განამტკიცებს საბიოლოგიის-საბიოლოგიის ურთიერთობათა ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა მეურნეობათა პრიორიტეტი ხელშეკრულების ძირითადი პირობების შერჩევას; მეურნეობათა გადახდისუნარიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება; ხელშეკრულების დადება მოთხოვნების წარმოშობის მომენტში და მისი შესრულება უმოკლეს ვადაში; მხარეების დამოუკიდებლობა ხელშეკრულების ძირითადი პირობების შერჩევას.

<sup>23</sup> ЦП СССР, 1987, № 35., ст. 118. დებულება საბიოლოგიის ვაჭრობის შესახებ, პ. 2.  
<sup>24</sup> გ. მგელაძე, საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ახალი მიქნები, „ეკონომისტი“, 1988, № 2.  
<sup>25</sup> ვ. კ. ბოპოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

# ახალშობილის გველეხის საკითხისათვის


„...რა უაზრობაა: ითხოვდნენ ადამიანის სიცოცხლის პატივსაცემას და ამავე დროს განკარგავდნენ მას, როგორც ღირებულებადაკარგულ ნივთს“.

ბარბარ ჰილი.

## თეიმურაზ ჯანსუკი,

საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი

ახალშობილის განზრახ მკვლელობა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და ცხადია იგი საზოგადოებრიობის სამართლიან აღფრევებასა და აღშფოთებას იწვევს. ეს ფაქტი კიდევ უფრო მძიმეა მაშინ, როცა იგი ჩადენილია თვითონ დედის მიერ, ვისაც უშუალოდ და უპირველესად ევალება ახალშობილის მოვლა-პატრონობა. სწორედ ამიტომ, ამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ანალიზთან ერთად საჭიროა გაირკვეს აგრეთვე დედობრივი ინსტინქტის შესუსტების ხელშემწყობი ბიოლოგიური ფაქტორები. საბჭოთა სისხლის სამართალი ჩველი ბავშვის მკვლელობაში ვფიქსირდებით არა ყოველი



ბავშვის, არამედ მშობიარობის დროს ან უშუალოდ მის შემდეგ დედის მიერ თავის ნაწლავში ბილი ბავშვის განჯრახ მკვლელობას. ჩვილი ბავშვის მკვლელობის დროს კი აუცილებლად უნდა განიხილონ ადამიანის სიცოცხლის დაწყების მომენტი, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ცოცხალ ადამიანზე. ყოველივე ამას დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მკვლელობა თავისთავად სიცოცხლის მოსპობას ნიშნავს.

როგორც ცნება, ადამიანის სიცოცხლე ერთ-ერთი ურთულესი ცნებაა. ფილოსოფიაში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ადამიანის სიცოცხლე — ბიოსოციალური ცნებაა. სიცოცხლის დუალიზტური ბუნება კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ამგვარად ახსნეს შრომაში „გერმანული იდეოლოგია“: „წარმოება ცხოვრებისა — როგორც საკუთრებისა შრომის მეშვეობით, ისე სხვისა — შეიღობის საშუალებით — უკვე ერთბაშად გვევლინება ორგვარი ურთიერთობის სახით: ერთი მხრივ, ბუნებრივი, მეორე — საზოგადოებრივი ურთიერთობის სახით, საზოგადოებრივის იმ აზრით, რომ იქ იგულისხმება ბევრი ინდივიდის ერთობლივი მოქმედება, სულ ერთია რა პირობებში, რა წესით და მიზნით ხდება იგი“<sup>1</sup>.

იურისტებისათვის კი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური პროცესის საწყისი მომენტის ფიქსაციას სიცოცხლის საზოგადოებრივი ღირებულების გაუთვალისწინებლად. ვილაპარაკოთ რა ადამიანის სიცოცხლეზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი არსებობა დამოუკიდებლად, საშოს გარეშე.

მედიცინა გვასწავლის, რომ საშოს გარეშე ცხოვრების უნარს ადამიანის ნაყოფი შეიძენს ნორმალური მშობიარობის დაწყებამდე ბევრად ადრე. მაგალითად, სახამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში მომწიფებულად ითვლება ჩვილი, რომელიც არანაკლები რვა მთვარეული თვის განმავლობაში იმყოფება საშოში, ხოლო თუ იგი საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის სტაციონარულ პირობებში ცხოვრობს საშოს გარეშე, პრაქტიკულად იგი სიცოცხლისუნარიანი ხდება შეიღობი მთვარეული თვის ასაკის მიღწევას<sup>2</sup>. აქ უკვე იქმნება იმის მოჩვენებითი შესაძლებლობა, რომ ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობის მოპოვება მივიჩნიოთ „სიცოცხლის საწყისად“ და ამის შემდეგ ნაყოფის მოსპობის ცდა ჩავთვალოთ უკვე მკვლელობად. მაგრამ, ამგვარი არგუმენტაციით ჩვენ მხედველობის გარეშე გვჩნება ადამიანის შეგნება, რადგან ჭერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე შემოქმედება ორსულობის შეწყვეტის მიზნით, არ იწვევს პიროვნების ცნობიერებაში სიცოცხლისადმი ზეღოფის ასოციაციას და მასხადამე, არ შეიძლება იგი ვავივივოთ მკვლელობასთან. საყოველთაო პირობებში შემჩნეული 8 და 9 თვის ორსულობის შეწყვეტის სხვადასხვაგვარი საშუალებები არ ქმნიან მკვლელობის შემადგენლობას იმის გამო, რომ არც დედის და არც დამხმარე პირებს არა აქვთ შეცნობილი თავიანთი მოქმედების სიმძიმე, არ ფიქრობენ იმაზე, რომ შემოქმედებენ ცოცხალ ადამიანზე. მათი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც აბორტის უპაწოთა გაკეთება და არა როგორც მკვლელობა. საქმის არსი იმთავითვე იცვლება, როდესაც ქმედება ზეღოფის უკვე დაბადებულ ბავშვს (დედა ან უცხო პირები ბავშვს ვაგუდავენ, თავის არეში მიაყენებენ სასპეკდილო პრილობას და ა. შ.) ახეთ დროს სახეზე გვაქვს განჯრახი მკვლელობის ყველა ნიშანი. მასხადამე, ნაყოფის მიერ საშოს გარეშე სიცოცხლისუნარიანობის მოპოვების მომენტი მთლიანად ვერ ამოწურავს „ადამიანის სიცოცხლის საწყისის“ მახასიათებელ ყველა გარემოებას. პრაქტიკულად მშობიარობის დროს მხოლოდ პირობით შეიძლება დავუშვათ ესა თუ ის მომენტი, როგორც „სიცოცხლის საწყისი“, რომლის შემდეგაც სიცოცხლის მოსპობა მკვლელობად უნდა ჩაითვალოს, ხისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „ადამიანის სიცოცხლის საწყისად“ უნდა ჩაითვალოს სუნთქვის დაწყება და დედის საშოსგან მთლიანი გამოყოფა (ჰიპოთარის გადაჭრა). მიუხედავად მოჩვენებითი სიმარტივისა, ეს აზრი უძლურია. სახამართლო ექსპერტიზის დროს წარმომოხილი დავა იმის შესახებ, ცოცხალი დაბადება ბავშვი თუ მკვდარი, ბევრ სიძნელეს იწვევს. ყველაზე საიმედო ნიშანი იმისა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო, არის სუნთქვა, რაზედაც მოწმობს ფილტვებში არსებული ჰაერი. მაგრამ თუ მხოლოდ ეს ნიშანი წყვეტს ბავშვის ცოცხლად ან მკვდრად დაბადებას, მაშინ ყოველთვის არ შეიძლება გამოვიყენოთ ჟი განსახილველი აზრის სახარტებლოდ, რადგან ყოველგვარი მშობიარობა ერთნირად არ წარმობარება. არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ანომალიების გამო, ჩვილი დედის საშოდან გამოსვლის შემდეგ, დროის გარკვეულ პერიოდში არ სუნთქავს იმის მიუხედავად, რომ მის ფილტვებში არის ჰაერი და ცოცხალია. იქ მყოფებს უნდა

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 26.

<sup>2</sup> Большая медицинская энциклопедия, т. 8, М., 1978, с. 235.

შეიქმნათ სათანადო წარმოდგენა მასზე, როგორც ადამიანზე, რადგან ბავშვი უკვე ჩანს და მასზე ხელყოფა სიცოცხლის მოსპობის მიზნით, უკვე შეიცავს მკვლელობის შემადგენლობას. დამაჩრებელი არაა აგრეთვე არგუმენტი ჭიბლარის გადაჭრის შესახებ, რადგანაც პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბავშვი სუნთქავდა, ყვიროდა, მაგრამ ჭერ კიდევ იყო დაკავშირებული ჭიბლარით დედასთან.

ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ ადამიანის სიცოცხლის პირობით საწყისად ჩითვალოს ფიზიოლოგიური მშობიარობის დაწყება და ამ აზრს იურისტთა უმრავლესობა ემხრობა. დიას, მშობიარობის დაწყება მართლაც არის ნაყოფის საშოს გარეშე ცსოვრებისათვის საკმარისი ზარისხის მომწიფება და იგი ამის ობიექტური მტკიცებულებაა. ამიტომ ზედმეტად მიგვიჩნია იმის აღნიშვნა, რომ სისხლის სამართლის თვალსაზრისით „სიცოცხლის საწყისად“ მიიჩნეოდეს დედის საშოდან ნაყოფის გამოჩენა, რადგან დედის მდგომარეობა მშობიარობის დროს ასეთია, რომ იგი თავისთავად ცხადყოფს სიცოცხლის ახალი დამოუკიდებელი სუბიექტის — ადამიანის დაბადებას. ჩვენის აზრით, დაუშვებელია თუნდაც პირობითად გაგებული ადამიანის „სიცოცხლის საწყისი“ წმინდა მექანიკურ ნიშანს დაუუკავშიროთ და იგი იმის მიხედვით გადაწყვეტიტო მთლიანად თუ არამთლიანადაა გამოსული ბავშვი დედის საშოდან. როდის და რა ვითარებაში მოხდა ბავშვის შესუნთქვა, ჭიბლარის გადაჭრა და ა. შ.

შობადი ბავშვი პირის ცნობიერებაში უნდა ჩითვალოს ცოცხალ ადამიანად და არა შიდასაშობ ნაყოფად. ასეთ დროს არ შეიძლება ლაპარაკი ორსულობის შეწყვეტაზე (აბორტზე), რადგან დაწყებული ფიზიოლოგიური მშობიარობის გამო ორსულობა თავისთავად შეწყვეტილია და ნებისმიერი არამართლმომიერი ქმედობა შეიძლება შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. ამიტომ ნაადრევი მშობიარობის ან უბედური შემთხვევის შედეგად დედის საშოსგარეშე ბავშვის სიცოცხლის მოსპობამ, ცხადია, უნდა მოგვცეს მკვლელობის შემადგენლობა. თუ ასეთ შემთხვევაში ბავშვი მკვდარი იხადება, მაგრამ რაიმე მიზნით მასზედ შინც ხორციელდება ხელყოფა, სახეზე გვექნება ჩვილი ბავშვის მკვლელობის მცდელობა.

ამრიგად, მშობიარობის დაწყებამდე დედის საშოში ნაყოფის მოსპობა არ განიხილება სიცოცხლეზე ხელყოფად და ასეთი მოქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს (აბორტის უკანონო წარმოება), ხოლო შემოქმედება შობად ბავშვზე, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მთლიანად არ არის გამოსული დედის საშოდან ან ბოლომდე არ ჩანს იგი, ქმნის მკვლელობის ან მისი მცდელობის შემადგენლობას.

საბჭოთა რესპუბლიკებში სხვადასხვაგვარადაა დადასტურებული „დედის მიერ ახალშობილი ბავშვის განწრაბ მკვლელობის“ დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაციის საკითხი. რსფსრ-ს, საქართველოს, სომხეთის, ბელორუსიის და ყაზახეთის სისხლის სამართლის კოდექსები არ გამოყოფენ ამ დანაშაულს დამოუკიდებლად და მას განიხილავენ როგორც ჩვეულებრივ განწრაბ მკვლელობას. დანარჩენი ათი მოკავშირე რესპუბლიკა კი ჩვილი ბავშვის მკვლელობას განიხილავენ როგორც მკვლელობის ნაკლებად საშიშ სახეს თავისი სპეციალური სისხლის სამართლებრივი ნორმითი. ამ საკითხმა ერთსულოვანი აზრი ვერ მპოვა იურიდიულ ლიტერატურაშიც. ავტორთა ერთი ნაწილი უარყოფს ამ დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობად გამოყოფის აუცილებლობას, მეორენი კი აღიარებენ მას მკვლელობის ნაკლებად საშიშ სახედ. ჩვენის აზრით, უფრო მართებული პოზიცია გააჩნიათ იმ ავტორებს, რომლებიც ჩვილი ბავშვის მკვლელობის დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობად გამოყოფის წინააღმდეგ გამოდიან. ამ აზრის დასაბუთებისათვის საჭიროა ჩვილი ბავშვის მკვლელობის ჩადენის პირობების დრმა ანალიზი.

ახალშობილი ბავშვის მკვლელობის გამომწვევი მიზეზები და პირობები უამრავია. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისეთი, როგორიცაა სირცხვილი საზოგადოების წინაშე ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის გამო, გარკვეული მატერიალური ხიძნელები, შიში მშობლების, ძმების ან ნათესაების წინაშე, ეგოისტური ზრახვები, ანგარება და სხვა. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უფრო ხშირია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მკვლელობა. სოციალისტური მორალი, რომელიც წენობის რეგულირების საშუალებაა, გმობს სქესობრივ აღვირახსნილობას, მაგრამ ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დედობას არ მიიჩნევს სირცხვილად. პირიქით, საბჭოთა სახელმწიფო აწესებს მრავალმხრივ შეღავათებს მარტოხელა დედებისათვის. ბავშვის 12 წლამდე მიღწევამდე ისინი ყოველთვისად იღებენ დაზმარებას, საშუალება ეძლევათ ბავშვი სახელმწიფო სარჩვე გაზარდონ საბავშვო დაწესებულებებში, სარგებლობენ საცხოვრებელი ბინის პირველ რიგში მიღების უფლებით და სხვა. ამავე დროს, ქალის სურვილზეა დამოკიდებული, იყოლოს თუ არა ბავშვი, რადგან კანონი უფლებას აძლევს ორსულ ქალს ლეგალურად გაიკეთოს აბორტი საავადმყოფო პირობებში. მიუ-



ბედავად ამისა, მკვლელი დედები დღეს ჯერ მაინც გვხვდებიან. თუმცა, დიდხანსა აღმოფხვრილია იმ მიზეზთა უმრავლესობა, რომელთა გამოც ჩვენი სახელმწიფოს აღორძინების პირველ წლებში შეინიშნებოდა ამ სახის მკვლელობის სიმრავლე.

ჩველი ბავშვის მკვლელობის დროს დედა იმყოფება მშობიარობის აფექტის ქვეშ და მის ფსიქოფიზიკურ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დანაშაულის სწორი შეფასებისათვის. ვ. ი. ლენინი წერდა: „ადამიანის დაბადება დაკავშირებულია ისეთ აქტთან, რომელიც ქალს აქცევს გაწამებულ, გატანჯულ, ტკივილისაგან გაფიქვულ, განსხლიანებულ, ნახევრად მკვდარ ხორცის ნაჭრად“<sup>3</sup>. ქალის განცდები მშობიარობის დროს, მისი ორგანიზმის შერყევები და დებრეხიები კარგად აქვთ აღწერილი მხატვრული სიტყვის ოსტატებს. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ე. ზოლას „ცხოვრების სიხარული“, ვ. ვერესაევის „ექიმის ჩანაწერები“. ქალის მდგომარეობის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ფართოდაა დასაბუთებული აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში. ბ. კობალეიშვილი ამ პერიოდს ასე აღწერს: „მთხედვად მშობიარობის ფიზიოლოგიური მიმდინარეობისა, მშობიარე ზნირად წუხს, უჩივის სხსტატ ტკივილს, მოითხოვს შევლას, კენების, ყვირის, აგწნებულა“<sup>4</sup>.

ორსულობის პროცესში ქალის ფსიქიკაში შეიძლება სერიოზული ცვლილებები მოხდეს. მაგალითად, ფსიქოფიზიკური მდგომარეობა გამწვავდეს ბავშვის არყოლის სურვილით, რაც ცხადია, ასუსტებს ქალის კონტროლს თავის ქცევაზე. ორსული ქალების უმრავლესობაში, — წერს მ. გურვერი — შეიმჩნევა ხასიათის უმნიშვნელო ცვლილებები, ჩვეულებისამებრ დაკავშირებული სომატიკურ დარღვევებთან. ზოგიერთ შემთხვევაში გვაქვს იპოქონდრიული იდეები, იმპულსურობა, აკვიატებული მდგომარეობა. ეს მოვლენები უფრო ნათლადაა გამოხატული არასასურველი ორსულობის შემთხვევებში.<sup>5</sup>

მშობიარე ქალის ამგვარი პათოლოგიური მდგომარეობა ჩველი ბავშვის მკვლელობის დროს ითვლება შემამსუბუქებელ გარემოებად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არამართლზომიერად მიგვაჩნია ახალშობილის მკვლელობის გამოწვევს ძირითად მიზეზებად ქალის ორსულობასთან დაკავშირებული ავადმყოფური ფაქტორების მიკუთვნება. სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის საფუძველზე შეგვიძლია მხოლოდ მხარი დავუჭიროთ ამ სახის დანაშაულის ბიოსოციალური ხასიათის შიშართულებას. ვინილავთ რა დანაშაულს როგორც სოციალურ მოვლენას, ვუშებთ, რომ ჩველი ბავშვის მკვლელობა არის სოციალური მიზეზების საფუძველზე აღმოცენებული დანაშაული, რომელიც შეიძლება უკავშირდება რთულ ბიოლოგიურ ფაქტორებს.

სამედიცინო მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელიც ახალშობილად თვლის ბავშვს დაბადების, პირველი შესუნთქვის და ჭიბლარის გადაჭრის მომენტიდან ოთხი კვირის ანაკამდე, იურისპრუდენციაში ჩვილის სიცოცხლის ხანგრძლივობის დრო მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. მაგალითად, კანონმდებელი ლაპარაკობს მკვლელობაზე არა მხოლოდ მშობიარობის დროს, არამედ აგრეთვე უშუალოდ მის შემდეგაც. იმ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში, რომლებიც გამოყოფენ ჩველი ბავშვის მკვლელობას სპეციალურ შემადგენლობად დროის ეს შვირე მონაკვეთი სხვადასხვანაირად არის აღწერილი. უკრაინის სსრ სსკ 96-ე მუხლი — „მშობიარობის დროს ან იმთავითვე მშობიარობის შემდეგ“; ტაჯიკეთის სსრ სსკ 108-ე მუხლი და ყირგიზეთის სსრ სსკ 97-ე მუხლი — „მშობიარობის დროს ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ“; მოლდავეთის სსრ სსკ 92-ე მუხლი — „მშობიარობის დროს ან მისწინე მისი დაბადების შემდეგ“ და ა. შ. დროის საკითხის ამგვარი გაურკვევლობა, ჩვენი აზრით, შეტყვევებს დანაშაულის ამ შემადგენლობის სპეციალურ ნორმად გამოყოფის საწინააღმდეგოდ.

არამართლზომიერად მიგვაჩნია ახალშობილის ყველანაირი მკვლელობის მიკუთვნება შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ დანაშაულობებთან. მაგალითად, ჩრდილოეთ ოსეთის ახსრ დეკორის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ. ს. მიხეჯა მ წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დანაშავედ ცნეს ახალშობილის მკვლელობაში. მუშაობდა რა მოწაფედ

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, გამოცემა მე-4, ტ. 27, გვ. 607-614.  
<sup>4</sup> ბ. კობალეიშვილი, მეანობა, თბილისი, 1967, გვ. 174.  
<sup>5</sup> Гуревич М. С., Психиатрия, М., 1949, с. 312.  
<sup>6</sup> Большая медицинская энциклопедия, М., 1981, т. 17, с. 35.



სატელეფონო სადგურში, კ. შეუდგა ღამის მორიგეობას. დაახლოებით ღამის ორ საათზე მას დაეწყო სამშობიარო შეტევები. იგი გამოვიდა ქუჩაში და სკოლის კარებთან შობა ცოცხალი ბავშვი. გაიგო რა ბავშვის უყირილი, მისგან თავის დაღწევის მიზნით კ. მ. იგი ღობის იქით გადაადგო. ბავშვმა დეარდნისას თავი დაარტყა მაგარ საგანს და გარდაიცვალა, როგორც ხაჭაპის მასალებიდან ჩანს, კ. არ იყო იხეთ ასაკში რომ ვერ შეეფასებინა შექმნილი ვითარება. არ გააჩნდა რა სურვილი აღეწარდა თავისი ბავშვი, მას რეალურად შეეძლო ბავშვის სამშობიარო სახლის ან სხვა საბავშვო დაწესებულებისათვის გადაცემა. მიუხედავად ამისა, მან ჩაიდინა წინასწარ მომზადებული მძიმე დანაშაული (მაღაფდა ორსულობას, არ დადგა ქალთა კონსულტაციის აღრიცხვაზე, არ იმყოფებოდა დეკრეტულ შევებულებაში). ამგვარ გარემოებებში ჩვილი ბავშვის მკვლელობა არ უნდა ჩათვლილიყო შემთხვევითურად გარემოებებში ჩადენილად.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ნ. ზაგორდნიკოვის აზრს ჩვილი ბავშვის მკვლელობის შემთხვევების ორ ჯგუფად პირობით დაყოფის შესახებ. ესენია: ახალშობილის მკვლელობა, რომლის მოტივები უშუალოდაა განპირობებული მშობიარობის ფაქტით და ახალშობილის მკვლელობა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ანტიანაზღაოებრივი მოტივების იხეთ გამოვლენას, როგორცაა ანგარიხი, ეგოიზმი და ა. შ. პირველ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განცდებთან დაკავშირებულ მორალურ ფაქტორებს (შემთხვევითი კავშირის გამო სირცხვილის გრძობა, შიში და ა. შ.), რა დროსაც მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩიქს მშობიარობის არახელსაყრელი პირობები, სახელდობრ მშობიარობა სამკურნალო დაწესებულების გარეთ, მარტობა და ა. შ.

ამ თვალსაზრისით ხანტირებსა ასეთი მაგალითი: ტექნიკუმის პირველი კურსის მოსწავლე მ. დორსულდა თავის მასწავლებელთან კავშირის შედეგად, რომელმაც გაიგო რა ამის შესახებ, მიატოვა სამუშაო და სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. მ.-მ თავის დროზე ვერ მოახერხა აბორტის გაკეთება, ხოლო ახლობლებისაგან ორსულობის შემჩნევის შიშით იგი საერთო საცხოვრებელში გადავიდა, მაგრამ აქაც მალაფდა ორსულობას. მშობიარობა კი უცერად, ტექნიკუმის სახელოსნოში მეცადინეობის დროს დაეწყო. მ.-მ სარდაფის სათავსოში გააჩინა ბავშვი და მას ზედ ნახშირი მიაყარა. ამ შემთხვევაში მას ერიდებოდა მშობლების, ეშინოდა მათი რისხვის, გაურბოდა ამხანაგებთან შეხვედრებს, პარალიზებული იყო მასწავლებელთან მოულოდნელი კავშირის გაწყვეტით. მშობიარობა მოხდა ტექნიკუმის შენობაში და ცხადია, მას ეშინოდა კიდევ ამხის გახმაურებისა. ყველაფერი ეს არ გამოიციხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ მოწმობს ბრალეულის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე. ბავშვის სიცოცხლე რა თქმა უნდა შეიძლებოდა გადარჩენილიყო, მაგრამ მ.-მ მოქმედებას არ ახასიათებდა მომეტებული საშიშროების მაჩვენებელი ანტიანაზღაოებრივი ნიშნები.


სულ სხვანაირად გამოიყურება ჩვილი ბავშვის მკვლელობის მეორე სახე, როდესაც მკვლელობა ჩადენილია ყოველგვარი შეცოდების გარეშე, ანგარებითი მოტივებით, დედის სიცივით, ეგოისტობით.

ამ მაგალითიც, ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ.-ს მსჯავრი დედო ჩვილი ბავშვის მკვლელობისათვის. ახალციხის ავტოსადგურის შენობაში ყოფნის დროს იგი შევიდა ქალთა საპირფარეოში და შობა ცოცხალი ბავშვი. ამის შემდეგ მკვლელობის მიზნით ფეხებით ჩატენა ჩვილი საპირფარეოს ზვრელში მიაფარა ზელჩანთა და გაქცევა სცადა, მაგრამ იქ მყოფებმა დააკავეს.

ცხადია ჩვილის მკვლელობის ორი ასეთი სხვადასხვა მაგალითის შეფასებაც განსხვავებულად უნდა მოხდეს და გათვალისწინებული იყოს მისი როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სასამართლოებმა განუზრტლად დაიცვან ეს მოთხოვნა და სახკელის დანიშვნის დროს მკაცრად განსაჯონ იმათი მოქმედება ვინც მთელი სისხსატკიეთ ჩაიდინა ასეთი მკვლელობა. რაც შეეხებათ აუტუქტის მდგომარეობაში მყოფ. დედებს, ვინც ვერ გაუწოა ანგარიში ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ალბათ უნდა გაეწიოთ სათანადო შეღავათები. ყველა შემთხვევაში კი დედის მიერ ჩვილის მკვლელობა სასამართლომ უნდა შეაფასოს განზრახ მკვლელობად. ამან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვემხრობით იმ მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტორების პოზიციებს, რომლებიც

7 Загородников Н. И., Преступления против жизни по советскому уголовному праву, М., 1961, с. 64.



დედის მიერ ახალშობილის მკვლელობას განზრახ მკვლელობად თვლიან და დასჯისაგ ამაღლ  
შესაბამისად მოითხოვენ.

გამომდინარე აქედან ჩველი ბავშვის მკვლელობა უნდა კვალიფიცირდებოდეს საქართვე-  
ლოს სსრ სსკ 104-ე და 105-ე მუხლებით. ამასთანავე, თუ ქმედობა დამამძიმებელია საქართვე-  
ლოს სსრ სსკ 104-ე მუხლში მითითებული გარემოებებით სახზე გვექნება ყველა საფუძველი  
ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებული სისხსტიკით  
ან ანგარების მიზნით ჩადენილი მკვლელობა და სხვა.

აზრთა სხვადასხვაობა ახალშობილის მკვლელობის კვალიფიკაციის გამო თავის ასახვას  
პოპულუმს სასამართლოთა მიერ გამოყენებულ სანქციებზე, რადგან შესაძლებელი ხდება ერთ-  
ნაირი ხასიათის ქმედობისათვის სხვადასხვა რესპუბლიკებში დაინიშნოს თავისი სიმკაცრით  
მნიშვნელოვნად განსხვავებული სანქციები. იქ, სადაც ახალშობილის მკვლელობისათვის პა-  
სუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლით, სასჯელი  
ამ დანაშაულისათვის არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას (უკრაინის სსრ სსკ-ით  
3 წლამდე, ესტონეთის სსრ სსკ-ით 4 წლამდე, ტაჯიკეთის სსრ სსკ-ით 5 წლამდე თავისუფლე-  
ბის აღკვეთა და ა. შ.). ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში იგივე დანაშაულისათვის სას-  
ჯელად შეიძლება დაინიშნოს 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა (საქართველოს სსრ სსკ-ის  
105-ე მუხლი). თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კანონმდებელი უფლებას ართმევდეს სასა-  
მართლოებს კონკრეტული გარემოებების არსებობისას გამოიყენოს სხვა ხასის სასჯელი.

ამ წერილს არა აქვს იმის პრეტენზია რომ ამომწურავად წარმოაჩინოს დედის მიერ  
ჩველი ბავშვის მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. ამჭრად, შევჩერდით  
მხოლოდ ამ ხასის დანაშაულებრივი ქმედობის ზოგიერთ მომენტზე, როგორც უკვე ითქვა,  
კონკრეტული გარემოებების არსებობისას დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა, ჩვენის  
აზრით, შეფასებული უნდა იყოს ან როგორც მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ან  
როგორც მკვლელობა შემამსუხუქებელი გარემოებების გარეშე და არ უნდა ითვალისწინებ-  
დეს სასჯელის შემსუბუქების აუცილებლობას. თეორიული დავა ამ დანაშაულთა შემადგენლო-  
ბის საკითხებზე ძირითადად ემყარება სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების თანაფარდო-  
ბას, თუმცა მშობიარობის დროს ქალის განსაკუთრებულმა ფსიქოფიზიკურმა მდგომარეობამ,  
უფრო კი ამ პროცესის პერიოდში გამოწვეულმა ფაქტორებმა, რომელთა უარყოფა ან ან-  
გარიშგაუწველობა შეუძლებელია, არ შეიძლება გადაძალონ ამ დანაშაულის სოციალური  
ხასიათი.



**სასამართლო ექსპერტიზა: სიანჯლანი და პრაქტიკა**

**სოციალისტური საკუთრების დაცვაში  
საქმეთა სახელმძღვანელო ექსპერტიზა**

გიორგი ლალიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური  
რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტ-ეკონომისტი

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება მეცნიერულად  
დასაბუთებულ, ყოველმხრივ შემოწმებული და განსაზღვრული გეგმის შესა-  
ბამისად მიმდინარეობს, რომლის შესრულებაზე კონტროლი სახალხო სამე-  
ურნეო აღრიცხვის ერთიანი სისტემის საშუალებით ხორციელდება. ეს პრინ-  
ციპი ცხადია, ხელს უწყობს სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების  
გეგმაზომიერ, პრინციპულ განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკურმა საფუძველმა  
კი განსაზღვრა აღრიცხვის ერთიანი სისტემა, რაც ოპერატიულ-ტექნიკური,

ბულალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის სახითაა წარმოდგენილი. მათგან ყველაზე სრული და თანმიმდევრული საბულალტრო აღრიცხვაა, რომლის საშუალებით ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა პოულობს ასახვას ფულად გამოსახულებაში. როგორც მეცნიერებას, მას აქვს თავისი მეთოდი და ხერხები. საბულალტრო აღრიცხვის მეთოდი სამეურნეო საშუალებების, წყაროების და მეურნეობრივი პროცესების რაოდენობრივი ასახვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბულალტრო აღრიცხვით, შესაძლებელი ხდება დროის გარკვეულ მომენტში კერძოდ თვის, კვარტლის ან წლის პირველი რიცხვებისათვის წინასწარ განისაზღვროს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების განკარგულებაში არსებული საშუალებანი და ამ საშუალებათა წარმოშობის წყაროები ფულადი მაჩვენებლით.

როგორც ცნობილია სახალხო მეურნეობის ყველა დარგი გარკვეულ სამეურნეო ოპერაციებს ახორციელებს საგემო მაჩვენებლების შესრულების მიზნით. სწორედ ამ ოპერაციების აღრიცხვისათვის გამოყენებული ხერხების (საბუთთა სისტემის, ანგარიშებისა და ორმაგი ჩაწერის და ა. შ.) ერთიანობა ქმნის იმ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას გაფლანგვა-დატაცებისაგან, აუმჯობესებს კონტროლს რესურსების მომჭირნეობით ხარჯვაზე, ავლენს გეგმების შესასრულებელ დამატებით რეზერვებს და ა. შ.

ამ ხერხებიდან ყველაზე მთავარია საბუთთა სისტემა და ამის გამო საბულალტრო აღრიცხვას დოკუმენტალურ აღრიცხვასაც უწოდებენ. საბულალტრო აღრიცხვის საბუთებში არცერთი ჩანაწერის გაკეთება არ შეიძლება, სათანადოდ გაფორმებული პირველადი საბულალტრო საბუთების შედგენის გარეშე. საბუთების შედგენის წესი, ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1961 წლის 18 ოქტომბრის წერილით, რომელსაც თან ახლავს დებულება „საწარმოებისა და მეურნეობრივი ორგანიზაციების შესახებ“. აქ საბუთის გაფორმების, სხვა წესებთან ერთად, საჭიროა აუცილებლად შემოწმდეს საბულალტრო ოპერაციის კანონიერება და შეფასდეს მისი რეკვიზიტები. სრულყოფილად გაფორმებული საბუთები იმის საშუალებას იძლევა, რომ თავიდან ავიცილოთ და დროულად გამოვავლინოთ მატერიალურ პასუხისმგებელ ან თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი არამართლობიერი მოქმედებები, რასაც შეიძლება მოჰყვეს ან უკვე მოჰყვა დანაშაული.

საბულალტრო ექსპერტიზის პრაქტიკა მოწმობს, რომ გაფლანგვა-დატაცება, მიწერები, აღურიცხავი მატერიალური ფასეულობის სარეალიზაციოდ გატანა და სხვა სამეურნეო დანაშაულობები იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ხდება, სადაც მოშლილია საბულალტრო აღრიცხვის სისტემა, სადაც იგი ვერ ასრულებს სოციალისტური საკუთრების დამცველის როლს და ფუნქციას. მართალია ეს იმას არ ნიშნავს, რომ იდეალური საბულალტრო აღრიცხვის პირობებში გამორიცხული იყოს სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცება, მაგრამ სწორი აღრიცხვა მაინც ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ამ დანაშაულთა აღკვეთისა და დროული გამოვლინებისათვის, რადგან დანაკლისით, გაფლანგვა და დატაცებით მიყენებულ ზარალს მხოლოდ ექსპერტ-ბულალტერი განსაზღვრავს, ეს უკანასკნელი კი კვლევას აწარმოებს პირ-

ველადი საბუღალტრო საბუთებით, რის გამოც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბუღალტრო ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილი პირველადი საბუღალტრო საბუთების გაფორმებას, მის სრულყოფას. ეს უპირველესად იმ ორგანოებს მოეთხოვებათ, რომლებიც ექსპერტიზას ნიშნავენ.

ექსპერტ-ბუღალტერი საბუღალტრო საბუთების გამოკვლევას აწარმოებს დადგენილი წესის მიხედვით. უპირველესად იგი იკვლევს სათანადო წესით არის თუ არა შევსებული საბუთები, მისი ყველა სავალდებულო რეკვიზიტი. თუ რომელიმე ძირითადი რეკვიზიტი აკლია, ამის შესახებ აღნიშვნას აკეთებს დასკვნის კვლევით ნაწილში, მაგრამ თუ პირველად საბუღალტრო საბუთში გამორჩენილია სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე პირების ხელმოწერა და ექვს იწვევს სამეურნეო ოპერაციის კანონიერება, ასეთ შემთხვევაში პირველადი საბუღალტრო საბუთების შემოწმება ექსპერტმა უნდა მოახდინოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ანგარიშებთან ურთიერთშედარებით, ხოლო თუ საჭირო შეიქმნება უნდა დადგეს შუამდგომლობის საკითხი რევიზიის საშუალებით შემხვედრა შემოწმების ჩატარების შესახებ. არის შემთხვევები, როდესაც პირველადი საბუღალტრო საბუთებში და ყურნალ-ორდერები ყველგან სრულყოფილად არის შედგენილი, მაგრამ გამოძიებით დადგენილია, რომ პირველადი საბუღალტრო საბუთი ეწინააღმდეგება სამეურნეო ოპერაციის მოხდენის სინამდვილეს, დანაშაულის კვალის მიჩქმალვის მიზნით საბუთს ხელს აწერს არა სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე პირი, არამედ სულ სხვა ანგარებით დაინტერესებული პიროვნება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საბუთზე ხელმოწერა დაკითხვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება.

თუ გამოძიებით დადგინდება უსაქონლო ოპერაციები, ხელმოწერების სიყალბე ან სხვა რამ დანაშაულებრივი ქმედება, პირველად საბუღალტრო საბუთებთან ერთად ექსპერტ-ბუღალტერს უნდა წარედგინოს აგრეთვე დაკითხვის ოქმები და ხელნაწერთა ექსპერტიზის დასკვნა. ამავე დროს, ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული კითხვა იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ შესაძლებელი გახდეს გამოძიების მიერ სადაოდ მიჩნეული საბუთების გამოყენება. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ამას ყურადღებას არ აქცევენ ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოები და ამ მიზეზებით შემდგომში საჭირო ხდება დამატებითი საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარება.

დღეს კი, ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ საყოველთაო გარდაქმნის პროცესში, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს გამოძიებისა და საბუღალტრო ექსპერტიზის მეთოდებისა და ხერხების სრულყოფა, რაშიც განსაკუთრებული როლი ენიჭება აღრიცხვას, როგორც სოციალისტური და კოოპერატიული საკუთრების დამცველ ნაცად სისტემას.

## ჟურნალისტური კოდექსები

ჟურნალისტიკის ზნეობრივი ასპექტებისადმი ფართო ინტერესი პირველად ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოვლინდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ევროპასა და ამერიკაში მძლავრი საგაზეთო მონოპოლიები, აქტიურად დაიწყო პრესის გამოყენება მასების შეგნების მანიპულირებისათვის.

აი, რას წერდა ამის შესახებ 1908 წელს შვეიცარული გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევი“: „მისტერ პირსონმა და მისმა მეტოქემ, „დეილის მეილის“ მფლობელმა, ლორდ ნორდკლიფმა ჟურნალიზმის ახალი მეთოდი შემოიტანეს ინგლისში, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი გონიერ არსებად არ ჩათვალოს, არ მოუხმოს მის გონებასა და მორალს, რომ ყოველ დილას ისინი მხოლოდ სათაურების შემცველი სენსაციური სიახლეების დომხალით მოამარაგოს. ეს ყველაფერი ძალზე იაფად იყიდება და პასუხობს მუდამ მოჩქარე ადამიანის მოთხოვნებს, რომელსაც სურს ყველაფერი უმაღლეს და ზოგადად იცოდეს. ამით თანდათანობით ჰკარგავს შესაძლებლობას თვალყურის ადევნოს აზრთა მსვლელობას და იგი ეჩვევა ყოველ დილით ამ უხეში საკვების ავტომატურად გადაყლაპვას“. ამგვარად, უქმნის რა მკითხველს იმის ილუზიას, რომ გაცნობილია ნებისმიერ სიტუაციას, რაც მისი უშუალო გარემოცვის ფარგლებს გარეთ ზღბება, პრესა ანეიტრალებს მკითხველის აზრების აქტივობას, უსპობს საშუალებას გაცდეს ბურჟუაზიული წარმოდგენის ჩარჩოებს.

მანიპულატორთათვის სასარგებლო იდეებისა და აზრების მკითხველისათვის უცერემონიოდ თავმოხვევამ დემოკრატიული საზოგადოების, მათ შორის თვით ჟურნალისტების შემფოთება გამოიწვია, რომელთაც საგაზეთო მექანიზმის მორჩილ კბილანებად გადაქცევის საშიშროება იგრძნეს. ისინი შეეცადნენ როგორმე წინ აღდგომოდნენ სიტყვის მონოპოლიის თვითნებობას და დაეცვათ მათგან მკითხველი, რისთვისაც შეიმუშავეს პროფესიული ეთიკის კოდექსები. ოციან წლებში ასეთი კოდექსები მრავალი ქვეყნის ჟურნალისტთა კორპორაციებმა მიიღეს.

წერილობით ჩამოყალიბებულ პირველ კოდექსად, როგორც წესი, „ქცევის ქარტიას“ მიიჩნევენ, რომელიც საფრანგეთში 1918 წელს ჟურნალისტთა ეროვნული სინდიკატის მიერ იქნა მიღებული თუმცა, როგორც ფინელი მკვლევარი ლარს ბრუნი თვლის, ეთიკური კოდექსი პირველად დაახლოებით 1900 წელს დაიწერა შვეიციაში, მაგრამ მან ასეთი ფართო გავრცელება ვერ პოვა.

პირველ კოდექსებში ფიქსირებული მოთხოვნები, როგორც წესი, ზნეობის ზოგადსაკაცობრიო ნორმებისა და საღი აზრის დონის რეკომენდაციების ჩარჩოებს ვერ სცილდება. წერე სიმართლე; დაეყრდენი ფაქტებს მაშინაც კი, როცა ისინი არასასიამოვნოა შენთვის; პატივი ეცი ყოველი ადამიანის სახელსა და ღირსებას, მისი პირადული ცხოვრების უფლებას; არ წერო უსინდისოდ და არავისაგან მიიღო მოწყალეობა; გამოასწორე დაშვებული შეცდომები; იყავი პატიოსანი ახალი ამბების შეგროვებისა და გავრცელებისას; პატივი ეცი დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და მორალის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს— აი, მოკლედ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ჟურნალისტური ეთიკის კოდექსების ჩონჩხს შეადგენს.

კოდექსები განსხვავდება ერთმანეთისაგან ჟურნალისტიკისათვის წაყენებულ მოთხოვნათა ერთობის ხარისხით. ერთნი შეიცავენ მხოლოდ ზოგად პრინციპებს, სხვები კი ამა თუ იმ კერძო, მაგრამ ტიპურ სიტუაციებში ქცევის რეკომენდაციებსაც იძლევიან. ზოგჯერ ისინი დამატებითი მუხლებით ივსებიან, რომლებიც ყალიბდებიან ჟურნალისტთა ღირსების სასამართლოებისა და პრესის საბჭოების მიერ განხილული პრეცედენტების მიხედვით.

რა თქმა უნდა, თვით ყველაზე გრცელ კოდექსსაც არ შეუძლია ყველა იმ სიტუაციის გათვალისწინება, რომელშიც ჟურნალისტი შეიძლება მოხვდეს. უბატიოსნობის წინასწარაკვიტებულობის, ტყუილისაგან დაცვის ყველაზე საიმედო გარანტიები თვით ადამიანშია. ეს არის მისი სინდისი და პროფესიული მოვალეობა. თუმცა, დაწერილი კოდექსები ორიენტაციას აძლევენ ჟურნალისტს, ეხმარებიან მას გარკვევით წარმოიდგინოს ნებადართულის საზღვრები: მათი წყალობით პროფესიულ წრეში კოლეგათა ქცევისადმი ერთიანი მოთხოვნები, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება.

ამ ნომერში მკითხველებს გავაცნობთ „ჟურნალიზმის კანონებს“, რომლებიც ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების მიერ იქნა მიღებული 1923 წელს და დღესაც მოქმედებს.

„კანონებში“ ჩამოყალიბებული დებულებები კამათს არ იწვევს. მხოლოდ ერთი მათგანი — გაიმიჯნოს ცნობა ახალ ამბავზე და აზრი მის შესახებ — „კანონებში“ ისევე როგორც ბევრ სხვა ჟურნალისტურ კოდექსში, ძალზე კატეგორიულად ედერს. შეიძლება კი პრაქტიკულად ამ მოთხოვნის შესრულება, ფაქტების დაშორება მისი შეფასებისაგან? რადგან ჟურნალისტმა რაიმე მოვლენა ამოირჩია გამოსაქვეყნებლად, მაშასადამე უპირატესობა მას მიანიჭა. ეს კი უკვე აზრია მოვლენის შესახებ, თუ გნებავთ, მისი მცირე კომენტარიც.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ბურჟუაზიული კოლეგები სწორედ ჟურნალისტური კოდექსების ამ მოთხოვნას იმოწმებენ, რათა ხაზი გაუსვან ეგრეთწოდებულ „არაპარტიული პრესის“ მიუკერძოებლობას.

და კიდევ ერთი შენიშვნა. სინამდვილეში პროფესიული წრის ზნეობა, უწინარესად საზოგადოებაში გაბატონებულ ურთიერთობებზეა დამოკიდებული. ამიტომ „კანონებში“ ჩამოყალიბებული კეთილშობილური პრინციპები ხშირად ეწინააღმდეგება საგაზეთო ბიზნესის ინტერესებს, გამომცემელთა პოლიტიკურ მიზნებს. ასეთი მდგომარეობა აიძულებს ამერიკელ ჟურნალისტებს სისტემატურად დაარღვიონ პროფესიული ეთიკის ნორმები, მეტიც, მათ მასიურს ხდის.

ეს ხომ არ ნიშნავს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსები საერთოდ უსარგებლოა? არა. თვით მათი არსებობა და ავტორიტეტი საზოგადოების თვალში აიძულებს დამრღვევებს თავი აარიდონ უკიდურესობებს და ხელს უშლის პროფესიული ცინიზმის ზრდას.

დ. ავალიანი

## ჟურნალიზმის კანონები

გაზეთების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა გააცნოს კაცობრიობას, თუ რას აკეთებენ, გრძობენ და ფიქრობენ ადამიანები. ამიტომ, ვინც ჟურნალისტისად მიუძღვნა თავი, უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ინტელექტით, მაქსიმალურად ფართო ცოდნითა და გამოცდილებით, ასევე თანდაყოლილი და შეძენილი დაკ-

ვირგებულობით და საზრიანობით. ჟურნალისტი თავის თავში აერთიანებს მექრონიკეს, მასწავლებელსა და ინტერპრეტატორს. ინტერპრეტატორს უკმაყოფილო მოცემული კანონები ამერიკულ ჟურნალისტიკაში მოქმედი ნორმების გააზრების, მისი კეთილშობილური მისწრაფებების შედეგია: მისი მიზანმიმართული უპასუხოობაა მის მიმართ.

**I. პასუხისმგებლობა.** გაზეთის საქმიანობა, რომელიც მიმართულია მკითხველთა მიზიდვისაკენ, ეყრდნობა საზოგადოებისათვის მხოლოდ კეთილდღეობის შექმნას. გაზეთისადმი მკითხველთა ინტერესების მიმართ რედაქციის დამოკიდებულება ჟურნალისტთა პასუხისმგებლობის დონეს ახასიათებს; ეს პასუხისმგებლობა რედაქციის ყველა თანამშრომელს ეეისება. ჟურნალისტი, რომელიც თავის უნარს ეგოისტური მიზნების მისაღწევად ან სხვა უღირსი განზრახვის შესასრულებლად იყენებს, უპატიოსნოა თავისი დიდი მოვალეობის მიმართ.

**II. ბეჭდვის თავისუფლება.** ბეჭდვის თავისუფლება კაცობრიობის ერთ-ერთი ხელშეუვალი უფლებაა. ეს ნიშნავს თავისუფლად განვიხილოთ ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული, მათ შორის, ნებისმიერი კანონის შინაარსი, რომელიც მოქალაქეთა უფლებებს ზღუდავს.

**III. დამოუკიდებლობა.** გაზეთი თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებისაგან, გარდა, მოვალეობისა საზოგადოების წინაშე. საზოგადოებრივ ინტერესებს მისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

1. როგორც არ უნდა იყოს მოტივი კერძო ინტერესების დასაცავად თუ იგი ზიანს აყენებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, შეუთავსებელია პატიოსან ჟურნალისტიკასთან. ეგრეთწოდებული კერძო წყაროებიდან ახალი ამბების შეტყობინება, როდესაც არ უთითებენ ამ წყაროს ან სხვა მტკიცებულებას, რომ ეს ცნობები როგორც ფორმით, ისე შინაარსით სინამდვილეს შეეფერება, უნდა შეწყდეს.

2. წინასწარი განზრახვით ისეთი სარედაქციო კომენტარის დაწერა, რომელიც ჩქმალავს სიმართლეს, ეწინააღმდეგება ამერიკული ჟურნალისტიკის უმაღლეს დანიშნულებას, ხოლო ტყუილი ცნობების პუბლიკაცია არის ჩვენი პროფესიის ფუნდამენტური პრინციპის ხელყოფა.

**IV. გულწრფელობა, სიმართლე, სიზუსტე.** თავისი დანიშნულების ღირსი ჟურნალისტიკის საფუძველია პატიოსნება მკითხველთან ურთიერთობაში.

1. უწინარესად, ეს ნიშნავს, რომ გაზეთი მართალი უნდა იყოს. დაუდევრობის ან კონტროლის უზუსტობის ან აუცილებელი განკარგულების არარსებობის მომიზეზება არ ამართლებს გაზეთს, თუ მას დაკარგული აქვს ეს თვისება.

2. სათაური ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს სტატიის შინაარსს.

**V. მიუკერძოებლობა.** არსებულ საგაზეთო პრაქტიკაში მიღებულია მკაცრი ზღვარის დადება ახალი ამბების შეტყობინებას და აზრის გამოხატვას შორის. ქრონიკალური ცნობა არ უნდა შეიცავდეს ავტორის აზრს და არ უნდა გამოირჩეოდეს ტენდენციურობით. ეს წესი არ ვრცელდება ეგრეთწოდებულ სპეციალურ სტატიებზე, რომელთა ხასიათი და ხელმოწერა უზრუნველყოფს ავტორს საკუთარი დასკვნებისა და ფაქტების ინტერპრეტაციის უფლებით.

**VI. კეთილსინდისიერება.** გაზეთმა არ უნდა გამოაქვეყნოს არაოფიციალური პირთა აზრი, რომელიც ზიანს აყენებს პიროვნების რეპუტაციასა და მორალურ ავტორიტეტს, თუ წინასწარ არ გააცნობს მათ იმ ადამიანებს, ვის მი-



მართაც არის ისინი გამოთქმული; მიღებულია ასეთი საშუალების მიცემა ყოველთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე სასამართლო პროცესებს ეხება.

1. გაზეთი არ უნდა ჩაერიოს მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში თუ დარწმუნებული არ არის, რომ ეს ჩარევა ობიექტელის ცნობისმოყვარეობით კი არ არის მოტივირებული, არამედ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაზე საზოგადოების კანონიერი უფლებით.

2. გაზეთის უფლება და მოვალეობაა — გამოაქვეყნოს დროული და ამომწურავი სრული უარყოფა ყველა სერიოზული შეცდომის შესახებ, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, როგორია ეს შეცდომები — შეეხება იგი ფაქტებს თუ აზრებს და როგორია მათი წყარო.

VII. წესიერება. გაზეთი თავიდან ვერ აიცილებს არაგულწრფელობის ბრალდებას, თუ აცხადებს, რომ მაღალი მორალური იდეალების ერთგულია, ხოლო თავისი ქცევით სრულ საპირისპირო მაგალითს იძლევა: აქვეყნებს დანაშაულის ჩადენის წვრილმანებს ან მხატვრულად აღწერს ბიწიერებას, რაც სრულიადაც არ არის სასარგებლო საზოგადოებისათვის.

რაკი არ გააჩნიათ უფლებამოსილება, რომ ამ კანონების დაცვა სავალდებულო გახადონ, აქ შეკრებილი ჟურნალისტური პროფესიის წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ ბიწიერი ინსტიტუტების განზრახ წაქეზება საზოგადოების შეუბოვარ წინააღმდეგობას გამოიწვევს და პროფესიონალთა უმრავლესობა დაგმობს მას.

„შურნალისტნი“, 1988, № 10.

### ინფორმაცია

### მუშაობა მთლიანად გარდაიქმნება

რეპეზუბლიკის საზოგადოებრივ იურისკონსულტთა საბჭოს მიერ 1987-88 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე ანგარიშით წარსდგა მისი თავმჯდომარე ა. ჯავახიშვილი. მომხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა შემოწმების მასალები, რომლებმაც იმ 12 ობიექტის სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა მოიცვა, საანგარიშო პერიოდში რომ შეისწავლა საზოგადოებრივ იურისკონსულტთა საბჭომ და კონკრეტული მაგალითებით განამტკიცა თავისი მოსაზრებანი. ეს მოსაზრებები კი საქმოდ თვითკრიტიკული და საქმიანი იყო.

აღინიშნა, რომ თუ საანგარიშო პერიოდში თორმეტჯერ ჩატარდა პრეზიდენტის სხდომა, იურისკონსულტთა საბჭო თავის სხდომაზე ერთხელაც არ შეკრებოდა. დებულებით კი ასეთი სხდომა ყოველ კვარტალში უნდა გაიმართოს. აღბათ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ საბჭო პრაქტიკულად არ ატარებს

თავისი პრეზიდენტის გამხვლეულ სხდომებს უშუალოდ საწარმოებსა და გაერთიანებებში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებრივ იურისკონსულტთა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ნაკლებეფექტურია, რადგან არ არსებობს სათანადო კონტაქტი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრივ იურისკონსულტთა საბჭოებთან. უფრო მეტიც, მთელი საქმიანობა, რასაც რესპუბლიკის იურისკონსულტთა საბჭო ეწევა, მხოლოდ თავმჯდომარისა და მისი მწევრის მონაწილეობით ხორციელდება.

ძირითადად ამითაა გამოწვეული, რომ საბჭო ვერ ატარებს იურისკონსულტებისათვის მეტად აუცილებელ და საჭირო სემინარებს კანონმდებლობის სიახლეთა შესწავლის მიზნით, არ ახდენს სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციის დადებით გამოცდილებათა განსოგადებას, თითქმის მთლიანად ფორმალური ხასიათისაა



სამართლებრივი მუშაობა, ეკონომიკურ-სამართლებრივი ანალიზი არ უტოვდება სახელმწიფო არბიტრაჟის, სტატისტიკისა და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტების მონაცემებს, შეუწყნარებლად ნაკლები ყურადღება გამახვილებული იმ საწარმოებზე, რომლებიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე არიან გადაყვანილნი და ა. შ.

კოლგიაზე წარმოჩენილ ნაკლოვანებებზე მკაცრი და პირუთვნელი მსჯელობა გაიმართა. განხილვის შედეგად მიღებულია დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივ იურისკონსულტთა საბჭოს მუშაობის ძირფესვიან გაუმჯობესებას.

### სამეცნიერო-მეთოდური სამინარო

საპარტიზმლოს სსრ პროკურატურაში ამხნაწინათ ჩატარდა სამეცნიერო-მეთოდური სემინარი საპროკურორო ზედამხედველობის სრულყოფის საკითხებზე შრომა-გასწორების დაწესებულებებში. სემინარზე მოწვეულ იყვნენ რესპუბლიკის იმ რაიონებისა და ქალაქების პროკურორები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები, ხალადაც განლაგებულია შრომა-გასწორების დაწესებულებები, აქვე იყვნენ შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსები.

ლომის განყოფილების უფროსი პროკურორი ნ. ვ. ლმაჰვიშვილი, ქუთაისის პროკურორის თანაშემწე ვ. ბ. შერბიძე, საქართველოს სსრ პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველობის პროკურორი ვ. ვ. სინბარულიძე, შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველობის თბილისის და წულღუკიის პროკურორები მ. ლ. ნოზაძე და ზ. ბ. ბაღაძე, ურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. ბ. თაბაძე, სსრკ პროკურატურის განყოფილების პროკურორი ბ. ვ. კორუზნოვი.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე რ. ნ. ბილიბაშვილმა. მოხსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ვ. ეპიტაშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვ. ვ. ვაბაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს უფროსი ვ. ვ. სოზაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორი ვ. ი. ივალიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ბ. ბაბინაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედვე-

სემინარის მონაწილეებმა ჩატარეს პრაქტიკული შეცადინებობის თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლიატორისა და ერთ-ერთ შრომა-გასწორების დაწესებულებაში.

სამეცნიერო-მეთოდური სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ვ. პაპუაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ი. ბ. ჩიქოვანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ბ. შაფერაშვილი.

### საინტერესო და საშიანი შეხვედრა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მსმენელები (ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეები, სახალხო მოსამართლეები და საქართველოს პროფკავშირების სისტემის მუშაკები) საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქტო დარბაზში შეხვდნენ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს.

პრაქტიკულ მუშაკთა მიერ დახმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გახცეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ნ. წიქორიძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ზახოვიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლოების, სასამართლო სტატისტიკისა და ხეკსპერტო დაწესებულებების სამმართველოს უფროსმა ვ. ბაბინაძემ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორმა მ. კობახიძემ.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანიძე.



# ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

## ვან მუხარანი და ყალბი ვერმუხარები

ვან მუხი

შემდეგ სცენაზე გამოდიან ჩვენთვის უცნობი პერსონაჟები: სტრაიბისი, ჰოპენდაიკი, ვან ბენინგი. ეს უკანასკნელი — მყვდველის როლში. მაგრამ ეს გარიგება მაინც განსაკუთრებული იყო. მართლაც, სურათისათვის მოთხოვნილია თითქმის ფანტასტიკური თანხა, მაგრამ არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ საქმე გვაქვს ხელოვნების ნაწარმოებების ბაზართან და, რომ ეს სურათი შეფასებულია როგორც შემადგენელი წყვილი სურათისა „ქრისტე ემაუსში“. ახალი სიყალბე შეფასებულია 1 600 000 გულდენად, ანუ 5 400 000 ფრანკად.

„საიდუმლო სერობისათვის“ ვან ბენინგმა ასე გადაიხადა: იგი ჰოპენდაიკს საკუთარი კოლექციიდან აძლევს ხუთ ღირებულ ტილოს და უბრუნებს მას „მხსნელს“ (რომელიც რამდენიმე თვის წინ შეიძინა). ამ სურათის დაბრუნებით ჰოპენდაიკის მიმართ აღსტურებს აბსოლუტურ ნდობას: სურათებით მოვაჭრეს ეჭვი არ ეპარება ამ „ვერმეერებში“. სინამდვილეში მან „მხსნელი“ დაიტოვა საკუთარი კოლექციისათვის და სამაგიეროდ შესთავაზებს ფულს, რათა გადაუხადოს სტრაიბისს (და ვან მეეგერენს). აქვე უნდა ითქვას, რომ ჰოპენდაიკმა „საიდუმლო სერობის“ ხილვისას წამოიძახა: „ეს ყველაზე არაჩვეულებრივი ნაწარმოებია!“

### შერყარის გაჯარი ჰოლანდიაში ოკუპაციის დროს

რით ავხსნათ ასეთი თვალის ახვევა? როგორ მოახერხა ვან მეეგერენმა ესოდენ სახიფათო ტრიუკის განხორციელება? როგორ ავხსნათ სპეციალისტის ასეთი ლოდინი, რომელიც თავდაპირველად წამოეგო ანკესზე (სურათი „მხსნელი“), ხოლო შემდეგ ყიდულობს შედეგს

(„საიდუმლო სერობა“)? დაბოლოს, გაქანებულ ომში სად გამოიწიოს 5 400 000 ფრანკი?

თვით ეპოქა გაიძულეს შენიღბვას. ჩვეულებრივ ყამ ფალსიფიკატორი ვერასოდეს გაბედავდა ერთ ქვეყანაში მთელი საკუთარი პროდუქციის გასაღებას; იგი, ალბათ, ეცდებოდა მთელ მსოფლიოში მიმოეფანტა თავისი შემოქმედების ნიმუშები, გაყიდა მათ ნიუ-იორკში, ლონდონში ან პარიზში. ომმა იგი ჰოლანდიაში დააბა, მაგრამ ეს დაბრკოლება მალე მისთვის მთავარ კოზირად იქცევა. გარიგებას სულ რამდენიმე ადამიანი დაესწრო: შუამავალი, სურათებით მოვაჭრე და მყიდველი. საზოგადოება და პროფესიონალი ექსპერტები უკვე აღარ მონაწილეობენ საქმეში. ახლა თვით გამყიდველი აღგენს სურათის ორიგინალობას, ხოლო მყიდველი სრულიადაც აღარ არის დაინტერესებული თავისი შენაძენის განმაურებით, რადგან კაცი, რომელიც საყოველთაო ნგრევის დროს თავს უფლებას აძლევს გაიღოს ამოდენა თანხა, ცხადია, ამით თანამოქალაქეთა პატივისცემას ვერ დაიმსახურებდა.

ამიტომ, ვერმეერის ორიგინალების „აღმოჩენა“ ხან აქ და ხან იქ უცნაურად არ მოეჩვენებოდა. იმათ, ვისაც სურდა თავიდან აეცილებინა შეუთავებელი ინფლაციის საფრთხე. მილიონობით კაპიტალის დაბანდება გამოჩენილი ოსტატის ღირებულ სურათებში ფულს გადაარჩენდა დეველაციისაგან.

თვით ვან მეეგერენიც ასევე იქცევა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავისი ცოდნისა და გამოცდების წყალობით აგროვებს გამოჩენილი ოსტატების ტილოების კოლექციას. ჰალსის, დიურერის, ტერბორხის სურათები მის ისედაც ბრწყინვალე სახლს ლორენში სულ უფრო მეტ ზღაპრულობას სძენდა.

**ხატვის სიამოვნება**

52 წლის ვან მეგერენს თავისი ბოლო სამი სურათის გაყიდვის შემდეგ 4 მილიონი ფრანკი მოუგროვდა. ყოველი ახალი სიყალბის შემდეგ მხილების რისკი იზრდება. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ფალსიფიკატორი ისეთი ვნებით არის შეპყრობილი, რომელსაც თავს ვეღარ აღწევს. მან სრულიად დაკარგა საკუთარი ქმედების შორიდან შეფასების სუბიექტური უნარი. მოგვიანებით იგი თვითონ იტყვის თავის უკანასკნელ სურათებზე:

— ისეთ სიამოვნებას მანიჭებდა მათი ხატვა, რომ საკუთარ თავს ვეღარ ვმართავდი. მე აღარ გამჩანდა აღარც ნებისყოფა და აღარც ენერჯია. შეჩერება აღარ შემძლო.

და იგი კვლავ აგრძელებდა იქნება ახალი სურათი: „ისააკი აკურთხებს იაკობს“ (120x115 სმ). ეს მეექვსე სიყალბეა, რომელსაც მყიდველი 1942 წელს გამოუჩნდა. ისევ იმავე ადამიანთა ჯაჭვი (სტრაიხისი-ჰოპენდაიკი) მიღის ვან დერ ვორმისაქენ, რომელიც უკვე ფლობს სურათს „ბანქოს მოთამაშენი“. იგი დათანხმდება კვლავ აღმოჩენილ ვერმეერში გადხიხალის 1 127000 გულდენი (4 300 000 ფრანკი).

ეს სურათი თავისი კომპოზიციით გაცილებით მარტივია, ვიდრე მისი წინამორბედი სიყალბენი. სურათს „ისააკი აკურთხებს იაკობს“ აშკარად ეტყობა, რომ ვან მეგერენმა იგი ნაჩქარევად შექმნა. ჩანს, რომ ვნებას აყოლილი ფალსიფიკატორი იძულებულია დაჩქაროს სურათის შექმნის პროცესი. იგი უკვე ნაკლები გულმოდგინებით ასრულებს თავისი შრომის შუალედურ ეტაპებს და ცდილობს სწრაფად მივიდეს საბოლოო შედეგამდე: მიიღოს კიდევ ერთი „შედევრი“. მოგვიანებით ვან მეგერენი იტყვის:

— რაც შეეხება უკანასკნელ სიყალბეებს, ჯერ ერთი, მათი ჩანაფიქრი და შესრულება ნაკლები გულმოდგინებით ხდებოდა. (რატომ? ისინი ხომ სულერთია წარმატებით იყიდებოდნენ!) და მეორეც, ვიცოდი, რომ როგორც კი ცნობილი გახდებოდა სურათის „ქრისტე ემაუსში“ ისტორია, მაშინ ყველა სხვა დანარჩენ სურათს რომლებითაც, აქვე უნდა ითქვას, არც ისე ვამაყობდი, სწრაფად მიაკუთვნებდნენ ჩემს ფუნქს.

ვან მეგერენის ეს განცხადება მოწმობს, რომ ის უკვე ვეღარ უწევდა კონტროლს იმ პროცესს, რომელიც წარმოიშვა მასში და ამოქმედა იგი „ქრისტე ემაუსში“ გამოჩენის მომენტთან. მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მეტად დაუშვებლობარებელია კონტროლს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე, ხალხი ამ სურათის შემ-

თხვევაში ლაპარაკი იქნება სწორედ ასეთ საქმეზე.

**პრისტე, ვერმეერი და „მოლალატე ცოლი“**

ჯერ კიდევ სურათზე „ისააკი აკურთხებს იაკობს“ მუშაობისას ვან მეგერენი იწყებს ნაკლები ზომების (97x84 სმ) კიდევ ერთი „ვერმეერის“ შექმნას. ამ სურათს ხატავს XVII საუკუნის ტილოზე, რომელზეც თავდაპირველად ასახული იყო ცხენებისა და ჯარისკაცების ბატალური სტენა. ძველი ნახატი ჩვეული გულმოდგინებით არ წაუშლია. გარდა ამისა, იჩენს თვითდაჭერებულობას და სწევს დამატებით რისკს — სურათში ნაცვლად ლაბისი-ლაჟვარდისა გამოიყენა კობალტის ლურჯი საღებავი (ვერმეერის დროს ლურჯი კობალტი არ არსებობდა). სურათის ცენტრალური პერსონაჟი კვლავ როკბრიუნელ მაჟანწალა იტალიელ გვაგონებს. ქალის სახე ამ სურათზე აშკარად გადმოღებულია სურათიდან „ქალი ცისფერი სამოსით“, რომელიც დატულია სამეფო მუზეუმში. ვერმეერმა „ქალი ცისფერი სამოსით“ დახატა ცოლთან ერთად, მაგრამ დელტეტელმა ოხტატმა, ყოყმანის გარეშე, იგივე ნაკვთები და სახე მიანიჭა მეძვე ქალს სურათში „მაქანკალთან“. ამრიგად, არ იყო შემთხვევითი, რომ ვან მეგერენმა სწორედ ეს სახე ამოირჩია თავისი სურათისათვის. ამიტომ გაკვირვებას სულაც არ იწვევს ის, რომ მის სურათზე გარყვნილი ქალი სრულიად ვერმეერულად გამოიყურება. სურათს შეარქვა „ქრისტე და მოლალატე ცოლი“.

უკანასკნელი თავისი ოთხი ყალბი ნახატის გაყიდვისათვის ვან მეგერენმა ისევ ის ადამიანები გამოიყენა: უძრავი ქონებით ვაჭრობის აგენტი სტრაიხისი და სურათებით მოვაჭრე ჰოპენდაიკი. ახლა რომ ისევ მათთვის მიემართა, ეს გარკვეულ ხიფათს შეუქმნიდა, მაგრამ 1942 წელს ახალი შუამავლების მოძებნა იოლი საქმე როდი იყო. ხელოვნების სფეროში გარიგებანი სულ უფრო ჭირდა და ფალსიფიკატორი იძულებულია დახმარებისათვის მიმართოს ადამიანს, რომლისადმი კონტროლი გაცილებით ნაკლებად შეეძლო. ეს ახალი შუამავლი იყო ვან სტრაივესანდე. ვან მეგერენმა გადასცა მას სურათი „ქრისტე და მოლალატე ცოლი“, შემდეგ კი შემთხვევით შეიტყო, რომ ვან სტრაივესანდე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საოკუპაციო ნაცისტურ წრეებთან. მან მაშინვე წინასწარ განჭვრიტა საფრთხის საშიშროება: იცნ სულაც არ ცდილა საკუთარი თავის კომპრომეტირებას ოკუპანტებთან კავშირისათვის, თუმცა ადვილი შესაძლებელი იყო, რომ მისი ყალბი „ვერმეერებიდან“ ერთი მესამე რაიხში მოხვედრილიყო. მან კვლავ მიმართა ვან სტრაივესანდეს და

წაუყენა პირობა რათა მოექმებნა ჰოლანდიელი მყიდველი.

**გარიგება ჰოლანდიის სახელმწიფოსა და მისამე რაინხ შორის**

**მაგრამ** უკვე გვიანაა. ერთმა ბავარიელმა ბანკირმა ალოის მიდლმა უკვე ყურა მოკრა ვერმეერის უცნობი სურათის აღმოჩენას და ეს შეატყობინა დოქტორ ვალტერ ჰოფერს, ჰიტლერული რეჟიმის აგენტს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ოკუპირებულ ქვეყნებში მოექმებნა მხატვრული ღირებულებები და მათი ექსპრობირაცია მოეხდინა. ამიერიდან ვან მეეგერენს აღარ შეუძლია ჩაერიოს საქმეში და რაიმე იღონოს. ვან სტრაივისანდემ მრავალ მაქინაციას მიმართავს და ბოლოსდაბოლოს გარიგებაში ჩაერევა თვით ჰოლანდიის სახელმწიფო.

მართლაც, სურათი შეფასდა 1 650 000 გულდენად (დაახლოებით 6 მილიონი ფრანკი). გერმანელები ოხოულობენ ჰოლანდიის ეროვნული საკუთრების ამ შედეგის შესყიდვას და ამგვარად სურათის გაყიდვა იქცა სახელმწიფოებრივ საქმედ. საკმაოდ უცნაური საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ გარიგება მოხდა შემდეგნაირად: მისამე რაინხ ამ სურათისათვის იხდის „ნატურით“ — ჰოლანდიას უბრუნებს 200 ორიგინალურ ტილოს, რომლებიც ნაცისტებმა უბრალოდ მოიპარეს ქვეყანაში შემოჭრის დროს. ამ სურათების საერთო ღირებულება ოდნავ აღემატებოდა მოთხოვნილ თანხას. ამ 200 ტილოს მიღების შემდეგ ჰოლანდიის სახელმწიფომ მოთხოვნილი თანხა ფულადი სახით გადაუხადა მიდლს და ვან სტრაივისანდეს, ეს უკანასკნელი კი დაახლოებით 4 მილიონ ფრანკს აძლევს ვან მეეგერენს. გარიგება მოგვიარდა, მაგრამ ვან მეეგერენი კმაყოფილებას ვერ გრძნობს. მან იცის თუ ვისთვის მუშაობს მიდლი და ვალტერ ჰოფერი — ეს არის მისამე რაინხის რაინხმარშალი და ხელოვნების ნაწარმოებების კოლექციონერი ჰერმან გერინგი. მან ეს ოპერაცია ჩაატარა როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ და სახელმწიფო სახსრების დამტაცებელმა: მას, ცხადია, ეს სურათი საკუთარი კოლექციისათვის სურდა...

**კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი საქმე: „ფენტანა“**

ვან მეეგერენი განაგრძობს მუშაობას ვერმეერის მემკვიდრეობის გამდიდრებისათვის და მოლატე ცოლიდან გადაღის მონაწიე ცოდვილ ქალზე. ახალი სურათის (115×95 სმ.) ცენტრში ფიგურირებს აუცილებელი ღვინის ღოჭი, ქრისტე გამოსახულია დაღლილი სახით, იგი უარს

ამბობს საკმელზე, რომელსაც მსახური ქალი სთავაზობს. ის ხელი, რომლითაც უკან სწევს ლანგარს, ისეა დახატული, რომ მოძრაობის გაგრძელება მიმართულია მონაწიე ცოდვილის თავისაკენ. ის კი ნახევრად ექსტაზის მდგომარეობაში დაჩოქილია და მარჯვენა ფეხს ბანს იესოს. უკანა პლანზე ორი ფარისეველი გვაგონებს „საიდუმლო სერობის“ პერსონაჟებს. ამ სურათის აშკარა მონოტონურობა, ალტყინებას მოკლავს; მძიმე სტილი მოწმობს, რომ ავტორი თვითონაც კი ვერ ხვდება თუ რა ნაჩქარევად მუშაობს.

ეს სურათი დაიწყო 1942 წლის დამლევს, როცა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა მოლაპარაკება სურათის „ქრისტე და მოლატე ცოლის“ გაყიდვის თაობაზე. „ფენტანა“ ვერც ტექნიკური შესრულებით იყო დამაკმაყოფილებელი. XVII საუკუნის უცნობი ავტორის თავდაპირველი ნახატი ოდნავ იყო გადაშლილი. გარდა ამისა, ლუმელში უკანასკნელი გამოშრობაც ვერ გამოდგა წარმატებული: იმის გამო, რომ ლუმელი ცუდად იყო დარეგულირებული, ფერწერა მეტად სწრაფად გაშრა და რამდენიმე ადგილზე აშრევდა, რამაც რამდენადმე დაზიანა კრაკელიურის ბადე. ვან მეეგერენი დაკმაყოფილდა ამ ადგილების საკმაოდ უხეში რესტავრაციით. იგი თვლის, რომ ასეთი დეფექტები შეფასდება როგორც ცეცხლის ზემოქმედებისაგან წარმოქმნილი ხარვეზები.

და მართლაც, ამჯერადაც ყველაფერი გამართლდა. დეფექტები სახელმწიფო ექსპერტზამაც კი შეაფასა როგორც ცეცხლის ზემოქმედების ნაკვალი.

**უპიცი უზამავალი**

ვან მეეგერენს არ სურს, რომ მისი ახალი „შედვერი“ კვლავ გერმანიაში მოხვედეს და სკოლის ყოფილ ამხანაგების შორის შუამავლად შეარჩევს იან კოკს, იგი როგორც ყველა წინა შუამავალი, ვერ ერკვევა ხელოვნებაში. მას ვერმეერის შესახებ არც კი სმენია... იგი ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკია ნიდერლანდის აღმოსავლეთ ინდოეთში. ჩვეულებრივი სცენარის მეშვეობით ფალსიფიკატორი დაარწმუნებს შუამავალს, რომ ჩაერთოს გარიგებაში. კოკი შეხვდება დე ბურს (ამსტერდამში სურათებით მოვაჭრე, რომელიც 1939 წელს დაინტერესებული იყო ვან მეეგერენის პირველი „დე ჰოხით“). მან მაშინვე გადაწყვიტა, რომ „ფენტანა“, უპირველეს ყოვლისა, შესასყიდად უნდა შესთავაზოს ნიდერლანდის სახელმწიფოს. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რათა გერმანელებს არ შეეტყოთ ახალი აღმოჩენის შესახებ.

დე ბურმა დაიწყო მოლაპარაკება სამეფო მუზეუმთან.

ვაკრებსა და ეროვნული მუზეუმების სხვადასხვა სპეციალისტთა შორის საიდუმლო კონტაქტების შემდეგ ჰოლანდიის მთავრობამ გადაწყვიტა წარედგინა სურათი ექსპერტთა საბჭოზე განსახილველად. ამრიგად, „ქრისტე ემაუსში“ გამოჩენის შემდეგ პირველად დაიგვიმა ექსპერტიზის ჩატარება. მაგრამ ამჟამად ვან მეგერენის გაცილებით მდარედ შესრულებულ ყალბ სურათზე იქნება მსჯელობა.

### უპანასკნელი სიყალბე

დოქტორი ა. მ. დე ვილი — ქიმიკოსი, ლიუტვილიერი — სურათების რესტავრატორი, დოქტორი ჰანემა — ბოიმანის მუზეუმის დირექტორი, დოქტორი ს. დ. რული — სამეფო მუზეუმის გენერალური დირექტორი, დოქტორი ი. კ. ვან რუპეტერენ ალტენი — ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ვან სხენდელი — სამეფო მუზეუმის მცველი, დოქტორი ი. გ. ვან ჰელდერი — მასწავლებელი უტრეხტში და ამ ქალაქის მუზეუმის დირექტორი — აი, ყველაზე კომპეტენტურ ექსპერტთა საბჭო, რომელიც შეიძლება შექმნილიყო ჰოლანდიაში 1943 წელს. ეს ადამიანები სწავლობენ „ფეხთბანას“. ისინი მოხიბლული როდი არიან სურათის სილამაზით, მაგრამ მხოლოდ ალტენმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს იყო სიყალბე. ყველა დანარჩენი დარწმუნებულია, რომ მათ წინაშე იყო ვერმერის ორიგინალი, თუმცა რამდენადმე გაზიზღებულები იყვნენ სურათის მხატვრობით. საბოლოოდ ექსპერტთა საბჭომ, ერთი ხმის გამოკლებით, ერთხმად გაუწია რეკომენდაცია სახელმწიფოს, რათა იყიდოს ეს ნაწარმოები, მიუხედავად, გამყიდველ დე ბურის რამდენადმე გაუგებარი უარისა, რათა „ფეხთბანა“ შეემოწმებინათ რენტგენოგრაფიის დახმარებით, სახელმწიფო სურათისათვის იხდის 1 300 000 გულდენს. ეს მცდარი გადაწყვეტილება რამდენადმე გამოწვეული იყო ეროვნული სიმდიდრის დაცვის ფსიქოზით, რომლითაც იმდროისათვის შეპყრობილია ყველა. პანეში მოგვიანებით იტყვის:

— ყველას არც თუ ძალიან მოგვეწონა ეს სურათი, მაგრამ გვეშინოდა, რომ ის გერმანიაში არ მოხვედრილიყო.

გადახდილი 1 300 000 გულდენი (4 400 000 ფრანკი) ასე განაწილდა: 65 000 — დე ბურს, 80 000 — კოკს და 1 155 000 — ვან მეგერენს.

ამ რამდენადმე წარუმატებელი სიყალბის დახმარებით მხატვარმა განახორციელა თავისი, შესაძლოა, ყველაზე დაუჯერებელი მისტიფიკაცია. ეს გახდება მისი უპანასკნელი სიყალბე, მაგრამ

მისი სიკრულე, რომელმაც უკვე აბსურდამდე მიიღწია, მაინც ვერავინ გამოაქარავა.

### ილუზიათა მოჩვენება

მაშ ასე, 1935-დან 1943 წლამდე პერიოდში ვან მეგერენმა შექმნა ცამეტი ყალბი ნახტი. ხუთი არ გაყიდულა. დანარჩენმა რვა მიიტანეს 7 254 000 გულდენი, ანუ დაახლოებით 250 მილიონი ფრანკი. აქედან ვან მეგერენმა სულ ცოტა 170 მილიონი მიიღო.

აი, სიყალბეთა ნუსხაც:

ვერმერის „ქრისტე ემაუსში“ (115×127 სმ), დახატა როკბრიუნში (1937 წელი);

დე ჰოხის „დალევის მოყვარული“ (80×69 სმ), დახატა როკბრიუნში (1938 წელი);

დე ჰოხის „ბანქოს მოთამაშენი“ (75×62 სმ), დახატა ნიცაში (1939 წელი);

ვერმერის „მხსნელი“ (48×30 სმ), დახატა ლორენში (1940 წელი);

ვერმერის „საიდუმლო სერობა“ (184×244 სმ), დახატა ლორენში (1941 წელი);

ვერმერის „ისააკი აყურთხებს იაკობს“ (125×115 სმ), დახატა ლორენში (1942 წელი);

ვერმერის „ქრისტე და მოლაღატე ცოლი“ (97×84 სმ), დახატა ლორენში (1942 წელი);

ვერმერის „ფეხთბანა“ (115×95 სმ), დახატა ლორენში (1943 წელი);

გაუყიდავი სურათები:

პალსის „მსმელი ქალი“ (78×66 სმ), დახატა როკბრიუნში (1935 წელი);

ტერბორხის „მამაკაცის პორტრეტი“ (30×25 სმ), დახატა როკბრიუნში (1935 წ.);

ვერმერის „ქალი, რომელიც ნოტებს კითხულობს“ (57×48 სმ), დახატა როკბრიუნში (1936 წელი);

ვერმერის „ქალი, რომელიც ბარბითზე უკრავს“ (63×49 სმ), დახატა როკბრიუნში (1936 წელი);

ვერმერის „საიდუმლო სერობა“ (146×267 სმ), დახატა ნიცაში (1939 წელი).

სიყალბეთა გაყიდვით მიღებულ ფულს უძრავ ქონებად (50-ზე მეტი ოტელი და სახლი) აქცევდა ხოლმე ან ხარჯავდა ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებების შექმნისათვის: 1943 წლისათვის ვან მეგერენს სურათების უმდიდრესი კოლექცია ჰქონდა. ამ პერიოდში მხატვარმა მიატოვა ლორენი და დაბინავდა ამსტერდამში, კიუნერპრაპტზე მდებარე მდიდრულ სახლში. აქ მას აღარ მოუწყვია სახელოსნო და საერთოდ შეეშვა სურათების ხატვას. გაქრა ილუზიები.

### განთავსისუფლების „შხანსულობა“

მარლის შახტი ალტ-აუსზეში (ავსტრია) 1945 წელს, გერინგის პირადი კოლექცია, მო-



კავშირე სახელმწიფოთა ხელოვნებათმცოდნეობის კომისია — აი, ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს ამ ისტორიის უცნაური დასასრული.

როცა ალტ-აუსზეგს მარილის შახტში იპოვეს სტრატი „ქრისტე და მოლაღატე ცოლი“, რომელიც იქ გერინგმა გადაწვალა, თავდაპირველად ამან დიდი სიხარული გამოიწვია: ვერმეერის შედეგრი, ბოლოსდაბოლოს, იპოვეს. გამოძიებლებს აინტერესებთ მხოლოდ ერთი საკითხი: ვინ მონაწილეობდა ამ სურათის გაყიდვაში ნაცისტურ გერმანიაში? სხვანაირად რომ ვთქვათ, ჰოლანდიის რომელი მოქალაქენი არიან ჩარეულნი ხელოვნების ნაწარმოებებით ვაჭრობაში, რაც შეიძლება გაუთანაბრდეს მტერთან თანამშრომლობას?

თავდაპირველად სრულიადაც არ დგას „ქრისტე და მოლაღატე ცოლის“ ორიგინალობის საკითხი. არავის არ უფიქრია, რომ ეს სურათი შეიძლება ყალბი იყოს, და ამიტომ, თავიდან გამოძიება ატარებს უფრო პოლიტიკურ, ვიდრე ხელოვნებათმცოდნეობის ხასიათს. ამასთან, საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველად მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ეხება ერთ-ერთი ახლახანს ნაპოვნი „ვერმეერის“ წარმომავლობას. მართლაც, აქამდე სხვადასხვა ექსპერტები, ვაჭრები და მყიდველები სრულიად კმაყოფილდებოდნენ საკმაოდ დამაჯერებელი, თუმცა საიდუმლოების ბურუსით მოცული იმ ახსნა-განმარტებებით, რომლებსაც იძლეოდნენ შუამავალი ფალსიფიკატორები.

ნაცისტურ არქივებში აღმოაჩინეს იმ ჯაჭვის კვალი, რომელსაც ჰოფერიდან ვან სტრაივესანდემდე, მიდლის (რომელიც მიიშალა) ჩათვლით, ბოლოსდაბოლოს მივყავართ ვან მეეგერენტან. გამოაშკარავდა, რომ იგი არის სურათებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ადამიანთა ჯაჭვის საბოლოო და მთავარი რგოლი. და აი, 1945 წლის მაისის დამლევს გამოძიებლებში ვან მეეგერენს ეწვივნენ.

ჰოლანდიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ფორმაში გამოწყობილი ორი ოფიცერი სრულიადაც არ არის მტრულად განწყობილი თავისი ფინანსური მდგომარეობით ცნობილი მხატვრის მიმართ. ისინი მისგან მოითხოვენ მხოლოდ კონფიდენციალურ ცნობებს, რომელთა დახმარებითაც შეიტყობენ სურათის „ქრისტე და მოლაღატე ცოლის“ ნამდვილ წარმომავლობას. ცხადია, ითვალისწინებენ ამ ნაწარმოების ღირებულებას და იმ თანხასაც, რაც ამ გარიგე-

ბით მიიღო. მათ აბსოლუტურად არავითარი ეკვი არ შეაქვთ ვან მეეგერენის რაიმე უკანონო ქმედებაში. მან უბრალოდ სურათი გადასცა ჰოლანდიელ ვაჭრს, რომელმაც თავისთავზე აიღო სურათის გერმანელებისათვის გადაცემის პასუხისმგებლობა. ამასთან, ვან მეეგერენის საკუთარი სიმდიდრე სრულიად ბუნებრივად აიხსნება იმით, რომ იგი წარმატებით უძღვება საქმეს და მოხერხებულად მართავს თავის ქონებას: უძრავსა და ხელოვნების ნაწარმოებებს...

მაგრამ ვან მეეგერენს არ სურს და სრულიად გასაგები მიზეზების გამო არც შეუძლია მისცეს მათ თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ზუსტი ცნობები რომელიმე შეელი იტალიური ოჯახის თაობაზე, რომელმაც დაუთმო მას „ვერმეერი“, უფრო მეტად, გაბრაზებული უხეშად მიუხურავს კარებს ორივე ოფიცერს. ეს უკვე სავსეა სხვება, მიუთუმეტეს, რომ ასეთ ვითარებაში შედგერის იტალიური წარმომავლობის მტკიცება ახალ ეჭვებს აღძრავს: ვან მეეგერენი ხომ არ იყო ოკუპირებული ჰოლანდიის გავლით ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიას შორის ხელოვნების ნაწარმოებთა გადაზავნის „კავშირის აგენტი“? თუ ეს კაცი უარს აცხადებს ახსნა-განმარტების მიცემაზე, იქნება იმიტომ, რომ უბრალოდ თვითონ მონაწილეობდა ვერმეერის შედგერის მოპარვაში?

სურათების საიდუმლო მფლობელის ვერსია, რომელსაც წმინდა ოჯახური ხასიათის მიზეზებით სურს დარჩეს ინკონიტოდ, უკვე დამაკმაყოფილებელი აღარ არის. ამის უკან შეიძლება იმალება კაცი, რომელიც თანამშრომლობდა ნაცისტებთან. და მოულოდნელად ვან მეეგერენი მიხვდება, რომ მისი არგუმენტები, რომლებიც საკმარისი იყო ფერწერის ბაზრისათვის; სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა სახელმწიფო ჩინიერებებისათვის, რომლებიც პოლიტიკური ხასიათის საქმის გამოძიებისათვის თხოულობენ სრულიად რეალურ მტკიცებულებებს.

პირდაპირ კითხვაზე, ჰქონდა თუ არა კავშირი ნაცისტებთან, ვან მეეგერენი ამაპარტავთული დუმლით პასუხობს. გამოძიებლების აზრით ასეთი საქციელი მიუღებელია და ეს კიდევ უფრო მეტ სერიოზულ ეჭვს იწვევს. 1945 წლის 29 მაისს ვან მეეგერენს აპატიმრებენ მტერთან თანამშრომლობის ბრალდების წაყენებით. ამგვარად, ისტორიის ჩარხი შემობრუნდა. ფალსიფიკატორი სასოწარკვეთილების ვითარებაში აღმოჩნდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# ლერი თალაკვაძე

საზოგადოებრივი აქტიურობის შემდეგ გარდაიცვალა 1967 წლიდან სკკპ წევრი ლერი ბარშაძის ძე თალაკვაძე.



ბარე

ლ. თალაკვაძე დაიბადა 1925 წელს მხარაძის რაიონის სოფელ მთისპირში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 1958-1960 წლებში მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურაში სტავროპოლ-გამომძიებლად და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს ლაბორანტად. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ჯერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს ლაბორანტად, 1966 წლიდან 1978 წლამდე კი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროს გამომძიებლად, განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ და უფროსად.

1978 წელს ლ. თალაკვაძე ინიშნება თბილისის პროკურორად, 1974 წელს კი — რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილედ.

1977 წელს ლ. თალაკვაძეს აწინაურებენ საქართველოს სსრ პროკურორად, ხადაც იმუშავა 1978 წლის ბოლომდე; შემდეგ იგი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო.

1979 წელს ლ. თალაკვაძე საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა ბელორუსიაში, ხადაც 1985 წლამდე ეყავა რესპუბლიკის პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობა.

ლ. თალაკვაძე 1985 წლიდან გარდაცვალებამდე უერთალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი იყო, პარალელურად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ლ. თალაკვაძე რიგით თუ ხელმძღვანელ სამუშაოზე ენერგიულად ემსახურებოდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს, ხარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული იურიისტის წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

სოციალისტური კანონიერებისათვის მტკიცე მებრძოლის, პრინციპული ხელმძღვანელის და გულწინისმართი ამხანაგის ლერი გერშანეს ძე თალაკვაძის ბსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, ახლობლების, კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

საპარტვილო სსრ პროკურატურა; საპარტვილო სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო; საპარტვილო სსრ იუსტიციის სამინისტრო; საპარტვილო სსრ უმაღლესი სასამართლო.

## ლერი თალაკვაძის სსოვნას

სრულიად მოულოდნელად უღმობელმა სიკვდილმა წარიტაცა კიდევ ერთი სიცოცხლე — ქართველმა იურიტებმა და უფროსობებმა დაკარგეს ერთგული მეგობარი, პრინციპული და მართალი პიროვნება, უფროსალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლერი გერშანეს ძე თალაკვაძე.

დიდი იურიდიული საზოგადოებრიობის მწუხარება. მოუშუშებელ კრილობად დაემჩნა მოულოდნელი უბედურება უფროსალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის კოლექტივს, ვისთანაც სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა განხვეწებულმა.

მისი ცხოვრების გზა, სამწუხაროდ, მოკლე გამოდგა — მხოლოდ ორმოცდაცამეტ გა-

ზაფხულს დაეწყო, მაგრამ ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეძლო სიყვარულის, პატივისცემისა და ავტორიტეტის მოპოვება. წლების მანძილზე ერთგულად იმსახურა საქართველოსა და ბელორუსიის ადმინისტრაციულ ორგანოებში... იურიდიული ფაქულტეტის დამთავრებისთანავე იგი მტკიცე რწმენით შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას და რიგითი გამომძიებელიდან რესპუბლიკის პროკურორის მეტად პასუხსაგებ თანამდებობამდე მიაღწია. როგორც გამოცდილმა და ერთდღიერებულმა იურისტმა, ყველგან გამოიჩინა თავი პრინციპულობით, საქმისადმი ერთგულებით, კანონიერებისადმი პატივისცემით, მიუკერძოებლობითა და დანაშაულებრივ სამუაროსთან შეურთებლობით. სიწმინდე და პატიოსნება იყო მის მიერ არჩეული ცხოვრების გზის კრედი...

ჩვენთან, რედაქციაში რომ მოვიდა, უკვე ხანტერესო ცხოვრებაგამოვლილი კაცი იყო, მაგრამ ამახ არახოდეს გაგრძობინებდა, პირიქით, შურნალისტიკასა და ხარედაქციო საქმეში მთელი არსებობა ჩაება, მალევე აუღო ხელი და თავისი მადლიანი ხელი სასიკეთოდ დაამჩნია კიდევ შურნალს. ლერი თალაკვაძის მთავარი ოცნება კი მაინც ის იყო, რომ შურნალი „სახელოთა სამართალი“ ყოველთვის იორგანო ყოფილიყო. და მართლაც, ქართველი იურისტების ამ დიდ ნენის ოცნებას სწორედ პატრეცემული ლერის უშუალო რუდუნებითა და დაყენებით დაედგა თავი — ამიერიდან ქართული იურიდიული შურნალი ყოველთვის უფროდ გამოვა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ლერი თალაკვაძე პირადად ვეღარ დაესწრება ამ საქმის პრაქტიკულად აღსრულებას. თუმცა, თავს იმითდა ვიმშვიდებთ, რომ გარდაცვალებამდე ჩამდენიმე დღით ადრე თვითონ მოიტანა რედაქციაში ეს სასიხარულო ამბავი.

უდიდესი მწუხარებით, გულისტკივილითა და ნათელი მოგონებებით აღსავსენი გემშვიდობებით, ბატონო ლერი.

შურნალ „სახელოთა სამართლის“ რედაქციის კოლექცივი.

# ბიბლიოგრაფია

## შურნალ „სახელოთა სამართალში“ 1988 წელს გამოცემილი მასალის საკითხავი

- მოწინავე სარედაქციო სტატიები და ოფიციალური მასალაი.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, № 1, გვ. 56.
- ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონი, № 3, გვ. 8.
- დაცარიელებული სახლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხანოტარო წესით დამოწმება, № 2, გვ. 29.
- სკკ ცენტრალური კომიტეტში, № 3, გვ. 8.
- სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრეობის მოწმობის გაცემის დროს, № 3, გვ. 45.
- სამართლებრივი რეფორმის შესახებ, № 4, გვ. 8.
- მხოლოდ ციფრები, № 4, გვ. 25.
- კოლექტიური ნება, № 6, გვ. 3.
- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, № 6, გვ. 4.
- დეპუტატ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე XII სესიასზე, № 6, გვ. 8.

- სამოქალაქო სამართალი, პროცესი, შრომის სამართალი, სამეურნეო სამართალი, სანოტარო პრაქტიკა, ბარბიტრაში, ავტოკატარა.
- სანოტარო და მშაჩის ორგანოების პრაქტიკა, № 1, გვ. 57.
- ც. ხომერიკი — გავეფრთხილდეთ საბჭოთა პასპორტის ღირსებას, № 2, გვ. 5.
- დ. მახარაძე — ყველა ორგანიზაცია უზრუნველვეყოთ იურიდიულ მომსახურებით, № 2, გვ. 12.
- გ. ლილუაშვილი — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით შექმნილი საკუთრების იურიდიული ბუნება, № 2, გვ. 43.
- ბ. ზოიძე — ავტომობილის ჩუქება, № 2, გვ. 46.
- ი. ლეკვიშვილი — საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემა და ფუნქციები, № 3, გვ. 12.
- გ. გორგოძე — ახალი სანიმუშო წესდება და კოლმეურნეობის ძირითადი უფლებები, № 3, გვ. 16.

ვ. კოლაშვილი — მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა აღდგენის წესის განმარტებისათვის, № 3, გვ. 66.

ვ. ჩაშაძე — ბუნების დაცვის კანონი გვერდებს, № 4, გვ. 17.

ლ. კორძია — საპრეტენზიო წესის თავისებურებანი რკინიგზის ტრანსპორტზე, № 4, გვ. 39.

დ. დედოძიანი — ზოგიერთი შენიშვნა შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ, № 4, გვ. 8.

დ. ხუხიაშვილი — იურიდიული ფაქტი და სამოქალაქო სამართალწარმოება, № 4, გვ. 51.

დ. კუპრიაშვილი — მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გადაცემის ხელშეკრულების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, № 4, გვ. 56.

ლ. ზაიჩიკი — ადვოკატთა მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურება, № 5, გვ. 19.

რ. ახალია — იურიდიული სამსახური ვარლამის მიღმა, № 5, გვ. 24.

დ. დოლაძე — პირადი საკუთრების უფლების ასპექტები, № 5, გვ. 29.

გ. გოლოშვილი — პროცესუალური ეკონომია და მისი უზრუნველყოფის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, № 5, გვ. 35.

ლ. ჩორგოლაშვილი — ისევ საცხოვრებელი საღვომების გაცვლის შესახებ, № 5, გვ. 61.

ბ. ყურაშვილი — საწარმოო თვითმმართველობის პრობლემები სსრ კავშირში, № 6, გვ. 23.

დ. გორგაძე — სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისა და საარბიტრაჟო კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ეტაპები, № 6, გვ. 40.

ზ. წურჭუბია — პრობლემები, პერსპექტივები, № 6, გვ. 44.

**სისხლის სამართალი, პროცესი, მასპერტიზა, ბრძოლა ლოთოპასთან, პროსტიტუციასთან და ნარკომანიასთან**

მ. ლეკვიშვილი — სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის სრულყოფისათვის, № 1, გვ. 34.

ჩ. ჯანაშია — ნარკომანიასთან ბრძოლის აქტუალური პრობლემები, № 1, გვ. 48.

გ. ბიჭაშვილი — გავაძლიეროთ ბრძოლა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულობებთან, № 2, გვ. 8.

ო. გამყრელიძე — სისხლის სამართლის კანონის სრულყოფისათვის, № 2, გვ. 14.

ა. კობახიძე — საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლის რედაქციისათვის, № 2, გვ. 20.

ჩ. მახარაძე — სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის მომზადება და დანიშვნა, № 2, გვ. 26.

ვ. კაპანაძე — პიროვნების იდენტიფიკაცია მეტყველების დიალექტიკურ ნიშნების საფუძველზე, № 3, გვ. 23.

ნ. ფალიაშვილი — ექსპერტის შეცდომები და მათი პროფილაქტიკა, № 3, გვ. 28.

ვ. ხიმონიშვილი — შეეკმნათ დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის ახალი სისტემა, № 3, გვ. 34.

ა. ჭინჭარაძე — გენეტიკური „დაქტილოსკოპია“ სამართლის სამსახურში, № 3, გვ. 37.

რ. გვერცაძე — განზრახ მკვლელობისა და სხეულის მძიმე დაზიანებათა პროფილაქტიკისათვის, № 4, გვ. 37.

ა. ხარაძე — სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის როლი მატერიალური პასუხისმგებლობისა და დანაკლისების განსაზღვრის საქმეში, № 4, გვ. 40.

ა. ბაქრაძე — კიდევ ერთხელ ოპერატიული სამძებრო ღონისძიებათა შესახებ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში, № 4, გვ. 43.

ნ. თოდუა — სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ბრალის დასაბუთება, № 5, გვ. 42.

დ. დავითაძე — ჩვენი გააუღდებელი ამოცანა, № 5, გვ. 47.

ი. შაფაქიძე, ხ. სურგულაძე — ფსიქიატრიული დახმარების სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები, № 5, გვ. 55.

დ. ალექსიძე — ტრასოლოგიური კვლევის ახალი მეთოდები, № 6, გვ. 36.

**თეორიული საკითხები, სასამართლო წარმოების კულტურა, სახელმწიფო სამართალი, მოკმა სოციალისტურ ძველწინაში, კაპიტალისტურ ძველწინაში.**

ვ. ქეცბა — სსრ კავშირში ეროვნული თანასწორობის უზრუნველყოფის უფლებათა გარანტია, № 1, გვ. 27.

გ. ხიხარულიძე — სამართლის ენის სიწმინდისათვის, № 2, გვ. 53.

ზიონგ დანგ გიუე — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის შემხვედრი ხელშეკრულების თავისებურებანი ვიეტნამში, № 3, გვ. 40.

მ. ქურდაძე — მტკიცების ფარგლებს საკონონმდებლო რეგლამენტაციისათვის, № 3, გვ. 44.

ა. კვაშილავა, ბ. ხალუქვაძე — კანონის ენა ნათელი და გასაგები უნდა იყოს, № 3, გვ. 55.

გ. ნადარეიშვილი — საჯაროობა თუ საქვეყნობა? № 3, გვ. 67.

ზ. ჭინჭოლაძე — საბჭოთა დემოკრატიის საფუძველი, № 4, გვ. 12.

ვ. კახიანიძე — მიზანშეწონილობა სასამართლო მკვებრმეტყველებაში, № 6, გვ. 53.

პ. ხეჩია — საბჭოთა მილიციის ორმაგი დაქვემდებარების ლენინური პრინციპი, № 6, გვ. 10.

იოანე ვატანაძე — სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საწყისები, № 6, გვ. 64.

**სპაპ XXVII შრილოზისა და XIX  
საპაპვიროკ პარტიული  
კონფერენციისაჲში მიქლვნილი მასალები,  
სამართალდაცვითი ორგანოების  
სამშინაოების პრაქტიკა, დანაშაულის  
პროფილაქტიკა**

ბ. ჯორბენაძე — სახელმწიფო საწარმოების ახალი სამართლებრივი სტატუსი, № 1, გვ. 4.

ვ. რაზმაძე — კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტთა როლის მკვეთრად ამაღლებისათვის, № 1, გვ. 12.

ა. კვიციანი — საბჭოთა სასამართლოები სამოცდაათი წლისა, № 1, გვ. 21.

ჟ. გვანცელაძე — რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში კანონმდებლობის სისტემატიზაციის სრულყოფისათვის, № 1, გვ. 25.

ბ. ტანტურიშვილი — ჩვენი საბრძოლო ამოცანა, № 1, გვ. 43.

ლ. ფანჩულიძე — ნდობას გამართლება უნდა, № 1, გვ. 52.

დ. ხილაგაძე — საპროკურორო ზედამხედველობის სადღეისო ამოცანები, № 3, გვ. 7.

ქ. სურმაგა — სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ახალი დებულება, № 3, გვ. 51.

თ. ნინიძე — დრმაზროვანი დოკუმენტი, № 4, გვ. 5.

კ. ბუჩიაშვილი — განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი, № 4, გვ. 31.

გ. ერემოვი — სახალხო დემუტატთა საბჭოების სტრუქტურისა და საქმიანობის გარდაქმნა, № 5, გვ. 3.

ვ. ცინცაძე — მოძრაობის უსაფრთხოება: პრობლემები, ამოცანები, № 5, გვ. 8.

რ. გილიჯაშვილი — ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა — ძირითადი მოვალეობა № 5, გვ. 12.

მ. შამიაშვილი — საპროკურორო ზედამხედველობა სულიერად დაავადებულ და შეურაცხად პირთა საქმის გამოძიებისას, № 5, გვ. 50.

მ. კომახიძე — სრულყოფილი იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, № 6, გვ. 19.

დ. ცინცაძე — აქტიურად დავებმართო სამართალდამცველ ორგანოებს, № 6, გვ. 49.

**პრიტიკა და ბიბლიოგრაფია,  
რასაუპალიკური და რაიონული პრესა**

მედაგოგური პროცესის ქვაკუთხედი, № 1, გვ. 39.

ლ. ალექსიძე, ვ. ლორძა, ზ. ახვლედიანი — საინტერესო გამოკვლევა, № 2, გვ. 50.

ვ. თორდია — საჭირო წიგნი, № 3, გვ. 59.

ზ. შარტიაშვილი — ადგილობრივი პრესის როლი კანონიერების განმტკიცებაში № 4, გვ. 26.

თ. ზაქარაძე — დროს შესაბამისად, № 5, გვ. 16.

ა. გრივალაშვილი — ყურადღების ცენტრშია სამართლებრივი საკითხები, № 6, გვ. 15.

ბ. გურული — საკავშირო თათბირ-სემინარი, № 6, გვ. 32.

მ. არხენაშვილი — ხომ არ შეცდით, პატივცემულო მოსამართლენო!, № 6, გვ. 67.

**საიუბილეო და სადღესასწაულო  
თარიღები, მხატვრული ნაწარმოებები,  
თარგმანები, ჩვენი პროფესიის  
მოწინავენი, ფელეტონი, ინფორმაცია**

ა. ზურაბაშვილი — ყველაზე დიდი ბედნიერება, № 1, გვ. 3.

ინფორმაცია — № 1, გვ. 59; № 2, გვ. 59; № 3, გვ. 61; № 4, გვ. 63; № 5, გვ. 65; № 6, გვ. 69.

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ № 1, გვ. 62; № 2, გვ. 63; № 3, გვ. 69; № 4, გვ. 66; № 5, გვ. 70.

ცნობილი სიხლის სამართლის საქმეები, № 1, გვ. 71; № 2, გვ. 71; № 3, გვ. 75; № 4, გვ. 75; № 5, გვ. 77; № 6, გვ. 75.

გ. შეფინაშვილი — აღმასრულებელი, № 1, გვ. 77.

ბიბლიოგრაფია № 1, გვ. 78.

გ. ბერძენიშვილი — მთავარი კონსულტანტი, № 2, გვ. 37.

ა. არხენაშვილი — სახალხო მოსამართლე, № 2, გვ. 38.

ზ. შარტიაშვილი — მილიციის უფროსი ლეიტენანტი, № 2, გვ. 39.

ბ. დავითაია — უცნაური შემთხვევა, № 2, გვ. 40.

ზ. მეხენჯიხერი — რაც მოგევა დავითო, № 2, გვ. 78.

ნეკროლოგი — № 2, გვ. 80.

ვ. ზიონიდი — ომის ვეტერანები კვლავ შწყობრში არიან, № 3, გვ. 21.

გ. ბერძენიშვილი — დამსახურებული იურისტი, № 6, გვ. 56.

ვ. შერტვეელი — ილია ქავეჯაძე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, № 6, გვ. 58.

## გკითხველთა საყურადღებოდ!

1989 წლის აპრილიდან შუკნალი „საბჭოთა სამართალი“ გამოვა უმკველთვიურად, ამიტომ მიმდინარე წელს გკითხველები მიიღებენ მის 10 ნომერს. ამ სიახლესთან დაკავშირებით საჭირო გახდა ხელმომწერებმა, ვისაც იგი 1989 წლისათვის აქვს გამოწერილი, დამატებით გადაიხადონ ოთხი ნომრის ღირებულება.

შუკნალის ერთი ნომერი ღირს 60 კაპ. ოთხი ნომრის გადასახდელი თანხა შეადგენს 2 მან. 40 კაპ. ხელმომწერებმა ეს თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადონ „სოიუზკაჩატი“ განყოფილებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან შუკნალის მიღება შეზღუდვატ.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1989 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

683/38



ფასი 60 კპპ

---

ინდექსი 76185

---

---